მარიამ გელხაური

# ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში



ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში
მარიამ გელხაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების
დოქტორანტი

**მარიამ გელხაური**

# ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2024

პროექტი განხორციელდა საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

გრანტი № PHDF-22-3335

The work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

Grant № PHDF-22-3335

რედაქტორი: პროფესორი **მალხაზ მაცაბერიძე**
რეცენზენტი: ასოცირებული პროფესორი **ავთანდილ ტუკვაძე**

© მარიამ გელხაური, 2024

გამომცემლობა „უნივერსალი", 2024

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-836-6

# მადლიერება

წარმოდგენილი მონოგრფია მრავალი ადამიანის მხარდაჭერისა და თანამშრომლობის შედეგია. მადლობას ვუხდი, ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელსა და მონოგრაფიის რედაქტორს, პროფესორ მალხაზ მაცაბერიძეს, გაწეული შრომისა და თანადგომისთვის, ასევე, საინტერესო წინადადებებისა და რჩევების გაზიარებისთვის.

მსურს, ჩემი გულწრფელი მადლიერება გამოვხატო ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და მისი დეკანის, პროფესორ სალომე დუნდუასა და აგრეთვე, ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს თითოეული წევრის მამართ, მონოგრფიის განხილვის, რეცენზირებისა და გამოცემის დასტურისთვის.

წარმოდგენილი მონოგრაფია უფრო მეტად საინტერესო და მრავალმხრივი აღმოჩნდა რეცენზენტის, პროფესორ ავთანდილ ტუკვაძის რჩევების შემდგომ, რისთვისაც პერსონალური მადლობა მას.

# შინაარსი

**შესავალი** ........................................................................................7

**თავი I. კონცეპტუალური მიდგომები პოლიტიკური მონაწილეობის კვლევაში** .................................................. 28

1. პოლიტიკური მონაწილეობის მოდელები ..........28
2. ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობა დასავლურ დემოკრატიებში.................................... 41
3. თაობები, მათი ღირებულებები და პოლიტიკური მონაწილეობა ..............................................................45
4. პოლიტიკურ პროცესებისგან ახალგაზრდების დისტანცირების მიზეზები (ანგლო-ამერიკული დემოკრატიების მაგალითი) ....................................49
5. ახალგაზრდების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მოტივაცია ......................................56
6. ახალგაზრდების ჩართულობა საარჩევნო პროცესებში ..................................................................58

**თავი II. საქართველოში ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის მიმართულებით ლიტერატურისა და სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი............................................62**

1. ლიტერატურის მიმოხილვა ......................................62
2. სახელმწიფო პოლიტიკის განვითარების დინამიკა საქართველოში ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის მიმართულებით 66

**თავი III. ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში საპროტესტო გამოსვლების მაგალითზე ....................................... 76**
1. ახალგაზრდების საპროტესტო გამოსვლები საბჭოთა საქართველოში. ორგანიზაცია „გორგასლიანი“ და 1956 წლის 9 მარტის მოვლენები........................................................................77
2. ახალგაზრდობის ჩართულობა 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებში ......................................... 81
3. 1989 წლის 9 აპრილი და ახალგაზრდობა ............90
4. ახალგაზრდობის როლი „ვარდების რევოლუციის“ მოვლენებში, მოძრაობა „კმარას“ მაგალითზე.... 99
5. ხელისუფლების ცვლილება საქართველოში და ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივიზმი (2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდი) ..................................................................... 107
6. სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების მონაწილეობა მასშტაბურ საპროტესტო გამოსვლებში ................................................................ 111
7. კლუბებში „ბასიანი“ და „გალერი” ჩატარებული სპეცოპერაცია და ახალგაზრდობის პროტესტი.......................................................................119
8. 2019 წლის 20 ივნისი - ე.წ „გავრილოვის ღამე“ და ახალგაზრდების  პოლიტიკური აქტივიზმი 122
9. 2023 წლის მარტის საპროტესტო აქციები – „Generation Z“-ის მობილიზება .............................. 125

**თავი IV. პოლიტიკური პარტიები საქართველოში, როგორც ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის ინსტიტუცია................................ 132**

1. ახალგაზრდების როლი საქართველოს პარლამენტსა და პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიებში...................................................... 135

**თავი V. სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი** .. 142

1. ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობა პოლიტიკურ პროცესებში........................................ 142
2. ახალგაზრდების მოტივატორები და დემოტივატორები პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობისას .......................................................... 145

**დასკვნა** .........................................................................151

**ბიბლიოგრაფია** ........................................................................ 158

# შესავალი

საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვს განეკუთნება, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან, გარდამავლი პერიოდის ჩათვლით, ბევრი პოლიტიკური კრიზისითა და ამ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით გამოირჩევა. სახელმწიფო ხომ საზოგადოებისაგან შედგება, რომელშიც ახალგაზრდობა ერთ-ერთი მნიშვნელოვნი ჯგუფია. რომ გადავხედოთ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, ახალგაზრდობის როლი გამოკვეთილია, განსაკუთრებით, სახელმწიფოებრივად გარდამტეხ პოლიტიკურ პროცესებში, აღნიშნულის საილუსტრაციოდ, განვლილი მასობრივი სახალხო პროტესტებიც გვეყოფა. ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობა მნიშნელოვნად ცვლის და აუმჯობესებს პოლიტიკური სისტემის მახასიათებლებს, დემოკრატიზაციის პროცესს, რადგანაც „მდგრადი დემოკრატიული სისტემა მოითხოვს მოქალაქეები ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკაში“.[1]

თანამედროვე ახალგაზრდა პასუხისმგებელია საკუთარ ცხოვრებაზე, განათლებაზე, სამუშაოსა და პოლიტიკურ მონაწილეობაზე. ისინი, უმეტესწილად, აღარ არიან დამოკიდებულნი იმ სოციალური ჯგუფების შეხედულებებზე, რომელშიც ცხოვრობენ. 21-ე საუკუნეში მკვეთრად შეიცვალა ახალგაზრდის როლი სოციუმში. დემოკრატიზაციის ზრდასთან ერთად, დღეს-

---

[1] Henry E. Brady, Sidney Verba and Kay Lehman Schlozman, Beyond SES: A Resource Model of Political Participation, *Cambridge University Press*, 01 June 1995.

დღეობით, თანამედროვე ახალგაზრდას ზრდასრულობის სტატუსის მიღწევა ცხოვრების ადრეულ ეტაპზე შეუძლია, მაგალითად, დაქორწინება, მუშაობა, ხმის მიცემა, აქტივიზმი და ა.შ.[2] დემოკრატიის დამკვიდრებისთვის აუცილებელია გააზრებული იყოს, ცნობიერების თვალსაზრისით, თუ რა იციან ახალგაზრდებმა პოლიტიკური სისტემის შესახებ, ემოციური თვალსაზრისით, რა გრძნობები აქვთ მის მიმართ, ღირებულებებიდან გამომდინარე – როგორ აფასებენ მას, ამავდროულად, როგორ მოქმედებენ ისინი.[3]

საბჭოთა პერიოდში, საქართველოში, ახალგაზრდული აქტივიზმი, ძირითადად, საბჭოთა სისტემის პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. სამოცდაათ წლიანი საბჭოთა მმართველობის პერიოდში ახალგაზრდობა აქტიურდებოდა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა საქართველოს გასაბჭოება, სისტემის რეპრესიული პოლიტიკა საზოგადოების სიტყვისა და ქმედების გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ, ქართული ენის დაცვა, დამოუკიდებლობის აღდგენა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში მნიშვნელოვანი გარდატეხა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" დროს მოხდა. ამ მოვლენებშიც შეინიშნება ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ჩართულობა, მაგალითად, ახალგაზრდული მოძ-

---

2 Ellen Quintelier, "Differences in political participation between young and old people", *Journal of Contemporary Politics*, 2007, pp.165-180.

3 VYGOTSKY, L S., "Mind in Society: Development of Higher Psychological Processes (M. Cole, V. Jolm-Steiner, S. Scribner, & E. Souberman, Eds.)", *Harvard University Press*,1978.

რაობის „კმარა“ წევრთა გააქტიურება. შედარებით განსხვავებული იყო ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობა 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდის პროცესებში. ამ პერიოდში საქართველოში შეიქმნა ახალი პოლიტიკური გაერთანება „ქართული ოცნება.“ სწორედ, ახლად შექმნილი ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერ კამპანიებში შეინიშნებოდა ახალგაზრდების მხრიდან პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა. თუმცა, მსგავსად წინა საპროტესტო გამოსვლებისა, ამ პროცესებშიც, ახალგაზრდების ჩართულობა, ქვეყნის ფუნდამენტური, სისტემური ცვლილებებისკენ იყო მიმართული. აღნიშნულმა მოვლენებმა, საბოლოოდ, ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლა განაპირობა.

ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის კიდევ ერთი გამოვლინებაა სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების ჩამოყალიბება, რომელიც, ხშირად, სახელმწიფო პოლიტიკის წინააღმდეგაც მიემართება. სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების შექმნა და გააქტიურება საქართველში 2011 წლიდან იწყება („ლაბორატორია 1918“) და დღემდე აქტუალურია („აუდიტორია 115“, „მაისის სტუდენტური მოძრაობა“...). სტუდენტური მოძრაობები ერთიანდებოდნენ და ხშირად მოწინავე პოზიციებსაც კი იკავებდნენ პოლიტიკური სისტემის მიმართ მასშტაბურ საპროტესტო გამოსვლებში.

ბოლო წლებში, ახალგაზრდების პოლიტიკურად გააქტიურების მიზეზი საქართველოში, ხელისუფლების ცვლილების გარდა, სხვა თემტიკებიც აღმოჩნდა. 2018

წელს ხელისუფლების მხრიდან ჩატარებული სპეცოპერაცია ღამის კლუბებში „ბასიანი“ და „გალერი“,[4] ახალგაზრდობის აქტივიზმის კიდევ ერთი მიზეზი აღმოჩნდა. ამ მხრივ აღსანიშნავია “თეთრი ხმაურის მოძრაობის” წევრების გააქტიურება. ახალგაზრდობისთვის სენსიტიურ თემებს შორის განსაკუთრებით შესამჩნევია ოკუპაცია და მეზობელ სახელმწიფო რუსეთთან ურთიერთობა. საქართველოს პარლამენტში, სასესიო დარბაზში, მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის 26-ე სესიის სხდომაზე, პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი რუსეთის დუმის დეპუტატმა, კომუნისტმა სერგეი გავრილოვმა დაიკავა,[5] რაც საპროტესტო აქციების ჩატარების მიზეზი გახდა. ამავე პერიოდში, საპროტესტო აქციებს, ამავდროულად, წინ უსწრებდა სხვადასხვა დეპუტატების განცხადებები, რამაც მეტად შეუწყო ხელი საზოგადოების, მათ შორის ახალგაზრდების უმრავლესოვბის პოლიტიკურ დარაზმვას. გავრილოვის თბილისიდან გაძევებას ე.წ. „გავრილოვის ღამე“ მოჰყვა - ხალხმრავალი აქცია ხელისუფლებამ ცრემლმდენი გაზით, რეზინის ტყვიებითა და წყლის ჭავლის გამოყენებით დაშალა.[6]

ბოლო წლებში, ახალგაზრდები საქართველოში განსაკუთრებით გააქტიურდნენ ევროინტეგრაციას-

[4] „12 მაისი მასშტაბური საპოლიციო ოპერაცია თბილისის კლუბებში“ (ანგარიში), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), 2018, გვ.6. (ნანახია 12.02.2024).

[5] „20 ივნისის 4 რაკურსი“, ნინო თარხნიშვილი, *რადიო თავისუფლება*, 18 ივნისი, 2020 (ნანახია 14.02.2024).

[6] "გავრილოვის ღამემდე" და მერე, ლელა კუნჭულია, *რადიო თავისუფლება*, 19 ივნისი, 2020 (ნანახია 14.02.2024).

თან დაკავშირებულ მოვლენებზე. საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვების პროცესის პარალელურად ახალგაზრდების საპროტესტო მუხტი არ ცხრებოდა. ამავდროულად, სტუდენტ-ახალგაზრდობის უწყვეტი საპროტესტო ტალღა უკავშირდება ხელისუფლების მხრიდან მიღებულ კანონმდებლობას, რომელიც ახალგაზრდების უმეტესობისთვის ევროინტეგრაციის საფრთხედ მიიჩნევა.

პოლიტიკური პროცესები და მათი დრამატულად განვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების პოლიტიკურ მონაწილეობასა თუ შეხედულებების ჩამოყალიბებაზე. ახალგაზრდობისთვის განსაკუთრებით სენსიტიურია ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისები. აღნიშნული, მნიშვნელოვანწილად აისახება ახალგაზრდის სოციალურ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ თუ სხვა მხრივ განვითარებაზე. მსოფლიოში არსებობს პრეცედენტები, როცა ახალგაზრდობას პოლიტიკურ სისტემაში არსებულ ცვლილებებზე, თავინთი აქტიური მონაწილეობით, მნიშვნელოვანი გავლენა მოუხდენია (მაგალითად, 2010-2011 წლების ტუნისის რევოლუცია (არაბული გაზაფხული), 1986 წელს ფილიპინები (სახალხო ძალაუფლების რევოლუცია), 1968 წლის სტუდენტური პროტესტი საფრანგეთში და ა.შ.). ამასთან, „მოქალაქის პოლიტიკური მონაწილეობა დემოკრატიის გულია“.[7]

[7] Arend Lijphart, Unequal Participation: Democracy's Unresolved Dilemma, *The American Political Science Review*, Vol. 91, No. 1 (Mar., 1997), pp. 1-14. https://www.jstor.org/stable/2952255 ;
Sidney Verba, Henry E. Brady, Voice and Equality: Civic Voluntarism in American Politics, *Harvard University Press*, 1995.

წინასაარჩევნო პროცესების სათანადოდ წარმართვა და ამ პროცესებში საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის დემოკრატიზაციის პროცესის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია. შესაბამისად, ნაშრომში წარმოდგენილია წარსულსა თუ მიმდინარე პროცესებში მონაწილე ახალგაზრდების სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი. ემპირიული მონაცემები მნიშნელოვანი აღმოჩნდა პოლიტიკურ პარტიებსა და ზოგადად საარჩევნო პროცესებში ახალგაზრდობის როლისა და მათი მოტივაციის გასაანალიზებლად.

აღსანიშნავია, ახალგაზრდობის მონაწილეობა და ფუნდამენტური როლი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. სწორედ ამიტომ, ახალგაზრდებთან დაკავშირებული თემატიკა საკვლევად ნებისმერი ქვეყნისა და პერიოდისთვის აქტუალურია. სამოქალაქო კულტურა დემოკრატიის არსებითი საფუძველია. ახალგაზრდა მოქალაქეების პოლიტიკური ღირებულებები, შეფასებები და ქცევა ძალზედ მნიშვნელოვანია დემოკრატიული რეჟიმისთვის, რადგან შეუძლებელია არსებობდეს დემოკრატია დემოკრატიული პრინციპებით მოქმედი აქტორების გარეშე.

პოლიტიკური მონაწილეობის ირგვლივ არსებული აკადემიური ლიტერატურისა და კონცეპტუალური მიდგომების გაანალიზებასთან ერთად, ასევე, პირველადი და მეორეული მონაცმების ანალიზის საფუძველზე, ნაშრომი ხსნის ახალგაზრდობის პოლიტიკური მონაწილეობის ფენომენი და მისი მახასიათებლები საქართველოში. გარდა ნაშრომის თეორიული

ღირებულებისა, აღნიშნული თემატიკის სიღრმისეულად შესწავლა, პრაქტიკული მნიშვნელობითაც ღირებულია. ამ მიმართულებით კვლევების განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოში ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობის კუთხით, წარსული გამოცდილების საფუძველზე, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას შესაბამისისი ღონისძიებების დასახვას. აღნიშნული კი, თავის მხრივ, დადებითად აისახება ახალგაზრდობის, როგორც პოლიტიკურად პასუხისმგებლიანი მოქალაქეების ჩამოყალიბების პროცესზე.

## კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაშრომის **მიზანია** გაანალიზოს საქართველოში ახალგაზრდობის პოლიტიკური მონაწილეობის დინამიკა საბჭოთა პერიოდიდან თანამედროვე პერიოდის ჩათვლით. პოლიტიკური ჩართულობის ფორმების ანალიზისას, ნაშრომში განხილულია ახალგაზრდობის აქტივიზმით გამორჩეული საპროტესტო აქციები საქართველოში, რომელთაც კონკრეტული შედეგი მოჰყვა პოლიტიკური ელიტის გადაწყვეტილებებში. ნაშრომი, ასევე, აანალიზებს, ახალგაზრდების ჩართულობას პოლიტიკურ პარტიებში, ამავდროულად, ამ პროცესებში ახალგაზრდების მოტივატორებსა და დემოტივატორებს. ახალგაზრდობის პოლიტიკაში აქტიური ჩართულობა აუცილებელია დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ანალიზი

წარმოაჩენს სოციალური სტრატიფიკაციის პროცესში ახალგაზრდობის როლს საჯარო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნაშრომი ცდილობს გაარკვიოს სოციალური განშრევებისა და გამყოფი ხაზების თვალსაზრისით, რამდენად მნიშვნელოვან სოციალურ სეგმენტს წარმოადგენს „ახალგაზრდობა“, როგორც სოციალური აქტორი, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში პოლიტიკური თანამონაწილეობისა და მობილიზაციის თვალსაზრისით.

პოლიტიკურ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობის მოტივატორებისა და დემოტივატორების განსაზღვრა ღირებულია პოლიტიკური მონაწილეობის ტერმინის დეფინიციის მიმართულებით. თუ რატომ ერთვებიან ან არ ერთვებიან ახალგაზრდები პოლიტიკურ პროცესებში, მრვალ ინივიდუალურ თუ გარემო ფაქტორზეა დამოკიდებული. საინტერესოა, როდის აქტიურდებიან ახალგაზრდები პოლიტიკურად, ხოლო აღნიშნული ჩართულობის შედეგად მიღწეული შედეგების იდენტიფიცირება დაგვეხმარება, განვსაზღვროთ, რამდენად შედეგისმომტანია მათი პოლიტიკური ჩართულობა. გარდა ამისა, კვლევის ამოცანაა ახალგაზრდობის დამოკიდებულებების შესწავლა პოლიტიკურ მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამავდროულად, ნაშრომის ფარგლებში საინტერესოა, როგორ აისახება პოლიტიკური კლასის გადაწყვეტილებებზე ახალგაზრდობის მონაწილეობა საპროტესტო გამოსვლებში.

საქართველოში ახალგაზრდების პოლიტიკური

მონაწილეობის გააქტიურება პოლიტიკური სისტემის ტიპის ცვლილების პარალელურად შეინიშნებოდა, გამომდინარე აქედან სავარაუდოა, რომ რაც უფრო მეტად იხრება კონკურენტული ავტორიტარიზმისკენ პოლიტიკური სისტემა, მით უფრო იზრდება ახლგაზრდების ინტერესი და სამოქალქო აქტივიზმი პოლიტიკური პროცესების გარშემო, ამავდროულად, აღნიშნული მნიშნელოვნად ზრდის ახალგაზრდებში სხვა პოლიტიკური პროცესებით დაინტერესებას, მაგალითად, როგორებიცაა პარტიული აქტივიზმი, საარჩევნო პროცესებში მონაწილეობა და ა.შ.

კვლევის ობიექტებად განისაზღვრა ქართველი ახალგაზრდობა, ახალგაზრდობის პოლიტიკური მონაწილეობა და მისი რამოდენიმე ფორმა, ამავდროულად, მათი მონაწილეობის შედეგად მიღწეული შედეგები, რომლებიც გამოიხატა პოლტიკური ელიტის გადაწყვეტილებებში და ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის მოტივატორები და დემოტივატორები.

ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის კვლევა, პოლიტიკის მეცნიერებაში, ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. აღნიშნულს ფაქტს კი ადასტურებს მსოფლიოში არსებული მრავალფეროვანი აკადემიური ლიტერატურა. წინამდებარე ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც I თავს მოიცავს, დაფუძნებულია, სწორედ, პოლიტიკური მონაწილეობის მიმართულებით კონცეპტუალური მიდგომებისა და აკადემიური ლიტერატურის გაანალიზებაზე, როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულად ახალგაზრდობის მონაწილე-

ობის კუთხით. ამ მიმართულებით ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეორეული წყაროებისა და დოკუმენტების ჩარჩოს ანალიზის მეთოდი. იგი მოიცავს ინფორმაციის ორგანიზებას ძირითადი თემების ან კონცეფციების მიხედვით და იმის შემოწმებას, თუ როგორ უკავშირდება ისინი ჩემი კვლევის კითხვებს. ფართო თეორიული მიმოხილვისას, ნაშრომში წარმოჩენილია პოლიტიკური მონაწილეობის ამხსნელი ცნობილი თეორიები, რომლებიც მონაწილეობის განსხვავებულ მოდელებს ქმნიან, როგორებიცაა, რესურსების, რაციონალური არჩევანის, მობილიზაციისა და წახალისების მოდელები. პოლიტიკური მონაწილეობის მიმართულებით კონცეპტუალური მიდგომების გაანალიზება წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში გვეხმარება ფართო თეორიულ ჭრილში დავინახოთ  აღნიშნული საკითხი, ამავდროულად, შევადაროთ, მივუსადაგოთ ან განვასხვაოთ ქართულ რეალობაში არსებული გამოცდილება ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის თვალსაზრისით.

წინამდებარე ნაშრომში, ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის მიმართულებთ, თვისებრივი კვლევის მეთოდის დოკუმენტებისა და მორეული წყაროების ანალიზის მეშვეობით, არსებული აკადემიური ლიტერატურის გაანალიზება  ღირებულია, გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული, ასევე, მოიცავს დასავლურ დემოკრატიებში არსებულ მდგომარეობის ანალიზს სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მიმართულებით, მაგალითად, საარჩევნო პროცესებისა და აქტივიზმის მიმართულებით. ამ კონ-

ტექსტში ნაშრომში მოყვანილია ფართო აკადემიური კვლევები. ეს კვლევები საშუალებას გვაძლევს ფართო კონტექსტში დავინახოთ ახალგაზრდების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის მოტივაცია და მასშტაბი, აგრეთვე, ამ პროცესებიდან მათი დისტანცირების მიზეზები დასავლური დემოკრატიული სახელმწიფოების მაგალითზე. ამავდროულად, აღნიშნული ლიტერატურის მიმოხილვა გვეხმარება თაობათა ღირებულებების განსხვავებების დანახვაში, რაც, ასევე, წარმოაჩენს ახალგაზრდობის პოლიტიკური მონაწილეობის მასშტაბსა და მნიშვნელობას.

ნაშრომის II თავში ასახულია ქართული დოკუმენტებისა და სხვა მეორეული წყაროების ანალიზი, ამ მხრივ გაანალიზებულია საქართველოში, თანამედროვე პერიოდში ჩატარებული კვლევების ანგარიშები. მათი ანალიზი გვეხმარება უკეთ გავიაზროთ საქართველოში არსებული რეალობა ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის თვალსაზრისით, კერძოდ, მათი მოტივაცია პარტიულ თუ სხვა პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობისას, ასევე, მიზეზები. ამავე მეთოდით, ნაშრომი აანალიზებს საქართველოში ახალგაზრდული  პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებასა და მათი განვითარების დინამიკას, რაც საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ სახელმწიფოს მხრიდან გატარებული მიდგომები ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობისთვის.

თვისებრივი კონტენტ ანალიზის მეთოდით, კერძოდ, მონაცემების თემატური ანალიზის მიდგომით გაანალიზებულია ნაშრომის III თავი. აღნიშნული მო-

იცავს საქართველოში სხვადასხვა დროს საპროტესტო მსვლელობებში მონაწილე ახალგაზრდებისა და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების შეფასებებს. ამავდროულად, ნაშრომში მონაცემთა დამუშავების მეტი სიზუსტისთვის გამოყენებულია ტრიანგულაციის მეთოდი, რომელიც თვისებრივი კვლევის სტრატეგიად განიხილება და გულისხმობს მრავალი მეთოდის ან მონაცემთა წყაროს გამოყენებას თვისებრივ კვლევაში ფენომენების ყოვლისმომცველი გაგების განსავითარებლად.[8] (Patton, 1999) ამ მეთოდის ფარგლებში ნაშრომში მოიცავს IV თავს, სადაც გაანალიზებულია თუ რამდენად მნიშვნელოვანი ინსტიტუციაა საქართველოში პოლიტიკური პარტიები ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის პროცესში. ამ ფონზე, დათვლილია საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში ახალგაზრდა დეპუტატთა წილი 2008-2020 წლებში, ასევე, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მაგალითზე დათვლილია ცხრა პოლიტიკური პარტიის საარჩევნო სიების ოცეულში ახალგაზრდების რაოდენობრივი და პროცენტული წილი.

თვისებრივი კონტენტ ანალიზით გაანალიზებულია საპროტესტო მსვლელობებში მონაწილე ახალგაზრდების ინტერვიუები, პოლიტიკური ელიტის შეფასებები და მათი საჯარო გამოსვლები. ამავდროულად, კვლევის ღირებულებას ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ V თავში წარმოდგენილი შედეგები დაფუძნებულია პირველადი წყაროების - სიღრმისეული ინტერ-

---

[8] Patton, M. Q. (1999). Enhancing the Quality and Credibility of Qualitative Analysis. *Health Services Research*, 34, 1189-1208.

ვიუების ანალიზზე მიზნობრივად შერჩეულ რესპონდენტებთან, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევის გამოყენებით. სულ ჩატარდა ექვსი სიღრმისეული ინტერვიუ, წარსულსა თუ თანამედროვე პერიოდში პოლიტიკურად აქტიურ ახალგაზრდებთან, მათგან მიღებული ინფორმაციით კი გაანალიზდა ახალგაზრდობის როლი საქართველოში მომხდარ გარდამტეხ პოლიტიკურ პროცესებში.

წინამდებარე ნაშრომი, ემპირიული მონაცემებთა ანალიზის თვალსაზრისით, კომპლექსურია და თვისებრივი კვლევის მეთოდებზეა დაფუძნებული.

## ტერმინთა განმარტება

პოლიტიკის მეცნიერებაში ახალგაზრდობის განმარტება განსხვავებულია. ზოგიერთი მკვლევარი ახალგაზრდობას განმარტავს, როგორც ასაკობრივ ჯგუფს, როგორც ყველაზე ნაკლებად გამოცდილ სეგმენტს. სწორედ ახალგაზრდები თვლიან პოლიტიკას, როგორც მოსაწყენ და შეუსაბამოს თავიანთ ცხოვრებასთან.[9] ახალგაზრდობა არის ასაკობრივი ჯგუფი, რომელიც მიდრეკილია არატრადიციული პოლიტიკური მონაწილეობისკენ.[10]

ზოგჯერ ახალგაზრდობა და მათი პოლიტიკური მონაწილეობა, მკვლევართა მიერ, ასაკთანაა დაკავშირებული. რობერტ პუტნამი ხსნის სამოქალაქო მო-

[9] White, C., Bruce, S. & Ritchie, J. (2000) Young people's politics: political interest and engagement amongst 14- to 24-year olds (York, YPS).
[10] Dalton, R. J. (1988). Citizen Politics in Western Democracies. New Jersey: *Chatham House.*

ნაწილეობის და სოციალური კაპიტალის შემცირებას, როგორც თაობის ცვლილებას.[11] სინოთი და ლიონსი განსაზღვრავენ ასაკს, როგორც თაობათა მობილიზაციის ან დემობილიზაციის ინდიკატორს. ისინი ამტკიცებენ, რომ სხვადასხვა თაობა ადრეულ ასაკში იძენს პოლიტიკური მონაწილეობის ან არ მონაწილეობის ჩვევებს, რომელსაც შემდგომ ცხოვრებაშიც ატარებს. აღნიშნული, ასევე, უკავშირდება მანჰეიმის თაობათა კონცეფციას.[12]

მსოფლიოში ახალგაზრდობის ასაკის დეფინიცია განსხვავებულია ქვეყნების მიხედვითაც კი. მაგალითად, გაერო „ახალგაზრდობას" განსაზღვრავს, როგორც 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფს,[13] ხოლო ევროკავშირი 15-29 წლის ასაკისა.[14] წინამდებარე კვლევაში ახალგაზრდობის ასაკი კომპლექსურია და ეფუძნება საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროკავშირის) განმარტებებს. 18 წელი საქართველოს კანონმდებლობით მოქალაქისთვის სრულწლოვანობის ასაკია, სწორედ, ამ ასაკიდან შეუძლია მას არჩევნებში ხმის მიცემა. მიუხედავად, ამისა, პოლიტიკური პროცესები, განსაკუთრებით სამოქალაქო აქტივიზმი, საქართველოში მოზარდი ახალგაზრდობის ჩართულობით გა-

[11] Putnam, R. D. (2000). Bowling alone: The collapse and revival of American community. New York: *Simon and Schuster.*

[12] Karl Mannheim, The Problem of Generations, 1952; From Essays on the Sociology of Knowledge, Copyright © 1998. Reproduced by permission of *Taylor & Francis Books UK.*

[13] United Nations, DEFINITION OF YOUTH, 2021, www.un.org/esa/socdev/documents/youth/

[14] EUROPEAN COMMISSION, COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT, Brussels, 25.03.2011.

მოირჩევა, ამიტომ, რადგანაც პოლიტიკურ მონაწილეობას ვეხებით, ქვედა ზღვარად ნაშრომში წარმოდგენილია 15 წელი. რაც შეეხება ზედა ზღვარს, ახალგაზრდული ასაკის დეფინიციისასა საქართველოს კანონმდებლობით, 29 წელი, მაქსიმალურია, მაგალითად, როდესაც ხდება საარჩევნო სიების ასაკობრივი კლასიფიკაცია, ასევე, ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი 29 წელს ასახელებს ახალგაზრდობის ასაკის ზედა ზღვარად. ამავდროულად, აღნიშნული ასაკი ევროკავშირის ახალგაზრდობის ოფიციალურ დეფინიცისაც ემთხვევა.

ახალგაზრდების პილიტიკური მონაწილეობა მრვალი აქტივობის მომცველია. ახალგაზრდობა საქართველოში განსაკუთრებით აქტიურია საპროტესტო აქციების მსვლელობისას. ამიტომ პოლიტიკური მონაწილეობის გაანალიზებისას ნაშრომი მოიცავს ახალგაზრდული, მათ შორის სტუდენტური ორგნიზაციების, საპროტესტო აქციებს, ამიტომ მის საზომად, საქართველოს მაგალითზე, რელევანტურია მოვიაზროთ ახალგაზრდების ჩართულობა მიზნობრივად შერჩეულ საპროტესტო გამოსვლებში. ასევე, ნაშრომში პოლიტიკური მონაწილეობა განისაზღვრა პოლიტიკურ პარტიებში ახალგაზრდების ჩართულობით. ამავდროულად, პოლიტიკურ პარტიებში ახალგაზრდების პოლიტიკურ მონაწილეობისა და მათი როლის გამოსაკვეთად, ნაშრომში კიდევ ერთ ინდიკატორად გამოყენებულია ახალგაზრდების რაოდენობრივი მაჩვენებელი პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიების მოწინავე პოზიციებზე 2020 წლის საპარლამენტო

არჩვნების მაგალითზე. ამავდროულად, საქართველოს 2008, 2012, 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მაგალითებზე დაყრდნობით, დათვლილია ახალგაზრდა (29 წლის ჩათვლით) დეპუტატთა რაოდენობა საკანონმდებლო ორგანოში პოლიტიკურ პარტიათა მიხედვით.

ასევე, კვლევებსა და სხვა მეორეული წყაროების ანალიზზე დაყრდნობით, ნაშრომი მოიცავს ახალგაზრდობის პოლიტიკური მონაწილეობის იდენტიფიცირებასა და მათ დამოკიდებულებებს პოლიტიკური პროცესების მიმართ. კვლევა აანალიზებს ახალგაზრდობის პოლიტიკურ მონაწილეობას, როგორც დემოკრატიული პროცესების მნიშვნელოვან კომპონენტს და ცდილობს ახსნას ქვეყანაში ახალგაზრდობის პოლიტიკური მონაწილეობის ფორმების ცვლილება და მათი გამომწვევი მიზეზები. კვლევის ინოვაციურობა განპირობებულია მსოფლიოში არსებული პოლიტიკური მონაწილეობის შესწავლის მასშტაბიდან გამომდინარე, რომელიც საქართველოში, მიმდინარე პროცესების ფონზე, სამეცნიერო შესწავლის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აქტუალურია.

პოლიტიკის მეცნიერებაში არსებული პოლიტიკური პარტიების მრავალფეროვანი განმარტებიდან, პოლიტიკური მონაწილეობის თავლსაზრისით, აღსანიშნავია რამოდენიმე მათგანი. ზიგმუნდ ნოიმანის დეფინიციით, პოლიტიკური პარტია არის „საზოგადოების აქტიური პოლიტიკური აგენტების არტიკულირებული ორგანიზაცია, რომელიც დაინტერესებულია სამთავრობო ძალაუფლების კონტროლით და რომე-

ლიც კონკურენციას უწევს ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად იმ ჯგუფს ან ჯგუფებს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული შეხედულებები“.[15]

პოლიტიკური პარტიების ზოგიერთი თეორია ყურადღებას ამახვილებს ჯგუფებზე, კერძოდ, იმაზე რომ პოლიტიკურ პარტიებს, უპირველეს ყოვლისა, მართავენ ინტერესთა ჯგუფები და აქტივისტები, რომლებსაც აქვთ ინტენსიური პოლიტიკის გატარების მოთხოვნები. ამიტომაც პარტიებმა შეიძლება უპირატესობა მიანიჭონ ჯგუფურ ინტერესებს, ვიდრე უშუალო რეაგირებას უფრო ფართო ახალგაზრდობის მიმართ.[16]

პოლიტიკური პარტიები ზოგჯერ ახალგაზრდების პოლიტიკური სოციალიზაციის მნიშვნელოვანი ინსტიტუციები ხდებიან. აღნიშნული მოსაზრება, შესაძლოა, გაერთიანდეს დაღმავალი ფილტრციის მოდელთან. ამ მოდელის განვითარებასა და გაგებას მეცნიერებაში, რამდენიმე საკვანძო ფიგურამ შეუწყო ხელი. მათი ხედვით, პოლიტიკური სოციალიზაცია, ძირითადად, ოჯახებში ხდება, როცა მშობლები საკუთარ პოლიტიკურ ღირებულებებსა და კუთვნილებებს შვილებს გადასცემენ. ამ მხრივ აღსანიშნავია და პიონერებად ითვლებიან დევიდ ისტონი და რობერტ ჰესი (1960-იანი წლები). მათი ნაშრომები ხაზს უსვამს

[15] Sigmund Neumann, Modern Political Parties (Chicago: *U. of Chicago Press*, 1956), p. 396.
[16] Kathleen Bawn and others, A Theory of Political Parties: Groups, Policy Demands and Nominations in American Politics (Cambridge University Press, 2012), pp. 571 - 597.

ოჯახს, როგორც პოლიტიკური სოციალიზაციის ძირითად აგენტს.[17]

ახალგაზრდების პოლიტიკური სოციალიზაციის გაანალიზებისას, უნდა აღინიშნოს რომ, დაღმავალი ფილტრაციის მოდელს, თავისი შეზღუდვებიც გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ იგი ხაზს უსვამს ოჯახების მნიშვნელოვან როლს, ის ხშირად არ აფასებს სხვა აგენტების გავლენას, როგორებიცაა საგანმანათლებლო დაწესებულებები, თანატოლთა ჯგუფები, მედია და ტექნოლოგიები, პოლიტიკური პარტიები და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ დაღმავალი ფილტრაციის მოდელში ძირითადი აქცენტი პოლიტიკურ პარტიებზე არ მახვილდება, მათ მაინც შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ახალგაზრდის პოლიტიკურ სოციალიზაციაში მრავალფეროვანი მექანიზმებით, მაგალითად, საინფორმაციო პროგრამების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და სოციალური მედიის ჩართულობის მეშვეობით.

## თეორიული ჩარჩო

ნაშრომში საყრდენ თეორიად გამოყენებულია სტრუქტურული ფუნქციონალიზმის თეორია, რომელიც ცნობილია, როგორც „შესაძლებლობების ფანჯრები“ (Tarrow, Tilly). მოძრაობების ჩამოყალიბება

[17] David Easton and Robert D. Hess, The Child's Political World Midwest (*Journal of Political Science.* Vol. 6, No. 3 (Aug., 1962)), pp. 229-246. https://www.jstor.org/stable/2108634

განპირობებულია სოციალური და პოლიტიკური სიტუაციით. თეორია, ასევე, ხსნის თუ როგორ ცდილობენ სოციალური ჯგუფები გავლენა მოახდინონ საკითხის გადაწყვეტაზე.

სოციალური მოძრაობის თეორიის გავლენიანმა მკვლევარმა სიდნი ტაროუმ განავითარა კონცეფცია კოლექტიური მოქმედებისა და სოციალური მოძრაობების შესახებ, პოლიტიკური შესაძლებლობებისა და შეზღუდვების კონტექსტში. იგი ცნობილია თავისი ვრცელი ნაშრომით პოლიტიკური შესაძლებლობების სტრუქტურებზე და მათი გავლენით სოციალური მოძრაობების გაჩენაზე, განვითარებასა და შედეგებზე. მისი კვლევა ფოკუსირებულია იმაზე, თუ როგორ შეიძლება პოლიტიკური შესაძლებლობების ცვლილებებმა გააჩინოს კოლექტიური მოქმედება მოძრაობის პოტენციური მონაწილეების მოლოდინებსა და ქცევაზე ზემოქმედებით. სიდნი ტაროუს ხედვით, სოციალური მოძრაობები უფრო მეტად წარმოიქმნება იმ პერიოდებში, როდესაც პოლიტიკური შესაძლებლობები უფრო ხელსაყრელად აღიქმება, მაგალითად, პოლიტიკურ გარემოში მნიშვნელოვანი ცვლილებების, პოლიტიკურ სისტემაზე გაზრდილი წვდომის დროს, ან როდესაც სუსტდება ხელისუფლების უნარი, დათრგუნოს განსხვავებული აზრი.[18]

წინამდებარე მონოგრაფია ეხმიანება სიდნი ტაროუს მიერ ჩამოყალიბებულ კონცეფციას და აანალ-

---

[18] Sidney Tarrow, Review: Social Movements in Contentious Politics: A Review Article, *The American Political Science Review*, Vol. 90, No. 4 (Dec., 1996), pp. 874-883. https://www.jstor.org/stable/2945851

იზებს ქართულ რეალობას სოციალური მოძრაობების ჩამოყალიბებისა და განვითარების კვალდაკვალ. აღნიშნულ კონტექსტში, ტაროუს ხედვით, სოციალური მოძრაობების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ისეთი პოლიტიკური პროცესები, როდესაც ხელისუფლებას უჭირს დათრგუნოს საპირისპირო აზრი. საპირისპიროდ, ქართულ რეალობაში, ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც, ახალგაზრდული მოძრაობების ჩამოყალიბება, ძლიერი პოლიტიკური რეჟიმის პირობებშიც მომხდარა, მაგალითად, 1956 წლის 9 მარტის მოვლენები. ამიტომ ქართული რეალობაში მოძრაობების წარმოქმნა ყოველთვის შესაბამისი შესაძლებლობების გაჩენისას და ხელისუფლების შესუსტებისას არ ხდება. გარდა ამისა, მონოგრაფიაში განხილული მაგალითები ორიენტირებულია უშუალოდ ახალგაზრდების ჩართულობაზე საპროტესტო გამოსვლებში და არა სოციალურ მოძრაობებზე, თუმცაღა, განხილულ მაგალითებში, ახალგაზრდების აქტივიზმი, ხშირად, სოციალური მოძრაობების ჩამოყალიბების წანაპირობა გამხდარა. ჩემი მონოგრაფია ხსნის პოლიტიკური რეჟიმის ტიპის ცვლილების ზეგავლენას ახალგაზრდების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობაზე, კერძოდ, საპროტესტო მსვლელობებში ჩართულობასა და პოლიტიკურ პარტიათა რიგებში ჩართულობას.

კიდევ ერთ დამხმარე თეორიად, ნაშრომში გამოყენებულია მალტის უნივერისტეტის პროფესორის, თანამედროვე პერიოდის მეცნიერისა და ახალგაზრდული აქტივიზმის მკვლევარის ენდრიუ აზოპარდის თეორია ახალგაზრდული აქტივიზმის შესახებ, რომ-

ლის მიხედვითაც ახალგაზრდული აქტივიზმი არის ძლიერი ძალა, რომელიც გავლენას ახდენს თანამედროვე პერიოდში სოციალურ ცვლილებებსა და პოლიტიკაზე, ავტორის ხედვით ეს არ არის მხოლოდ სიმბოლური აქტი. ახალგაზრდული აქტივიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საჯარო პოლიტიკაზე გავლენისა და რევოლუციური სოციალური ცვლილებების ხელშეწყობაში.[19]

ჩემს ნაშრომში წარმოდგენილი თეორიის გამოყენება ღირებულია. ქართული რეალობის შესწავლით იკვეთება ახალგაზრდების აქტივიზმის როლი მნიშვნელოვან სოციალურ ცვლილებებში. განხილული მოვლენები ეხმიანება ენდრიუ ეზოპარდის მსჯელობას და ქართული საპროტესტო გამოსვლების მაგალითზე აანალიზებს პოლიტიკურ სისტემაში ახალგაზრდული აქტივიზმით გამოწვეულ შედეგებს, რომელიც რამოდენიმეჯერ, სისტემის დისკრედიტირებითა და ცვლილებითაც კი დასრულებულა, ამ პროცესებში კი ახალგაზრდულმა ენერგიამ დიდი როლი ითამაშა.

[19] Azzopardi, A. (2013, January 1). Youth: Responding to Lives, chapter: Youth activism: social movements in the making or in the taking? Pp.45-56, https://brill.com/display/book/edcoll/9789462094314/BP000005.xml

# თავი I. კონცეპტუალური მიდგომები პოლიტიკური მონაწილეობის კვლევაში

## 1. პოლიტიკური მონაწილეობის მოდელები

პოლიტიკური მონაწილეობის ყველაზე ცნობილი და ფართოდ გავრცელებული მოდელი პოლიტიკის მეცნიერებაში, თავდაპირველად, მოხსენიებული იყო, როგორც **რესურსების მოდელი** და აღნიშნულის საწყისად ითვლება სიდნი ვერბასა და ნორმან ნის ცნობილი ნაშრომები, რომლებშიც შესწავლილია პოლიტიკური მონაწილეობა აშშ–ი. შემდგომში ეს გავრცელდა სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ავტორების ერთობლივი ნაშრომების შედეგად. ისინი ცდილობდნენ, აეხსნათ პოლიტიკური მონაწილეობა სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური აქტივობის გასაზომად რიგი ავტორები ფოკუსირდებიან სამ ფაქტორზე. ისინი სვამენ მთავარ კითხვას, თუ რატომ არ ხდებიან ადამიანები პოლიტიკურად აქტიურები. საპასუხოდ კი, გამოყოფენ სამ ფაქტორს: 1) რადგან მათ არ შეუძლიათ; 2) რადგან მათ არ სურთ; ან 3) რადგან მათ არავინ ეკითხება.[20]

რესურსების გარდა ფსიქოლოგიური დამოკიდებულებები ყოველთვის მნიშნელოვან როლს ასრულებს მონაწილეობის ახსნაში. აღნიშნული სამოქალაქო დამოკიდებულებები არანაკლებ მნიშვნელო-

[20] Henry E. Brady, Sidney Verba and Kay Lehman Schlozman, Beyond SES: A Resource Model of Political Participation, *Cambridge University Press:* 01 June 1995, p. 269.

ვანია, თუმცა ბევრი ავტორი მაინც მონაწილეობის დომინანტ განმაპირობებელ ფაქტორებად რესურსებს ასახელებენ.[21]

ვერბა და მათი თანამოაზრეები პოლიტიკურ მონაწილეობის ახსნისას ამატებენ სხვადასხვა ფაქტორებს, როგორებიცაა იდეოლოგია და ორგანიზაცია. მათი ხედვით,  იდეოლოგიით შეკავშირებულ ჯგუფს შეუძლია გადალახოს მათი წევრების ინდივიდუალური რესურსების ნაკლოვანებები. ეს კი ხელს უწყობს მათი წევრების მონაწილეობას პოლიტიკაში. შედეგად, ავტორები თანხმდებიან, რომ ინსტიტუციები ხელს უწყობენ პოლიტიკურ მონაწილეობას.[22] აღნიშნული თეორიული მოდელი ფართოდ იყო ციტირებული და გამოხმაურებული და ეს მოდელი შეიძლება ჩავთვალოთ ყველაზე მნიშვნელოვან მოდელად პოლიტიკური მონაწილეობის ლიტერატურაში. თუმცა, ასევე, იწვევს გარკვეულ პრობლემებს. პირველი პრობლემა უკავშრდება სოციო–ეკონომიკური სტატუსის გამოყენებას. ცნობილია, რომ მონაწილეობა ზოგადად, ინდივიდისთვის უფრო მაღალ სტატუსად ითვლება, ვიდრე არ მონაწილეობა; მაგალითად, ვერბა და მისი თანამოაზრეები აჩვენებენ, რომ ინდივიდების მაღალი სტატუსი გაზრდილია იმ კატეგორიაში, რომლებიც არიან ძალიან აქტიური მონაწილეები და

[21] Henry E. Brady, Sidney Verba and Kay Lehman Schlozman, Beyond SES: A Resource Model of Political Participation, *Cambridge University Press:* 01 June 1995, p.270.

[22] Sidney Verba and Norman H. Nie, “Participation in America Political Democracy and Social Equality”, New York: *Harper & Row,* 1972, pp.131-133.

პროცენტი შემცირებულია მათში, ვინც არ არიან აქტიურები.[23]

რაციონალური არჩევანის თეორიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პოლიტიკური მონაწილეობის გააზრებაში დაუნსის მთავარი ნაშრომის შემდეგ, რომელიც ეხება  პარტიულ კონკურენციას (1957 წ.). აღსანიშნავია, ასევე, მკვლევართა დიდ ნაწილში არსებული გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა და დებატები რაციონალური არჩევანის შემადგენელ იმ მოდელების შესახებ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მონაწილეობაზე.[24]

პოლიტიკური მონაწილეობის ანალიზში რაციონალური არჩევანის თეორია მნიშვნელოვან როლს თამაშობს დაუნსის ნაშრომიდან „დემოკრატიის ეკონომიკური თეორია“ მოყოლებული (1957). „რაციონალური ადამიანი არის პიროვნება, რომელიც იქცევა შემდეგნაირად: 1) მას ყოველთვის შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, როცა საპირისპიროდ ბევრი ალტერნატივაა; 2) ის აფასებს მის წინაშე არსებულ ყველა ალტერნატივას ისე, რომ მისი პრიორიტეტი ისე იყოს, რომ თითოეულ მათგანს ან უპირატესობას ანიჭებდეს, ან აქვეითებდეს; 3) მისი უპირატესობის რეიტინგი ცვალებადია; 4) ის ყოველთვის ირჩევს შესაძლებელ ალტერნატივას, რომელიც მისი უპირატესობების რეიტინგის სათავეშია; და 5) ის ყოველთვის ერთსა და იმავე გადაწყვეტილებას იღებს ყოველ ჯერზე,

---

[23] Sidney Verba and Norman H. Nie, “Participation in America Political Democracy and Social Equality”, New York: *Harper & Row,*  1972, pp.131-133.
[24] მაგ. ჯეკმენი 1993, ალდრიხი 1993, ლოვი 1992 და სხვ.

როცა ერთი და იგივე ალტერნატივების წინაშე დგება“[25]

პოლიტიკური მონაწილეობის **რაციონალური არჩევანის მოდელები** პრობლემურია ამერიკელი პოლიტიკური ეკონომიკის წარმომადგენლის მანკურ ოლსონის (1965) ანალიზის შემდგომ -„მონაწილეობის პარადოქსის შესახებ“. პოლიტიკური მონაწილეობის სფეროში ოლსონის რაციონალურ არჩევანის თეორიასთას დაკავშირებით მნიშვნელოვანი დებატები ფიქსირდება.[26] საყურადღებოა, რომ პოლიტიკური მონაწილეობის ლიტერატურის დიდი ნაწილი, რაციონალური არჩევანის თეორიული ჩარჩოს მიღმა განვითარდა. ეს განსაკუთრებით ეხება ვერბას და ნიესის (1972) ნაშრომს, რომელზე დაყრდნობითაც ხშირად ფასდება შემდგომი ემპირიული ნაშრომები პოლიტიკურ მონაწილეობაზე.

რაციონალური არჩევნის თეორია იყენებს გარკვეულ დავალებებს პოლიტიკური მონაწილეობის ძირითადი პრობლემის ასახსნელად, პრობლემას მონაწილეობის პარადოქსი ეწოდება და ყველაზე პირველად ყურადღება აღნიშნულზე  მანკურ ოლსონმა გაამახვილა. მისი ხედვით, რაციონალური აქტორები კოლექტიურ ქმედებაში არ მონაწილეობენ საერთო

---

[25] Anthony Downs, “An Economic Theory of Political Action in a Democracy”, *Journal of Political Economy*, 1957, p.6.
[26] Paul Whiteley, "Rational Choice and Political Participation Evaluating the Debate", 1995.

მიზნის მისაღწევად, რადგან ამა თუ იმ კოლექტიური ქმედების შედეგი საზოგადოებრივი სიკეთეებია.[27]

ოლსონი თავისი შეხედულებებით ცდილობდა, გაეანალიზებინა პოლიტიკური მიზნები და პროგრამები, რომლებიც არიან პოლიტიკური პარტიების პროდუქტები, ისინი ასევე საზოგადოებრივი სიკეთეები არიან, შედეგად კი რაციონალური აქტორებს გააჩნიათ სტიმულები სხვისი ძალისხმევით გააკეთონ ისეთი საქმე, რომელიც კავშირშია რაიმე სიკეთეებთან. შედეგად, ისეთი ორგანიზაციები, როგორებიც პოლიტიკური პარტიები არიან, არ იღებენ დახმარებას რაციონალურ თვითორიენტირებული ინდვიდიებისგან, თუკი არ არსებობს მონაწილეობის წახალისებები. დამატებით, ოლსონი აღნიშნავს, რომ ეს პრობლემა გაცილებით უფრო მწვავეა დიდ ჯგუფებში, ვიდრე მცირე ჯგუფებში. მცირე ჯგუფების შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს რაციონალური ერთი ინდივიდისთვის, რათა უზრუნველჰყოს საზოგადოებრივი სიკეთე, სანამ ეს შესაძლებელია, რომ ინდივიდუალურმა ბენეფიტებმა გადააჭარბოს უზრუნველჰყოფის ღირებულებებს სხვა ადმიანების რაიმე დახმარების გარეშე.[28]

პოლიტიკის მეცნიერებაში არსებობს „პოლიტიკური მონაწილეობის პარადოქსის“ 4 ფართო მიდგომა რაციონალური არჩევანის პრობლემის მოგვარებისა, მათგან კი ერთ-ერთი, სწორედ მანკურ ოლსონს უკავშირდება. ეს მიდგომა მიმართულია შერჩევით სტიმუ-

---

[27] Mancur Olson, The logic of Collecrive Action, *Harvard University Pess*, london, 1965.

[28] იხ. იქვე, გვ. 9-11.

ლებზე, როგორც კოლექტიური ქმედების ახსნა. არსებობს პირადი სტიმულები, რომლებიც არაა დაკავშირებული კოლექტიურ სიკეთეებთან და წარმოებულია ჯგუფის მიერ. ეს მიდგომა გამოყენებული იყო, რათა აეხსნა „მონაწილეობის პარადოქსი“ დაკავშირებული ხმის მიცემასთან. მაგალითად, რამოდენიმე ავტორი მთელ რიგ შერჩევით სტიმულებს წარმოაჩენს, რომლებიც ინდივიდს ხმის მიცემისას გააჩნია, ეს მოიცავს „ხმის მიცემის ეთიკის დაცვით დაკმაყოფილებას“, „პოლიტიკური სისტემისადმი ერთგულების დადასტურებით კმაყოფილებას“ და „პარტიული უპირატესობის დადასტურებით დაკმაყოფილებას“.[29] იმ ფონზე, როცა ინდივიდები, არ აძლევენ ხმას და არ იღებენ ამ ბენეფიტებს, აღნიშნული უკვე წარმოადგენს შერჩევით წახალისებას.

საყურადღებოა, რომ პაულ უაითლი მანკურ ოლსონის კოლექტიური ქმედების ლოგიკის გარშემო არსებულ დებატებს აანალიზებს. იგი ყურადღებას ამახვილებს „მონაწილეობის პარადოქსზე.“ ემპირიული მონაცემების ანალიზის საფუძველსა, კერძოდ, დიდი ბრიტანეთის მაგალითზე, ცდილობს, ახსნას ოლსონის თეორია ფორმულების სახით.

უაითლი ამ ფორმულით ცდილობს ახსნას პარტიული აქტივიზმი: A = p * B – C, სადაც A - ინდივიდუალური აქტივობის დონეა, p - არის შესაძლებლობა, რომ ინდივიდის აქტივობა მოიტანს კოლექტიურ სიკეთეს

[29] A. Bruce Cyr, The Calculus of Voting Reconsidered, *The Public Opinion Quarterly*, Vol. 39, No. 1 (Spring, 1975), https://www.jstor.org/stable/2748068

ან პარტიის პილიტიკის ეფექტურობას; B – არის პარტიული პროგრამის განხორციელების შედეგად მიღებული კოლექტიური სარგებელი ან საზოგადოებრივი სიკეთე; C - არის კოლექტიური სიკეთის განვითარებაში ინდივიდის მიერ წვლილის შეტანის ხარჯები. უაითლი ოლსონის თეორიას შემდეგი ფორმულით გვთავაზობს და წარმოადგენს პოლიტიკური მონაწილეობისთვის საჭირო სტიუმულებს: A = (p * B) – C + O + P + I, ამ ფორმულაში A, p, B და C იგივეა, რაც პირველში, O - შერჩევითი შედეგის სტიმული აქტივიზმისთვის; P - არის აქტივიზმისთვის შერჩევითი პროცესის წახალისება; ხოლო I - არის იდეოლოგიური წახალისებები აქტივიზმისთვის.[30]

პაულ უაითლის მიხედვით, პარტიის ზოგადი წახალისების მოდელი აერთიანებს ცვლადებს, რომლებიც არ შეესაბამება რაციონალური აქტორის მოდელს. ის შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: A = (p * B) – C + O + P + I + G + S + E, სადაც A, p, B, C, O, P, I იგივეა, რაც მეორე ფორმულაში, დამატებით G – არის ცალკეული ინდივიდის შეფასებები მთლიანობაში პარტიის ეფექტურობაზე პოლიტიკაზე ზემოქმედების კუთხით; S - არის ინდივიდის აღქმა სოციალურ ნორმებზე, როგორც აქტივიზმის მოტივებზე; ხოლო E – არის მონაწილეობის ექსპრესიული ან აფექტური მოტივები.[31] მესამე ფართო თეორიული მიდგომა პოლიტი-

---

[30] Paul Whiteley, "Rational Choice and Political Participation Evaluating the Debate", 1995.

[31] იხ. იქვე, გვ. 222.

კური მონაწილეობის ანალიზისას მომდინარეობს სოციალური ფსიქოლოგიის ლიტერატურიდან და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მონაწილეობის არაორდინალური ფორმის გაგებაში, როგორებიცაა საპროტესტო ქცევა და მეამბოხე კოლექტიური ქმედება.[32]

პოლიტიკური მონაწილეობის კიდევ ერთი, **მობილიზაციის მოდელი,** გულისხმობს მონაწილეობას სხვადასხვა ადამიანების სტიმულებიდან გამომდინარე. ეს მოდელი დაკავშირებულია რესურსების მოდელთან, როგორც სიდნი ვერბა და მისი კოლეგები ადრეულ ნაშრომებში აღნიშნავენ და წარმოგვიდგენენ მიზეზებს, თუ რატომ არ ხდებიან ადამიანები პოლიტიკურად აქტიურები.

მონაწილეობის შესაძლებლობები დაკავშირებულია რესურსების მოდელთან მას შემდეგ, რაც მაღალი სოციო–ეკონომიკური სტატუსის მქონე ინდივიდებს უფრო სავარაუდოა, რომ ჰქონდეთ წვდომა პოლიტიკურ პარტიებთან, ინტერესის ჯგუფებსა თუ კამპანიის ორგანიზაციებთან, ვიდრე დაბალი სტატუსის მქონე ინდივიდებს, რადგან ამ სახის ინსტიტუციები სხვადასხვა მკვლევარების დაკვირვებით, უფრო ხშირად, ფიქსირდება იმ საზოგადოებაში, რომელშიც მაღალი სტატუსის წარმომადგენლები ცხოვრობენ.[33]

---

[32] Edward N. Muller, “Aggressive Political Participation”, *Princeton University Press*, 1979.

[33] Henry E. Brady, Sidney Verba and Kay Lehman Schlozman, Beyond SES: A Resource Model of Political Participation, *Cambridge University Press:* 01 June 1995, pp. 337-343.

სამეცნიერო მტკიცებულებათა დიდი ნაწილი მხარს უჭერს მობილიზაციის იმ მოდელს, რომელიც საარჩევნო კამპანიისა და აქტივობების ურთიერთკავშირის კვლევებიდან მომდინარეობს. ამ კვლევების დიდი ნაწილი ეფუძნება აშშ-ს და ერთ-ერთი ადრეული ნაშრომი მოიცავს საარჩევნო აქტივობების შესწავლას გარიში (ინდიანა), სწორედ, ამის შემდგომ ჩამოყალიბდა მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა საკვლევი სამუშაოები. ამ ნაშრომში ქათრაითმა (1963) ხაზი გაუსვა, რომ ძირითადი პრობლემა იყო იდენტიფიცირება მოეხდინა მობილიზაციის ეფექტებისა სხვა ფაქტორებისგან განცალკევებით, რათა აეხსნა საარჩევნო მონაწილეობა. მათი კვლევა გვიჩვენებს, რომ დემოკრატებისა და რესპუბლიკელების უბნის კომიტეტის წევრებისგან შემდგარი კამპანია მნიშვნელოვან განსხვავებას ქმნიდა ხმის მისაცემად, სხვადასხვა სახის ცვლადების კონტროლისთვის, როგორიცაა ამომრჩეველთა სოციო–ეკონომიკური სტატუსი. ამგვარად, ეს ეფექტები რესურსების დამოუკიდებლად მუშაობდა.[34] ბრიტანეთში ჩატარებული კვლევები ელექტორალურ მობილიზებაზე ამყარებს აღნიშნულ მიგნებებს. კვლევა, რომელიც იყენებს კამპანიის ხარჯებს, როგორც კამპანიის აქტივობის სუროგატულ საზომს, გვიჩვენებს

[34] Cutright 1963; Wolfinger 1963; Crotty 1971.

რომ ამ უკანასკნელს გააჩნია მნიშნელოვანი ზეგავლენა ხმის მიცემაზე დროთა განმავლობაში.[35]

მონაწილეობის **გენერალური წახალისების მოდელი** სპეციფიკურად ხსნიდა მაღალი ინტენსივობის მონაწილეობის შემთხვევებს, როგორებიცაა ხმის მიცემის მაჩვენებელი, ოფისში სიარული, შეხვედრებზე დასწრება, ან ისეთი აქტივობები რომლებიც ჩვენს პრობლემებს ეხება.[36] აღნიშნული თეორია მომდინარეობს რაციონალური არჩევანისა და მონაწილეობის სოციალურ ფსიქოლოგიური საზომების სინთეზიდან.

თეორიის არსი არის ის, რომ აქტორებს სჭირდებათ წახალისებები რომ უზრუნველჰყოს ისინი მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკაში, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ წახალისებების უფრო ფართო არეალი, ვიდრე ვიწროდ განსაზღვრული ინდივიდუალური სტიმული, რაც ჩნდება რაციონალური არჩევანის მოდელში. რიგი ავტორების ხედვით, მანკურ ოლსონის მოდელი, როგორც დამაჯერებელი და სარწმუნო, ძალიან ვიწროა იმისთვის, რომ მოგვცეს ადეკვატური ანგარიში იმისა, თუ რატომ შეიძლება ჩაერთონ ან იყვნენ აქტიურები ადამიანები პოლიტიკურ პარტიაში. თუმცა, ეს აღნიშვნა არ აიგნორებს ოლსონის თეორიის ცენტრალურ ღირსებებს, რომელიც არის იდეა, რომ ინდივიდები პოლიტიკურად აქტიურები ხდებიან სხვადასხვა სახის წახალისებების საპასუხოდ.

---

[35] Johnston and others... 1987, 1989, 1995.

[36] Patrick Seyd and Paul Whiteley, British Party Members: An Overview, London, 2004. VOL 10. No.4 pp. 355–366.

რიგი ავტორების მიერ გამოიყოფა შერჩევითი წახალისებები, რომლებიც მნიშვნელოვანია პარტიული აქტივიზმის გასააზრებლად. ეს შერჩევითი წახალისებები სამი ტიპისაა: პროცესიდან გამომდინარე,[37] შედეგიდან გამომდინარე[38] და იდეოლოგიური.[39]

პროცესის წახალისება მოიცავს მონაწილეობისთვის იმ მოტივებს, რომელიც მომდინარეობს თავისთავად, მონაწილეობის პროცესიდან. მრავალფეროვანი ავტორები მიუთითებდნენ გარკვეული რაოდენობის მოტივებზე, რომლებიც შეიძლება მოვიაზროთ ამ წახალისების ამ მოდელში.Tullock (1971) განიხილავდა რევოლუციებში ჩართულობას, როგორც გასართობ ღირებულებას. Opp (1990) აანალიზებდა პოლიტიკურ პროტესტებში ჩართულობითი ღირებულებების კათარსიზზე. ზოგიერთი ადამიანისთვის პოლიტიკური პროცესი არის საინტერესო და სტიმული აქვთ თავისთავად, მიუხედავად შედეგებისა და მიზნებისა. მაღალი ინტენსივობის ჩართულობა არის ერთგვარი გზა მათთვის საინტერესო ადამიანებთან შესახვედრად და ზოგიერთისთვის ეს მოტივი ჩართულობისთვის საკმარისია. შერჩევითი შედეგებიდან გამომდი-

---

[37] Vrablikova, Katerina. "How Context Matters? Mobilization, Political Opportunity Structures, and Nonelectoral Political Participation in Old and New Democracies", *Comparative Political Studies,* 2013, № 2, p. 203-229, https://www.researchgate.net/publication/270610185 (Retrieved 15.02.2024).

[38] John, Peter. “Making Policy Work”, *Routledge*, February 25, 2011.

[39] Oser, Jennifer. "Protest as One Political Act in Individuals’ Participation Repertoires: Latent Class Analysis and Political Participant Types", *American Behavioral Scientist,* Volume 66 Issue 4, June 6, 2021, https://journals.sagepub.com/doi/10.1177/00027642211021633 (Retrieved 15.02.2024).

ნარე წახალისებები მიუთითებს დაინტერესებულთა მოტივებს მთავარი მიზნების მისაღწევად პოლიტიკურ პროცესებში, მაგრამ ისეთი მიზნები, რომლებიც პირადია, ვიდრე კოლექტიური. მოტივაციის მესამე ტიპი არის იდეოლოგია. იდეოლოგიური რადიკალიზმი ჩართულობისთვის.

პოლიტიკური მონაწილეობის ზოგადი წახალისების თეორია ვარაუდობს, რომ მთელი რიგი გამორჩეული ფაქტორები ცდილობენ ახსნან, რატომ ერთვებიან ადამიანები პოლიტიკურ პარტიებში. აღნიშნული წარმოადგენს შერჩევით და კოლექტიურ წახალისებებს, ჯგუფის მოტივაციებსა და ეფექტურ ან გამომხატველ მოტივებს. ზოგიერთი ეს ფაქტორები დასაბუთებულია რაციონალური არჩევანის თეორიაში, მაგრამ თეორია მომდინარეობს მონაწილეობის ვიწრო რაციონალური არჩევანის კონცეფციის მიღმა, რათა გამოიკვლიოს ჩართულობისთვის უფრო ფართო მოტივები, თუნდაც, სოციალურ ფსიქოლოგიური თეორიული ტრადიციებიდან მიღებული.

რესურსების მოდელის საპირისპიროდ, ზოგადი წახალისების მოდელი ფოკუსირებულია მოთხოვნასა და მონაწილეობის წახალისებებზე. მაშინ, როდესაც რესურსების მოდელი არის თეორიულად ბუნდოვანი და მონაწილეობის წინასწარმეტყველებაში სუსტი, განსაკუთრებით, მაღალი ინტენსივობის მონაწილეობაში, ზოგადი წახალისების მოდელი არის თეორიულად კარგად დასაბუთებული და აქვს უმაღლესი შესაძებლობები მონაწილეობის მაღალი ღირებულებითი ტიპების წინასწარმეტყველებისთვის, როგორიცაა

პარტიული აქტივიზმი.[40] ზოგადი წახალისების მოდელი აერთიანებს რაციონალური არჩევანის მიდგომების თეორიულ მოსაზრებებს, იგი ფოკუსირდება გადაწყვეტილებების მიღების ღირებულებებსა და ბენეფიტებზე ვიწრო პერსპექტივების გარეშე.

სტუდენტური საპროტესტო მოძრაობები ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, რომლის ირგვლივაც მრავალი სამეცნიერო თეორია შექმნილა. პოლიტიკური შესაძლებლობების სტრუქტურის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკურ მონაწილეობაზე გავლენას ახდენს ფართო პოლიტიკური გარემო, მათ შორის სახელმწიფოს შესაძლებლობები და მიდრეკილება რეპრესიებისადმი, პოლიტიკური სისტემის ღიაობა და ელიტური მოკავშირეების არსებობა. სტუდენტური მოძრაობები შეიძლება გაიზარდოს პოლიტიკური გარდამავალი პერიოდის დროს, ან როდესაც პოლიტიკური კლიმატი უფრო მეტი სამოქალაქო ჩართულობის საშუალებას იძლევა.

სოციალური მოძრაობის თეორიის გავლენიანმა მკვლევარმა სიდნი ტაროუმ, განავითარა კონცეფცია კოლექტიური მოქმედებისა და სოციალური მოძრაობების შესახებ, პოლიტიკური შესაძლებლობებისა და შეზღუდვების კონტექსტში. იგი ცნობილია თავისი ვრცელი ნაშრომით პოლიტიკური შესაძლებლობების სტრუქტურებზე და მათი გავლენით სოციალური მოძრაობების გაჩენაზე, განვითარებასა და შედეგებზე.

[40] Paul Whiteley, “Rational Choice and Political Participation Evaluating the Debate”, 1995.

მისი კვლევა ფოკუსირებულია იმაზე, თუ როგორ შეიძლება პოლიტიკური შესაძლებლობების ცვლილებებმა გააჩინოს კოლექტიური მოქმედება მოძრაობის პოტენციური მონაწილეების მოლოდინებსა და ქცევაზე ზემოქმედებით. სიდნი ტაროუს ხედვით, სოციალური მოძრაობები უფრო მეტად წარმოიქმნება იმ პერიოდებში, როდესაც პოლიტიკური შესაძლებლობები უფრო ხელსაყრელად აღიქმება, მაგალითად, პოლიტიკურ გარემოში მნიშვნელოვანი ცვლილებების, პოლიტიკურ სისტემაზე გაზრდილი წვდომის დროს, ან როდესაც სუსტდება ხელისუფლების უნარი, დათრგუნოს განსხვავებული აზრი.[41]

## 2. ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობა დასავლურ დემოკრატიებში

ახალგაზრდული აქტივიზმი, როგორც სოციალური ფენომენი, XIX საუკუნის შუა ხანებიდან იღებს სათავეს, როდესაც ახალგაზრდებმა დაიწყეს შრომითი გაფიცვების მოწყობა  თავიანთი სამუშაო პირობების, ხელფასისა და სამუშაო საათების საპასუხოდ.  პირველი ახალგაზრდული აქტივიზმი ორგანიზატორი გახდა მერი ჰარისი, „დედა" ჯონი, შეერთებულ შტატებში. 1908 წელს პენსილვანიის ქვანახშირის მაღაროებიდან 100 000 ახალგაზრდა მაღაროელი გაილაშქრა აშშ-ს

[41] Sidney Tarrow, Review: Social Movements in Contentious Politics: A Review Article, *The American Political Science Review*, Vol. 90, No. 4 (Dec., 1996), pp. 874-883. https://www.jstor.org/stable/2945851

კაპიტოლიუმისკენ ვაშინგტონში. პრესა აქტიურად იუწყებოდა აღნიშნულ მოვლენებს.[42]

პოლიტიკის მეცნიერებაში, ახალგაზრდობის პოლიტიკური მონაწილეობის შემსწავლელ ლიტერატურაში აღსანიშნავია, ნაშრომი - „ახალგაზრდობის პოლიტიკური მონაწილეობის გადახედვა“. ნაშრომი აერთიანებს ახალგაზრდობის პოლიტიკურ მონაწილეობასა და გამოწვევებს. ამ მიმართულებით, ასევე, ევროპის რამოდენიმე ქვეყნისა და კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით შესწავლილია ახალგაზრდების მონაწილეობა სხვადასხვა მნიშნელოვან დემოკრატიულ პროცესებში.

ნაშრომში განხილულია, თუ როგორ განაპირობებს ფართო სოციალური კონტექსტი ახალგაზრდების ჩართულობას დემოკრატიაში. სლოვენიაში სიტუაციის ანალიზისას მეტკა კუჰარი აღნიშნავს, რომ თანამედროვე ახალგაზრდობა მართლაც ხასიათდება პოლიტიკური აქტივობისა და სოციალური ჩართულობის მნიშვნელოვნად დაბალი დონით, ვიდრე ახალგაზრდების წინა თაობა. ეს მხოლოდ ნაწილობრივ არის იმის შედეგი, რომ ახალგაზრდებს ეფექტურად განიხილავენ, როგორც აპოლიტიკურ სუბიექტებს, როგორც არასრულფასოვან და გაუაზრებელ ნახევრად მოქალაქეებს, რომლებიც, დიდწილად, მარგინა-

[42] Azzopardi, A. (2013, January 1). Youth: Responding to Lives, chapter: Youth activism: social movements in the making or in the taking? P.45. https://brill.com/display/book/edcoll/9789462094314/BP000005.xml

ლიზებულნი არიან პოლიტიკური სტრუქტურების მიერ.[43]

მსგავსი სოციალური მექანიზმი მოქმედებს გალიციელ ახალგაზრდებზე, როგორც ეს ასახულია დენიელ ბლანშის კვლევაში. ავტორის დაკვირვებით, როგორც სხვა კათოლიკური ევროპული საზოგადოებები, გალიცია ხასიათდება ძლიერი ტრადიციული, ოჯახური და პირადი ურთიერთობებით. თავის მხრივ, ახასიათებს უფრო ფუნქციონალური კავშირები, სოციალური კაპიტალი და ინტერპერსონალური ნდობა ოჯახისა და მეგობრების მიმართ რჩება სუსტად და იწვევს იმედგაცრუებას და უკმაყოფილებას პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ, რაც ხასიათდება მათში მონაწილეობის განსაკუთრებით დაბალი დონით. [44]

ამავე ნაშრომში, გაკრიტიკებულია ახალგაზრდობის პოლიტიკური მონაწილეობასთან დაკავშირებული კვლევები, „დღევანდელი პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ განსხვავებული ხედვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კვლევის პერსპექტივების მზარდი ფრაგმენტაცია და მიკერძოებაა“,[45] რასაც ავტორი მეთოდოლოგიურ სიცრუეს უწოდებს.

ნაშრომის ერთ-ერთი ქვეთავი უკავშირდება ახალგაზრდულ ორგანიზაციებს პოლიტიკურ პარტიებ-

---

[43] Medka Kuhart, „Youth and politics in Slovenia: a pre-political group in a post-political age", *Council of Europe*, 2005, pp.53-59.

[44] Daniel Blanch, "Between the traditional and the postmodern: political disaffection and youth participation in Galicia", *Council of Europe*, 2005, pp. 61-67.

[45] Siyka Kovacheva, "Will youth rejuvenate the patterns of political participation?", *Council of Europe*, 19-28.

ში. მკვლევარები სვამენ  საინტერესო კითხვას და ცდილობენ იპოვონ პასუხი „ახალგაზრდები თავს იკავებენ პარტიულ პოლიტიკაში გაწევრიანებისგან იმის გამო, რომ აღარ არიან დაინტერესებულნი, თუ იმიტომ, რომ აღარავინ აწუხებს მათ რაიმე კითხვით?“[46] სხვადასხვა თეორიებისა და ემპირიული მტკიცებულებების მიმოხილვით, დასაბუთებულია ახალგაზრდობაში პოლიტიკური მონაწილეობის შემცირების ტენდენციები. ჩვენ კვლევაში პოლიტიკური პარტიები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესწავლის საგანია, წარმოდგენილი ნაშრომის ამ კონკრეტული ქვეთავის მიმოხილვა კი გვეხმარება, სიღრმისეულად გავიაზროთ ახალგაზრდებისა და პოლიტიკური პარტიების ურთიერთმიმართება. ეს ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს პარტიის წევრების რეკრუტირების ერთ კონკრეტულ ელემენტზე: ახალგაზრდული ორგანიზაციების როლზე პოლიტიკურ პარტიებში, ავტორების აღნიშვნით, განსაკუთრებით საინტერესოა ახალგაზრდული ორგანიზაციები, რადგან ისინი პარტიის წევრების რეკრუტირების მნიშვნელოვანი არხია.[47]

კვლევით ნაშრომში „ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობა,“ გლენ უტერი (2011) ამტკიცებს, რომ ჯანსაღი დემოკრატია მოითხოვს მის მოქალაქეებს შორის პოლიტიკური მონაწილეობის ჯანსაღ დონეს. უტერის მიხედვით, ახალგაზრდების პოლიტიკუ-

[46] Marc Hooghe & Dietlind Stolle, “Youth organisations within political parties: political recruitment and the transformation of party systems”, *Council of Europe*, 2005, pp. 43-53.
[47] იხ. იქვე, გვ. 46.

რი მონაწილეობის ჯანსაღი დონე მოითხოვს არა მხოლოდ ახალგაზრდა ამომრჩეველთა აქტივობის მაღალ დონეს, არამედ ახალგაზრდების ჩართვას სხვადასხვა პოლიტიკურ აქტივობებში.[48]

## 3. თაობები, მათი ღირებულებები და პოლიტიკური მონაწილეობა

ასაკი ყოველთვის იყო პოლიტიკური დამოკიდებულებებისა და მონაწილეობის ერთ-ერთი მთავარი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებელი და არსებობს უზარმაზარი ემპირიული მტკიცებულება, რომ ახალგაზრდები ნაკლებად არიან ჩართულნი პოლიტიკურად, ვიდრე მათი უფროსები ყველა დასავლურ დემოკრატიულ ქვეყანაში.[49] ავტორთა დაკვირვებით, ახალგაზრდებმა აჩვენეს პოლიტიკისა და პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ ცოდნის დაბალი დონე, ვიდრე სხვა ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლებმა. კვლევების მიხედვით, მათ სხვა ასაკობრივ ჯგუფებზე ნაკლებად ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული პოლიტიკურ დისკუსიებში, ასევე, არჩევნებზე. ახალგაზრდები შეიძლება ნაკლებად იყვნენ ჩართულნი პოლიტიკაში, რადგან მათ უფრო მეტად უწევთ ბრძოლა კარიერისთვის, საცხოვრებლისთვის, რომანტიული ურთიერთობებისთვის და სხვა მსგავსი.[50] პოლიტიკური თაობის თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ

[48] Glenn H. Utter, "Youth and Political Participation: A Reference Handbook", 2011.
[49] Almond and Verba, 1965; Burns, Schlozman, and Verba 2001
[50] Glenn and Grimes 1968, pp.563-566; Van Deth 1990, pp. 302.

სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში პოლიტიკური ინტერესებისა და ჩართულობის სხვადასხვა დონეს ფესვები აქვს სოციალიზაციის პოლიტიკურ-ისტორიულ კონტექსტში.[51]

თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ როდესაც ახალგაზრდები გრძნობენ, თავიანთ ქვეყნებში დემოკრატიულ განვითარებას საფრთხე ემუქრება, მათი დიდი რაოდენობა  საარჩევნო ყუთებთან მიდის, როგორც ეს მოხდა ბულგარეთში 1997 წელს და სლოვაკეთში 1998 წელს. ახალგაზრდების მონაწილეობა ხმის მიცემის პროცესში ჩვეულებრივ მაღალია, როდესაც კომბინირებულია სხვა ორ აქტივობასთან: არატრადიციულ და სამოქალაქო. ახალგაზრდები სწრაფად მობილიზდებიან ცალკეული საკითხების ირგვლივ, მაგალითად, როგორც ეს მოხდა ესპანეთში „პრესტიჟის" ნავთობის ტანკერიდან დაღვრის, ან ერაყის ომის წინააღმდეგ პროტესტის დროს, რომელიც განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა გაერთიანებული სამეფო და ესპანეთი, რომელთა მთავრობებიც მხარს უჭერდნენ ომის მცდელობებს. ახალგაზრდებისთვის, ასევე, დამახასიათებელია პოლიტიკური თვითგამოხატვა ხელოვნებისა და სპორტის საშუალებით, გარემოსდაცვითი პრობლემების გამოხატვა, ადამიანის უფლებები, ლგბტ პოლიტიკა, სამომხმარებლო ბოიკოტი, აღნიშ-

[51] Inglehart 1970; Ingelhart and Welzel, 2005; Bennett, 1986.

ნული ტენდენციები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში აქტიურად გავრცელდა.[52]

ბოლო დროს, თეორეტიკოსებმა ყურადღება გადაიტანეს მონაწილეობის ჩვეულებრივი ფორმებიდან, როგორებიცაა პარტიული კუთვნილება, პოლიტიკურ კამპანიაში მოხალისეობა, ხმის მიცემა და ა.შ. განსაკუთრებით, სოციალურ ჯგუფებს შორის, რომლებიც ტრადიციულად გაუცხოებულნი არიან პოლიტიკისგან.[53] ანალოგიურად, უფროსებთან შედარებით, ახალგაზრდები უფრო მეტად არიან დაკავშირებული სოციალურ მოძრაობებთან, საპროტესტო პოლიტიკასთან და მიზეზებზე ორიენტირებულ პოლიტიკურ ქმედებებთან.[54]

სამეცნიერო კვლევებში სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები მხოლოდ ნაწილობრივ ხსნის პოლიტიკურ ჩართულობას. პოლიტიკური ინტერესები და დამოკიდებულებები შეიძლება იყოს პოლიტიკური აქტივიზმის სხვა პროგნოზირებადი ფაქტორები, როგორც ეს ძირითადად განიხილება სამეცნიერო ლიტერატურაში.[55] პოლიტიკური ინტერესი, რომელიც ჩვეულებრივ იზომება, როგორც სხვებთან პოლიტიკის განხილვის თვითგამოცხადებული დონე, ზოგადად, ასოცირდება პოლიტიკურ ჩართულობასთან.[56] ბევრმა

---

[52] Kenneth Roberts, Bohdan Jung & others, Poland's First Post-Communist Generation, *Avebury,* England,1995.

[53] ფიშკინი, 2009; ნორისი. 2004.

[54] Dalton, 1996; Norris, 2004.

[55] Almond and Verba, 1965; Dalton, 1996; Norris, 2004.

[56] Jan W. van Deth, “Aconceptual map of political participation”, *Acta Politica,* 2014, 349-367.

გამოკითხვამ აჩვენა კავშირი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ დონესა და ინდივიდებს შორის თვითგამოხატვის ღირებულებების განაწილებას შორის.[57] საზოგადოებებში, სადაც ადამიანებს აქვთ მეტი სოციალურ-ეკონომიკური რესურსები, თვითგამოხატვის ღირებულებები უფრო ფართოდ გავრცელებულია, ვიდრე საზოგადოებებში, სადაც ადამიანებს ნაკლები რესურსები აქვთ.[58]

რიჩარდ კიმბერლის მსჯელობის მოშველიებით მარკ ჩუ ცდილობს ახსნას სწორედ განსხვავებულ თაობათა კავშირები სხვადასხვა სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებთან.[59] წარმოდგენილი მსჯელობა საინტერესოა, რადგან ახალგაზრდებში, ხშირად, შეინიშნება განსხვავებული ხედვები უფროს თაობასთან შედარებით, ამიტომ ამ ყველაფრის გათვალისწინება, ჩვენი კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით, ტექნოლოგიური გლობალიზაციის ფონზე, შეინიშნება პოლიტიკური პროცესებისადმი შესაბამისი დამოკიდებულებისა და ქცევების ცვლილებები, აღნიშნული მსჯელობა წიგნში გადმოცემულია გერი სტოკერის იდენტური ნაშრომით. წარმოდგენილი ქვეთავი საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ აღწერილია თაობათა არჩევნებში მონაწილეობის განსხვავებულ მაჩვენებლების მიზეზები. როგორც წესი,

[57] Almond and Verba, 1965; Dalton, 1996; Norris, 2004.
[58] Ronald Inglehart and Christian Welzel, "Modernization, Cultural Change, and Democracy", *Cambridge University Press,* 2005, p.164.
[59] Mark Chou, Jean-Paul Gagnon, Catherine Hartung, Lesley J. Pruitt, “Young People, Citizenship and Political Participation: Combating Civic Deficit?”, *Rowman & Littlefield Publishers*, March 17, 2017, p.528.

უფროსი თაობა უფრო მეტად მონაწილეობს ხოლმე არჩევებში და აფიქსირებს თავის პოზიციას. ხოლო შედარებით სარისკო ქცევებში უფრო მეტად ახალგაზრდა თაობის ჩართულობა შეინიშნება, მაგალითად, საპროტესტო გამოსვლებში.

## 4. პოლიტიკურ პროცესებისგან ახალგაზრდების დისტანცირების მიზეზები (ანგლო-ამერიკული დემოკრატიების მაგალითი)

ნაშრომში „ახალგაზრდები, მოქალაქეობა და პოლიტიკური მონაწილეობა“, ავტორთა ყურადღება გამახვილებულია ახალგაზრდებზე, როგორც აქტიურ პოლიტიკურ მოქალაქეებზე ანგლო-ამერიკულ დემოკრატიებში - შეერთებული შტატებში, გაერთიანებული სამეფოსა და ავსტრალიაში. ავტორები მიუთითებენ  სამოქალაქო დეფიციტზე ახალგაზრდებს შორის და ამ პროცესში განათლების პროგრამების როლზე, რათა შექმნან ახალგაზრდები, როგორც აქტიური, პოლიტიკურად მცოდნე მოქალაქეები, რომლებიც ენდობიან მთავრობას, პოლიტიკურ პარტიებსა თუ პოლიტიკოსებს.[60] აქვე, ისინი აღნიშნავენ სხვა ავტორიტეტულ ფიგურებში ახალგაზრდობის პოლიტიკური მონაწილეობის დეფიციტზე, უფროს თაობასთან შედარებით.

[60] Mark Chou, Jean-Paul Gagnon, Catherine Hartung, Lesley J. Pruitt, “Young People, Citizenship and Political Participation: Combating Civic Deficit?”, *Rowman & Littlefield Publishers*, March 17, 2017.

მარკ ჩუ აღწერს მოვლენას ბრიტანეთის თემთა პალატაში, როცა 2015 წელს არჩევენებში დეპუტატად 20 წლის მაირი ბლექი აირჩიეს. ამავე წლის 14 ივლისის გამოსვლის აღწერით, ავტორი ცდილობს წარმოაჩინოს ახალგაზრდა დეპუტატის ბრძოლისუნარიანობა ახალგაზრდების სხვადასხვა გამოწვევების დაძლევაში. მკვლევარისთვის ეს ფაქტი მნიშვნელოვანია სხვადასხვა ასპექტებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით, დეპუტატის ასაკის გამო, რადგან იგი ახალგაზრდა დეპუტატის ტიტულს ატარებს ბრიტანეთის პარლამენტის ბოლო სამას წლიანი ისტორიის მანძილზე. ავტორი ყურადღებას ამახვილებს დეპუტატის როლზე ახალგაზრდა თაობისთვის. იგი ერთგვარი წარმომადგენელი გახდა ახალგაზრდებისა და მათი გამოწვევების. აქვე მოყვანილია ბრიტანელი ახალგაზრდობის მკვლევარის ბენჯამინ ბაუმანის სიტყვები, რომელიც ზედმიწევნით აფასებს ახალგაზრდა დეპუტატის შესაძლებლობებს „ბლექი წარმოადგენს ბრიტანეთის ახალგაზრდებს ისეთებს, როგორებიც არიან. ის მუშათა კლასის ოჯახიდანაა, ის ფეხბურთის გულშემატკივარია და ტვიტერის ანგარიში წაუშალეს გინებისა და ჟარგონის გამო. ის არის არტიკულირებული, ინტელექტუალური და უნარიანი“.[61] მარკ ჩუს ხედვით, მაირი ბლექის პარლამენტში გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ის შესანიშ-

[61] Mark Chou, Jean-Paul Gagnon, Catherine Hartung, Lesley J. Pruitt, “Young People, Citizenship and Political Participation: Combating Civic Deficit?”, *Rowman & Littlefield Publishers*, March 17, 2017, p.236.

ნავად აღწერდა იმ რეალობას, რომელიც ბრიტანეთში, ბევრი ახალგაზრდისთვის, კარგად ნაცნობი იყო.

ფართო აკადემიური ლიტერატურის მაგალითებზე დაყრდნობით, ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის სიმწირეს ანგლო-ამერიკულ დემოკრატიულ ქვეყნებში. ავტორის დაკვირვებით, ახალგაზრდები ზურგს აქცევენ სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესებს, როგორებიცაა არჩევნებში მონაწილეობა, პარტიული პოლიტიკისადმი ინტერესი, პეტიციებში მონაწილეობა და სხვა. აქედან გამომდინარე, ავტორი აკავშრებს ამ ფაქტს იმასთან, რომ პოლიტიკოსებმა, მკვლევარებმა და პოპულარულმა კულტურამაც კი ახალგაზრდები პოლიტიკურად აპათიურებად წარმოაჩინეს, რომელთაც არ გააჩნიათ საჭირო პოლიტიკური ცოდნა.[62]

ამის შემდგომ, ავტორი ყურადღებას ამახვილებს ზოგადად ამომრჩეველთა აქტივობის შემცირებაზე ყველა ასაკობრივ ჭრილში ანგლო-ამერიკულ ქვეყნებში. აღნიშნული მსჯელობით ავტორი საარჩევნო დემოკრატიას აკავშირებს მოქალაქეთა პოლიტიკურ ჩართულობასთან და წარმოდგენილ ქვეყნებში ამ მხრივ გარკვეულ მარცხს წარმოგვიჩენს. ახალგაზრდების არ ჩართულობა და დისტანცირება პოლიტიკური პროცესებიგან მძიმე შედეგებს მოიტანს, რადგანაც, როგორც ავტორი აღნიშნავს, „დღევანდელი ახ-

---

[62] Mark Chou, Jean-Paul Gagnon, Catherine Hartung, Lesley J. Pruitt, "Young People, Citizenship and Political Participation: Combating Civic Deficit?", *Rowman & Littlefield Publishers*, March 17, 2017, p.251.

ალგაზრდები ხვალინდელი მოქალაქეები გახდებიან."[63]

ბრიტანეთის მაგალითზე, ავტორი წარმოაჩენს სტატისტიკურ მონაცემებს, რომლის მიხედვითაც, 1990 წლის დასაწყისთან შედარებით, 2000-იან წლებში, 18-24 წლის ახალგაზრდების მონაწილეობა არჩევნებში მკვეთრად შემცირდა (60-დან 40 პროცენტამდე). რატომ ფიქსირდება ახალგაზრდების პასიურობა პოლიტიკურ პროცესებში განსაკუთრებით ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში? მკვლევართა აღნიშვნით, პასუხი უკავშირდება თაობათა განსხვავებებს, რომლებიც ახალგაზრდა ბრიტანელებმა განიცადეს. ამ პერიოდში ბრიტანეთში უფრო ფართო სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები შეინიშნებოდა, რაც ხსნის იმას, თუ რატომ არიან დღევანდელი ახალგაზრდები პოლიტიკისგან უფრო დისტანცირებულნი იმ დროს, როდესაც პარადოქსულად მეტი საშუალებაა მონაწილეობის მისაღებად, ვიდრე ოდესმე. აშშ-ს სიტუაციის მიმოხილვისას, ავტორს მოჰყავს 2008 წლის შემდგომ საპრეზიდენტო არჩევნებში ახალგაზრდების ჩართულობის მაჩვენებელი და მისი განვითარების დინამიკა (ახალგაზრდების (18-29) ნახევარი არჩევნებში არ იღებს მონაწილეობას, ეს რიცხვი ხმის მიცემის უფლების მქონე ამომრჩევლის 21%-ია, რომელთაგანც 10% აშშ-ში რეგულარულად თავს იკავებს მონაწილეობსაგან).

---

[63] Mark Chou, Jean-Paul Gagnon, Catherine Hartung, Lesley J. Pruitt, "Young People, Citizenship and Political Participation: Combating Civic Deficit?", *Rowman & Littlefield Publishers*, March 17, 2017, p. 252.

ანგლო-ამერიკული დემოკრატიების შესწავლისას, ავტორის ყურადღება მახვილდება ავსტრალიაზე. საწყის ეტაპზე იგი გამოყოფს შესწავლის მნიშვნელობასა და უპირატესობას სხვა ქვეყნებთან შედარებით, ხაზს უსვამს მის მოწინავე დემოკრატიულობას სამხრეთ ნახევარსფეროში. ასევე, მნიშვნელოვან ფაქტორად ასახელებს სავალდებულო ხმის მიცემის ტენდენციას, განსხვავებით ბრიტანეთისა და აშშ-სგან. ამ ფონზე ავტორს აქვს მოლოდინი, რომ არჩევნებში მონაწილეობის თვალსაზრის ავსტრალიაში იქნება სტაბილური და ჯანსაღი დემოკრატია. მსჯელობა მართლდება. თუმცა, საინტერესოა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალიაში არჩევნებში მონაწილეობის ბევრად უფრო ჯანსაღი მაჩვენებლები აქვთ, ვიდრე ბრიტანეთს და შეერთებულ შტატებს, ავსტრალიელი ახალგაზრდები მაინც ავლენენ იმავე მიდრეკილებებსა და უპირატესობებს, როგორც მათი ჩრდილოეთ ნახევარსფეროს წარმომადგენლები. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ახალგაზრდა ავსტრალიელების ნახევარი რეალურად არ მიიღებდა არჩევნებში მონაწილეობას, ხმის მიცემა თუ არ იქნებოდა სავალდებულო. ავტორი აღნიშნავს სხვა მკვლევართა დასკვნებს, რომლის მიხედვითაც ავსტრალიაში ახალგაზრდებს გააჩნიათ უნდობლობა პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ, რაც, ბუნებრივია, გავლენას ახდენს მათ არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებელზეც.

საინტერესოა, რატომ არ არიან ახალგაზრდები პოლიტიკურად აქტიურები არა მხოლოდ ანგლო-ამ-

ერიკულ, არამედ, სხვა დემოკრატიულ სახელმწიფო-ებში. კითხვაზე პასუხის გასაცემად, მარკ ჩუ გვთავა-ზობს საინტერესო ანალიტიკურ მიმოხილვას. იგი მი-მოიხილავს პოლიტიკოსების, ექსპერტებისა და მკვლევარების ანგარიშებს ოთხ კატეგორიად, კერ-ძოდ, ახალგაზრდებზე, პოლიტიკაზე, თაობებსა და ღირებულებებზე ორიენტრიბულ ანგარიშებად.

ახალგაზრდებზე ორიენტირებული ანგარიშები, მათი პოლიტიკურ არ ჩართულობას, უკავშირებენ მათ ასაკსა და სოციალურ წარმომავლობას. ამ ფონზე მკვლევარები სხვადასხვა ფაქტორებს გამოარჩევენ. მაგალითად, საუბარია პირველად ხმის მიცემის ასაკ-ზე, რაც უფრო მცირეა ასაკი, მით უფრო მონაწილეობ-ენ არჩევნებში ახალგაზრდები.[64] მკვლევართა მიგნე-ბით, 16-17 წლის ასაკში ახალგაზრდები უფრო მეტად მიიღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას, ვიდრე 18-20 წლის ასაკში. მარკ ჩუს გაანალიზებით, ეს დამოკიდე-ბულია სხვადასხვა გარემო ფაქტორებთან, პატარა ას-აკში უფრო მეტად აქვთ გარშემო მყოფების მხარდა-ჭერა ახალგაზრდებს, ასევე, არ აქვთ გარკვეული სხვა საზრუნავები და უფრო მეტად ინტერესდებიან ამ პროცესით, ვიდრე 18-20 წლის ასაკში, როცა მათი პი-რადი პასუხისმგებლობები და გამოწვევები იზრდება, ამიტომ ხმის მიცემა მეორეხარისხოვანი ხდება.

პოლიტიკაზე ორიენტირებულ ანგარიშებში, აღწე-რილია ახალგაზრდების პოლიტიკური არ მონაწილე-

---

[64] Mark Chou, Jean-Paul Gagnon, Catherine Hartung, Lesley J. Pruitt, “Young People, Citizenship and Political Participation: Combating Civic Deficit?”, *Rowman & Littlefield Publishers*, March 17, 2017, p.423.

ობის განსხვავებული მიზეზები, რომლებიც ძირითადად, დაკავშირებულია კანონმდებლობასა და სახელმწიფო პოლიტიკასთან. ამ სახის ანგარიშებში კითხვები დასმულია პოლიტიკოსების როლზე, პოლიტიკური პარტიებისა და ზოგადად პოლიტიკური სისტემის როლზე ახალგაზრდების პოლიტიკურ არ მონაწილეობაში. აქვე, ავტორის მიერ აღწერილია ზოგიერთი ანგარიში, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრდების პოლიტიკური პროცესებისგან გაუცხოებაზე.[65] აქვე, საინტერესო თემაა აღნიშნული, როდესაც პოლიტიკოსების დაინტერესება ახალგაზრდებისადმი დაკავშირებულია მათ პოლიტიკურ მიზნებთან. ავტორის აღნიშვნით, სხვა შემთხვევაში ახალგაზრდები იგნორინებულნი არიან, რის საილუსტრაციოდაც ერთ-ერთი ავსტრალიელი პოლიტიკოსის გამოსვლები მოჰყავს.[66] პოლიტიკაზე ორიენტირებული მკვლევართა ანგარიში, ასევე, ასახავს ახალგაზრდების დამოკიდებულებას პოლიტიკისადმი, როგორც უინტერესო პროცესს. ამ მსჯელობის ბოლოს, ავტორი გვთავაზობს საინტერესო დასკვნას, რომ განსხვავებული პოლიტიკური სისტემები განაპირობებენ პოლიტიკური მონაწილეობის განსხვავებულ დონეს. ამის საილუსტრაციოდ კი კანადისა და დენმარკის შედარება მოჰყავს, რაც საინტერესო კონტრასტის დანახვის შესაძლებლობას გვაძლევს. კერძოდ, კანადაში უფრო სუს-

[65] Mark Chou, Jean-Paul Gagnon, Catherine Hartung, Lesley J. Pruitt, “Young People, Citizenship and Political Participation: Combating Civic Deficit?”, *Rowman & Littlefield Publishers*, March 17, 2017, p. 453.
[66] იხ. იქვე, გვ. 468.

ტად შეინიშნება ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობა, ხოლო დენმარკში პირიქით, საკმაოდ დიდია ახალაგზრდების ჩართულობა საარჩევნო ხმის მიცემის პროცესში. ამის შემდგომ, ავტორი მკვლევართა ნააზრევზე დაყრდნობით, ხსნის ამ ორი ქვეყნის პოლიტიკური სისტემის თავისებურებებსა და ამ ყველაფრის გავლენას ხმის მიცემის პროცესზე.

## 5. ახალგაზრდების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მოტივაცია

ამერიკელი მკვლევარების ბრეტ ლევისა და თომას აკივას კვლევა წარმოადგენს მტკიცებულებებს ახალგაზრდებში პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობასთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე. პირველი აღმოჩენის მიხედვით, მოლოდინი-ღირებულების მოდელი არის სასარგებლო გზა პოლიტიკურ აქტივობებში მონაწილეობის მოტივაციის კონცეპტუალიზაციისთვის. ავტორები ვარაუდობენ, რომ პოლიტიკური ინტერესი შეიძლება იყოს არსებითად უფრო ძლიერი სამომავლო პოლიტიკური ჩართულობის პროგნოზირებისთვის, ვიდრე პოლიტიკური ეფექტურობისთვის.

მოლოდინი – ღირებულების მოდელს ავტორები განიხილავენ მნიშვნელოვნად ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის აღსაწერად, ასევე, აღნიშნავენ ამ მოდელის როლს პოლიტიკური ჩართულობის შესწავლაში. მრავალფეროვან კვლევებზე დაყრდნობით, ავტორები წარმოადგენენ სხვადასხვა ცვლადე-

ბის გავლენას პოლიტიკურ მონაწილეობაზე, როგორებიცაა განათლების დონე, რასა და სხვა დემოგრაფიული მახასიათებლები. აღნიშნულია ფსიქოლოგიური მახასიათებლების როლიც. მკვლევარები ცხრილის სახით წარმოგვიჩენენ სავარაუდო სამომავლო პოლიტიკური მონაწილეობის განმაპირობებელ ფაქტორებს.[67]

ავტორი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ვარაუდობს, რომ თუკი პედაგოგები, როგორც პოლიტიკური სოციალიზაციის აგენტები, მხარს უჭერენ სტუდენტების პოლიტიკური ინტერესებისა და ეფექტურობის განვითარებას, მიუხედავად სტუდენტების დემოგრაფიული მახასიათებლებისა, ავტორი ასკვნის, რომ პედაგოგებს შეუძლიათ გააძლიერონ სტუდენტების გააქტიურება და დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობა.

წარმოდგენილი ნაშრომი შეესაბამება ჩემს საკვლევ თემატიკას და მრავალფეროვან სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გვაძლევს ინფორმაციას აშშ–ში ახალგაზრდობის პოლიტიკურ მოტივაციასთან დაკავშირებით. აღნიშნული კი, თავის მხრივ, საქართველოსთან კონტრასტის დანახვის შესაძლებლობას გვაძლევს.

[67] Brett Levy and Thomas Akiva, "Motivating Political Participation Among Youth: An Analysis of Factors Related to Adolescents’ Political Engagement", *University at Albany, State University of New York*, 2019, p.22.

## 6. ახალგაზრდების ჩართულობა საარჩევნო პროცესებში

დანა ფიშერი სტატიაში „ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობა: აქტივიზმსა და საარჩევნო პოლიტიკას შორის“, მიმოხილულია პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელობა აქტივიზმისა და საარჩევნო პერიოდის პოლიტიკის პროცესში. ავტორი ცდილობს, ახსნას კავშირი სოციალურ მოძრაობებსა და ელექტორალურ პოლიტიკას შორის. ახალგაზრდა ამერიკელების გამოცდილებაზე ფოკუსირებული ეს მიმოხილვა იკვლევს აღნიშნულ ურთიერთობას და ასახავს მომავალი კვლევის შესაძლებლობებს. იგი დაყოფილია სამ ნაწილად. თავდაპირველად მიმოხილულია აშშ–ში ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის შესწავლის მთავარი თემები, სადაც მრავლფეროვან ლიტერატურასა და თეორიებზე  დაყრდნობით მიმოხილულია პოლიტიკური მონაწილების თემატიკასთან რელევანტური მოსაზრებები. შემდგომ ნაწილში ავტორი ცდილობს, თავისი მსჯელობა გაამყაროს 2008 წლის არჩევნების მაგალითების გამოყენებით, სტატია განიხილავს ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის ბოლო დროინდელ ზრდას. ბოლოს კი გაანალიზებულია 2008 წლის ბარაკ ობამას კამპანიასა და  მომავალ, 2012 წლის, არჩევნებს. აღნიშნული მსჯელობით ავტორი ცდილობს,  ხაზი გაუსვას  აშშ–ს თანამედროვე პოლიტიკაში არსებულ ცვლილებებს, საუბარია აქტივიზმსა და საარჩევნო პოლიტიკას შორის უამრავ კავ-

შირზე, რითაც გვთავაზობს შემდგომი ცვლილებების დიდ შესაძლებლობებს.[68]

პოლიტიკური მონაწილეობის ცვალებადი ნიმუშები ბევრ დასავლურ დემოკრატიაში შეინიშნება, სადაც ახალი სოციალური მოძრაობები ქმნიან გამოწვევას, პოლიტიკურ წესრიგს სამოქალაქო ჩართულობის ახალი ფორმებით და საზოგადოებრივი ინტერესების გამოხატვის ახალი საშუალებებით.[69] „მოქმედების ძველი ფორმები - ხმის მიცემა, პარტიული მუშაობა და კამპანიის აქტივობა - კლებულობს, პირიქით, გაიზარდა მონაწილეობა მოქალაქეების მიერ ინიცირებულ და პოლიტიკაზე ორიენტირებულ პოლიტიკურ საქმიანობაში".[70]

ნაშრომში „ახალგაზრდა ამომრჩევლის შექმნა: სამოქალაქო დამოკიდებულების სამოქალაქო ქმედებად გადაქცევა",[71] შემოთავაზებულია ახალგაზრდობის პოლიტიკური მონაწილეობის გამოცდილების მიმოხილვა და შესწავლა. ამავდროულად, განხილულია ამომრჩეველთა აქტივობის შეცვლილი მოდელის გავლენა სამომავლო პოლიტიკის რეფორმებზე. ფართო თეორიული მიმოხილვის საფუძველზე, ნაშრომი პასუ-

---

[68] Dana R. Fisher, "Youth Political Participation: Bridging Activism and Electoral Politics", *Annual Review of Sociology, Vol. 38, 2012, 119–137.*

[69] Pippa Norris, "The Growth of Critical Citizens and its Consequences", In Critical Citizens: Global Support for Democratic Government, 1999, *Oxford University Press,* pp. 257 – 272.

[70] Russell J. Dalton, "Citizen Politics: Public Opinion and Political Parties in Advanced Industrial Democracies", *Chatham House Publishers/Seven Bridges Press,* 2002, p.70.

[71] John B. Holbein, D. Sunshine Hillygus, Making Youth Voters, Public Opinion *Quarterly*, Volume 85, Issue 2, Summer 2021, Pages 725–727.

ხობს კითხვას, თუ რა აიძულებს ახალგაზრდებს ხმის მიცემას. ამავდროულად, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ახალგაზრდების აქტიურობის გასაზრდელად.

არაკოგნიტურ უნარებს მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია განათლების სისტემაზე. ავტორთა ხედვით, ეს არის საკვანძო სფერო ინსტიტუციური რეფორმისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ ძლიერი კავშირია განათლების სისტემასა და არაკოგნიტურ უნარების განვითარებას შორის. ავტორები ცდილობენ გვაჩვენონ, რომ სამოქალაქო განათლება არ მოქმედებს ინდივიდის აქტივობაზე. ხმის მიცემასთან დაკავშირებული პრობლემების ხსენებისას, ავტორები საუბრობენ განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისთვის გამოწვევების სიმწვავეზე, განსაკუთრებით მათთვის, ვინც პირველად იღებს არჩევნებში მონაწილეობას. ავტორთა აღნიშვნით, „სამოქალაქო დამოკიდებულებები პირდაპირ არ ითარგმნება სამოქალაქო ქმედებებში“.[72]

სამოქალაქო ჩართულობა გადამწყვეტია მოქალაქეობის ცნებებისა და დემოკრატიის ზოგადი სიჯანსაღისთვის. ნაშრომში წარმოდგენილია ფართო ლიტერატურის მიმოხილვა, რომელში ასახულია კვლევის შედეგები, რომ ადამიანები, რომლებიც ახალგაზრდობაშივე იღებენ მონაწილეობას არჩევნებში, უფრო ხშირად აგრძლებენ მონაწილეობას მომავალშიც, ხოლო პირიქით ტენდენციის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი იკლებს.

---

[72] Mark Chou, Jean-Paul Gagnon, Catherine Hartung, Lesley J. Pruitt, “Young People, Citizenship and Political Participation: Combating Civic Deficit?”, *Rowman & Littlefield Publishers*, March 17, 2017, p.2.

ნაშრომი მოიცავს ახალგაზრდების უარყოფით მხარეების მიმოხილვას, რომლებიც მოდის ინდივიდის ქცევიდან. წარმოდგენილია ლიტერატურის მიმოხილვა, რომლითაც ავტორები ცდილობენ დაგვანახონ ახალგაზრდების ინდივიდუალური ფაქტორების როლი პოლიტიკურ აქტოივობაზე, მაგალითად, დაბალი ინტერესი და მოტივაცია, მეტიც, „ზიზღი“ პოლიტიკის მიმართ.[73] წიგნის ავტორთა დასკვნით, ამომრჩეველთა დაბალი აქტივობის მიუხედავად, ახალგაზრდებს სამოქალაქო ორიენტაცია მაინც აქვთ. მსჯელობა ბოლოს იმით ჯამდება რომ არჩევნებში  მიუხედავად ახალგაზრდების ნაკლები ჩართულობისა, ისინი მაინც არიან პოლიტიკურად მოტივირებულნი და დაინტერესებულნი, რასაც აშშ-ში ჩატარებული კვლევებიც ცხადჰყოფს.

ზემოთ აღნიშნული გამოწვევის მიზეზად წიგნის ავტორები მოიაზრებენ იმას, რომ არჩევნებში მონაწილეობას ახალგაზრდები, შესაძლოა, პოლიტიკური მონაწილეობის სხვა ფორმებს ამჯობინებდნენ, როგორებიცაა პროტესტი, ონლაინ აქტივიზმი ან მოხალისეობა. აქვე, მოცემულია მკვლევართა დაკვირვებები იმასთან დაკავშირებით, რომ ახალგაზრდები, რომელბიც აშშ-ში არ მონაწილეობდნენ არჩევნებში, მაინც ფიქსირდებოდნენ სხვა პოლიტიკურ აქტივობებში. ავტორები ასკვნიან, რომ ახალგაზრდების პოლიტიკური ინტერესების გაზრდაზე გაცილებით რთული მათი არჩევნებზე მონაწილეობის გაზრდაა.

[73] W. Lance Bennett, The UnCivic Culture: Communication, Identity, and theRise of Lifestyle Politics, 1998, *Cambridge University Press*, Vol. 31, No. 4 (Dec., 1998), pp. 740-761.

# თავი II. საქართველოში ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის მიმართულებით ლიტერატურისა და სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი

## 1. ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოში ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის გაანალიზებისას საინტერესოა ბოლო წლებში (2021-2022) ჩატარებული კვლევა. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია ახალგაზრდების პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩართულობის სიღრმისეულ ანალიზზე. კვლევა საინტერესოა, რადგან ასახულია რვა პოლიტიკური პარტიის მონაცემები მათი გამოწვევები და მიღწევები ახალგაზრდების თავიან პროცესებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. პოლიტიკური პარტიების ეფექტიანობის შესაფასებლად კველევის ანგარიშში წარმოდგენილია ექვსი კრიტერიუმი.[74]

შესავალში აღნიშნულია ახალგაზრდბის როლი საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში პარტიათა მრავალფეროვნების ფონზე, აქვე დასმულია პრობლემა ახალგაზრდების პოლიტიკაში მონაწილეობასა და მათი, როგორც აქტიურ პოლიტიკურ სეგმენტად ჩამოსაყალიბებლად. ამავე ნაწილში აღნიშნულია ახალგაზრდობის ამ პრობლემის სიმწვავე განსაკუთრე-

[74] შალვა ჩხეიძე, ზურა გამთენაძე, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების ანალიზი, 2021-2022.

ბით რეგიონებში. ახალგაზრდების პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის თვალსაზრისით ხაზგასმულია სამი ფაქტორი: 1) პოლიტიკური ნება პარტიების ლიდერების მხრიდან, 2) პარტიების შიდაორგანიზაციული მექანიზმების ეფექტიანობა და 3) ახალგაზრდების დაინტერესება პარტიული პოლიტიკით. ამავდროულად, ექსპერტთა ხედვით, საქართველოში ახალგაზრდობას უფრო მეტად აქვს ცვლილების მოტივაცია, ვიდრე უფროს თაობებს, რომლებიც მიჩვეულნი არიან არსებულ რეალობას. ახალგაზრდობის ასეთი მონდომება და ცვლილებების სურვილი გამოწვეულია უსამართლობის მძაფრი შეგრძნებით.[75]

კვლევა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ შესწავლილია საერთაშორისო პრაქტიკა ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობასთან დაკავშირებით. აღწერილია ლიეტუვისა და პოლონეთის მაგალითი. მონაცემების მიხედვით, ლიეტუვაში მაღალია მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდების ჩართულობა სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან საკითხებში, ხაზგასმულია ქვეყნის ეროვნული ახალგაზრდული პოლიტიკის პრიორიტეტულობა, თუმცა აღნიშნულია პარტიულ აქტივობებში ჩართულობის მიუხედავად ახალგაზრდების საჯარო საქმიანობებში მონაწილეობის ბუნდოვანება. რაც შეეხება პოლონეთს, კვლევის მიხედვით, „ახალგაზრდების პოლიტიკაში ჩართულობის კუთხით საკმაოდ პოზიტიური სიტუაციაა. რასაც ადას-

[75] მარიამ გელხაური, „ახალგაზრდების მოტივები პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩართულობისას," ჟურნალი *„პოლიტიკა"*, 2023, ტომი 7, N4, გვ.4.

ტურებს წარმოდგენილი პოლიტიკური მონაწილეობის სხვადასხვა ფორმები, მაგალითად პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანება“.[76] წარმოდგენილი ანგარიში ღირებულია ჩემს კვლევასთან მიმართებაში, რათა დავინახოთ სურათი ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმის მიმართულებით, რომელიც პოლიტიკურ პარტიებში ჩართულობას გულისხმობს. ავტორები, განიხილავენ ქართული პოლიტიკური პარტიების სხვადასხვა მახასიათებლებს, როგორებიცაა წევრების მოტივაცია, რეგიონალური საქმიანობა, კარიერული წინსვლის პერსპექტივები და პოსტ–საარჩევნო პერიოდი. გარდა პოლიტიკურ პარტიებთან ინტერვიუებისა, საინტერესოა ექსპერტების შეფასებები, რომლებიც ურთიერთსაპირისპიროა, კერძოდ, პარტიები თავიანთ ახალგაზრდულ ორგანიზაციის ეფექტიანობას დადებითად წარმოაჩენენ, ხოლო ექსპერტები ხაზს უსვამენ ახალგაზრდების პოლიტიკური განვითარებისთვის პარტიებში  ნაკლებ პერსპექტივას. ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებიდან გამომდინარე, პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციების მეტად ზუსტი გაანალიზებისთვის, სამომავლო კვლევების პერსპექტივა, ძალზედ მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

ანგარიში, რომელსაც თეონა ტურიაშვილი გვთავაზობს, გვეხმარება, გავიაზროთ საქართველოში ახალ-

---

მარიამ გელხაური, „ახალგაზრდების მოტივები პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩართულობისას,“ ჟურნალი *„პოლიტიკა“*, 2023, ტომი 7, N4, გვ.4.

გაზრდების პოლიტიკური აქტიურობის მნიშვნელობა, მათი ინფრმირებულობის მაჩვენებელი და პოლიტიკური ჩართულობის მთავარი მექანიზმები. ნაშრომის დასწყისში, ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში „ახალგაზრდები მოკლებულნი არიან სიღრმისეულ ინფორმაციას პოლიტიკური პროცესების შესახებ.“[77] ავტორი კვლევებზე დაყრდნობით,[78] ადასტურებს ახალგაზრდების დაბალ პოლიტიკურ ინფორმირებულობას. გარდა ამისა, ანგარიშში მოყვანილია სხვადასხვა ფაქტები, რითიც ახსნილია ახალგაზრდების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის მნიშვნელობა.

წარმოდგენილი ანგარიშის გაანალიზებით, შეგვიძლია, ავხსნათ საქართველოში ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის დაბალი ჩართულობის მიზეზები. ასევე, შევადაროთ აღნიშნული მდგომარეობა თანამედროვე ქართულ რეალობას. კვლევაში წარმოდგენილია ახალგაზრდების მთავარი გმოწვევები, რითიც ავტორი ცდილობს დაგვანახოს ახალგაზრდების დაბალი პოლიტიკურ აქტივობის მკვეთრი კავშირი არსებულ გამოწვევებთან.[79] ავტორის ხედვით, „პოლიტიკური პარტიებსა და მათ ახალგზრდულ ორგანიზაციებს იშვიათად აქვთ პოლიტიკური ელიტის წევრთა რეკრუტირებისა და პოლიტიკური კარიერისთვის მომზადების ფუნქცია“.[80] ყველაფერი ეს კი,

[77] თეონა ტურიაშვილი, „საარჩევნო პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობა და პოლიტიკური ელიტის როლი საქართველოში“, 2018, გვ.2.
[78] მაგალითად, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის კვლევები.
[79] თეონა ტურიაშვილი, „საარჩევნო პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობა და პოლიტიკური ელიტის როლი საქართველოში“, 2018, გვ. 3.
[80] იხ. იქვე, გვ.4.

საბოლოოდ, ახალგაზრდებში პოლიტიკური ნიჰილიზმის გამომწვევია. მკვლევარი, ანგარიშის ბოლოს, გვთავაზობს რეკომენდაციებს, რომლებიც ახალგაზრდების პოლიტიკური ცნობიერებისა და პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობას ემსახურება.

## 2. სახელმწიფო პოლიტიკის განვითარების დინამიკა საქართველოში ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის მიმართულებით

დემოკრატიულ სახელმწიფოში ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია, შექმნას პირობები, შესაძლებლობები და გამოცდილება, რაც ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს, განივითარონ ცოდნა, უნარები და ჩაერთონ დემოკრატიის მშენებლობის პროცესში, როგორც სამოქალაქო საზოგადოების კომპეტენტური და აქტიური წევრები.[81]

საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხები და ახალგაზრდობის გამოწვევების პრიორიტეტად წამოწევის მცდელობა დეკლარირებულ დონეზე, 2010 წლიდან, აქტიურ დღის წესრიგში დგას, როდესაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო შეიქმნა.[82] საქართველოს ახალგაზრდული

[81] თინათინ გოგატიშვილი, „როგორ შეძლო ფინეთმა ახალგაზრდული პოლიტიკის ეტაპობრივი განვითარება: გაკვეთილები საქართველოსთვის", 18 მარტი, 2022წ.

[82] საქართველოს მთავრობის დადგენილება №183, „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1022587?publication=0
7 ივლისი, 2010 წ.

პოლიტიკა წარმოადგენს 14-29 წლის პირების განვითარებასა და ხელშეწყობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს, რომელიც მოიცავს სახელმწიფო სტრუქტურების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის პოლიტიკის და მონაწილეობის საკითხებს.[83]

ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების თვალსაზრისით, 2014 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფო ახალგზრდული პოლიტიკა, დოკუმენტის მიხედვით, ახალგაზრდული საქმიანობა გულისხმობს საგანმანათლებლო საქმიანობას ახალგაზრდებთან და ახალგაზრდებისთვის, რომლის ერთ-ერთ მექანიზმად დასახელებულია საზოგადოებაში მათი აქტიური მონაწილეობა და ინტეგრაცია.[84] (საქართველოს მთავრობა, 2014) ახალგაზრდული პოლიტიკის პრიორიტეტების განსახორციელებლად, მონაწილეობა, ოთხ სტატეგიულ მიმართულებას შორის ერთ-ერთია.[85] მონაწილეობაში კი ერთ-ერთი ამოცანა პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილობას მოიაზრებს. აღნიშნულის ხელშეწყობის მიზნით კი, ცნობიერების ამაღლების კუთხით, განსაკუთრებით, არაფორმალური განათლებით, სხვადასხვა ნაბიჯებია დასახული. 2014

[83] ბაჩო ბითარი ხუროშვილი & ბუბა ხუცურაული, „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დიზაინი, დასაქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დიზაინი და იმპლემენტაცია 2014- 2020 წლებში", 2021.
[84] საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს მთავრობა, 2014 წლის 2 აპრილის №553 განკარგულება, გვ. 5.
[85] იხ. იქვე, გვ.6.

წლის სახელმწიფო დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს მთავრობა გეგმავდა გამოეყენებინა სტრუქტურული დიალოგი, როგორც ახალგაზრდულ პოლიტიკაში ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფის მექანიზმი.[86] ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტზე დაყრდნობით, ერთ წელში, მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა „საქართველოს სახელმწიფო ახლგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედი გეგმა (2015-2020)“, სადაც უფრო დეტალურად გაიწერა ძირითადი სამოქმედო პრიორიტეტები.[87]

საქართველოში შემდგომი სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკა პარლამენტის დადგენილებით შემუშავებულ დოკუმენეტში გაიწერა, რომელიც 2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციას წარმოადგენს. ახალგაზრულ პოლიტიკასთან მიმართებით, დოკუმენეტში „განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები და მათი განხორციელებისთვის დაწესებული პასუხისმგებლობები“.[88] დოკუმენეტში ხაზგასმულია „სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკა ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად“.[89] სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს „საზოგადოებრივ

---

[86] საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს მთავრობა, 2014 წლის 2 აპრილის №553 განკარგულება, გვ. 20.

[87] საქართველოს მთავრობის განკარგულება N349, 5 მარტი, 2015 წ. ქ. თბილისი.

[88] „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, 2020.

[89] საქართველოს პარლამენტის დადგენილება, 2020.

ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ახალგაზრდების 90.4%-მა იცის, რომ მათ აქვთ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება, თუმცა მათი რეალური მონაწილეობის დონე ძალიან დაბალია და ყოველწლიურად იკლებს (2014 წელს შესაბამისი მაჩვენებელი 10.9% იყო, ხოლო 2016 წელს – 6%)“.[90]

ახალგაზრდების განვითარების მიმართულებით ბოლო წლებში შექმნილი სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებიდან აღსანიშნავია „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“. „სტრატეგიის შექმნის ამოცანაა „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციით“ განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელება კოორდინირებულად, სტრუქტურირებულად და გამჭვირვალედ. დოკუმენტში, ასევე, აღნიშნულია, რომ ამ სტრატეგიის ამოცანების განხორციელება პირდაპირ პასუხობს სამთავრობო პროგრამის, „2021–2024 ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის" ერთ-ერთი მიმართულებით, ახალგაზრდული პოლიტიკით განსაზღვრულ მიზნებს და ,,ხედვა 2030 - სასქართველოს განვითარების სტრატეგია", ერთ-ერთი ქვეთავის, ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნებს“.[91]

---

[90] „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, დოკუმენტის ნოემრი 7054, 17 ივლისი, 2020, გვ. 4.
[91] „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №606, Matsne.gov.ge, 29 დეკემბერი, 2022, გვ.2

დოკუმენტის მიხედვით, ახალგაზრდების განვითარებაზე საუბრისას, საზოგადოებრივი ცხოვრების 4 მთავარი განზომილებიდან, მონაწილეობა, ერთ-ერთია. ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ და დემოკრატიულ პროცესებში - სტარტეგიის შემადგენელ ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს. ახალგაზრდების მონაწილეობის ხელისშემშლელ ფაქტორებად სტრატეგიაში დასახელებულია მათ ირგვლივ არსებული გამოწვევები სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ხაზგასმულია ბოლო წლებში პანდემიის ნეგატიური ზეგავლენა.[92] აქვე, ერთ-ერთ გამოწვევად დასახელებულია ახალგაზრდების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაბალი დონე, რომელთა უკეთ გააზრებითაც მოქალაქეები დემოკრატიულ ღირებულებებს იცავენ, მათ შორის კი მონაწილეობის გააზრებით. ამ გამოწვევის ძირითად მიზეზებად კი დასახელებულია სამოქალაქო პასუხისმგებლობის ვიწრო სპექტრში გააზრება და ახალგაზრდების მოტივაციის დაბალი დონე. სტრატეგიის მიხედვით, საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმი, ძირითადად, პოლიტიკასთან, პროტესტთან და ქუჩის აქციებთან არის გაიგივებული, და 2017 წლის კვლევის მონაცემებით, გამყარებულია მსჯელობა, რომ ახალგაზრდების ნაწილი სათემო აქტივობებში საერთოდ არ მონაწილეობს, აღნიშნული გამოწვევის დაძლევის გზად კი დასახელებულია სკოლებში სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა.[93]

---

[92] „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №606, Matsne.gov.ge, 29 დეკემბერი, 2022, გვ.6 (ნანახია 11.03.2024).
[93] იხ. იქვე. გვ.21-22.

საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების თანაბარი მონაწილეობა ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ახალგაზრდების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დონის ამაღლებას, მეორე მხრივ კი - პოლიტიკური პროცესების გამჭვირვალობასა და პოლიტიკურ დღის წესრიგში ახალგაზრდული საკითხების უკეთ წარმოჩენას. ამავდროულად, მათი კომპეტენციებისა და უნარების განვითარებას. დოკუმენტის მიხედვით, ეს მიზანი პირდაპირ უკავშირდება გაეროს მდგრადი განვითარების მე-16 მიზანს („მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები“) და „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ პირველ პრიორიტეტს („საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა“). ამავე კონცეფციის მიხედვით, წარმოდგენილი მიზნის მიღწევით ახალგაზრდებს აუმაღლდებათ სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დონე; გაიზრდება გადაწყვეტილების მიღებისა და დემოკრატიულ პროცესებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა.[94]

სახელმწიფოს მიერ, აღნიშნული მიზნის მისაღწევად, დასახულია ექვსი ძრითადი ამოცანა, რომელიც უკავშირდება ცნობიერების ამაღლების მიმართულებით წარმოებული კამპანიების მეშვეობით, ახალ-

---

[94] „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №606, Matsne.gov.ge, 29 დეკემბერი, 2022, გვ.36 (ნანახია 11.03.2024).

გაზრდების მონაწილეობას სხვადასხვა საზოგადოებ-რივ საქმიანობებსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. უფრო დეტალურად, ამ მიმართულებით ძი-რითადი ნაბიჯები მოცემულია, საქართველოს ახალ-გაზრდული პოლიტიკის სახელმწიფო დადგენილე-ბებში, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში არსებობს გა-წერილი პოლიტიკა, ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების მცდელობის თვალსაზ-რისით. ახალგაზრდობის სამინისტრო ერთ-ერთ მთავრ მიზანად თავის კონცეფციაში, ახალგაზრდე-ბის პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობას ით-ვალისწინებს სხვადასხვა აქტივობებით, მაგალითად, „მონაწილეობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის გან-ვითარების ხელშეწყობა ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს შექმნა, ახალგაზრდების და ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის ეროვნული და რეგიონული ფო-რუმების ორგანიზება“.[95]

2022 წლის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუ-ტის ანგარიში ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრ-დების მონაწილეობაზე საქართველოს საგარეო პო-ლიტიკის მიმართულებით. კვლევის ფარგლებში შეს-წავლილია ახალგაზრდების დამოკიდებულებები პო-ლიტიკური და დემოკრატიული პროცესების მიმართ. ასევე, მათი პოლიტიკაში ჩართულობა და სამოქა-ლაქო აქტივიზმის დონე. კვლევის შედეგად გამოიკ-ვეთა, რომ ქართველ ახალგაზრდებს, ზოგადად, პოლიტიკის და პოლიტიკური პარტიების მიმართ ნე-

---

[95] Youthplatform.gov.ge, ახალგაზრდობის სააგენტო (ჩვენ შესახებ), 2021 https://youthplatform.gov.ge/ka/about

გატიური დამოკიდებულება აქვთ, ისინი პოლიტიკურ პროცესებში, ფაქტობრივად, არ ერთვებიან და ცდილობენ მაქსიმალურ დისტანცირებას.[96] ამავდროულად, ანგარიში გამოკვეთს ახალგაზრდების უმნიშვნელოვანეს როლს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რომელიც, თავის მხრივ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების საფუძველია. ახალგაზრდები ხშირად არიან ცვლილების, განვითარებისა და ინოვაციების ინიციატორები.[97]

ამავე დოკუმენტით, აღნიშნულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული რამდენიმე დოკუმენტი ახალგაზრდების სამოქალაქო პროცესებში ჩართულობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, კერძოდ, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები 2250 (2015) (UN, 2015) და 2419 (UN, Increasing Role of Youth in Negotiating, Implementing Peace Agreements, 2018) (2018) აღიარებს, რომ ახალგაზრდები თამაშობენ მნიშვნელოვან და დადებით როლს მდგრადი განვითარების რეალიზებაში, კრიზისების პრევენციასა და მშვიდობის დამყარებაში. გაეროს ახალგაზრდობის სტრატეგია (UN, UN Youth Strategy 2030, 2018) არის პირველი მცდელობა ახალგაზრდების ჩართულობის გაძლიერებისათვის საერთაშორისო თანამეგობრობის დონეზე და კიდევ ერთხელ ადასტუ-

---

[96] საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2022, „ახალგაზრდების მონაწილეობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში: გამოწვევები და შესაძლებლობები", gip.ge, გვ.8.

[97] იხ. იქვე, გვ. 7.

რებს გაეროს გზავნილს, რომ ისინი არიან „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აქტივი, რომელშიც ინვესტირება ღირს“.[98] წარმოდგენილი დასკვნები ღირებულია ჩემი ნაშრომის ფარგლებში, რადგანაც, კიდევ ერთხელ დასტურდება ახალგაზრდების, როგორც მნიშვნელოვანი სოციალური ჯგუფის როლი საზოგადოებაში.

საქართველოში ახალგაზრდების ღირებულებებისა და მათი პოლიტიკური მონაწილეობის კვლევა „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის“ (GFSIS) ინიციატივით „CRRC-საქართველომ“ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით ჩაატარა. კვლევა მიზნად ისახავს პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის, მათი აღქმებისა და დამოკიდებულებების შესწავლას რამდენიმე მიმართულებით. მათ შორის კი ჩემი ნაშრომის ფარგლებში საინტერესო აღმოჩნდა პოლიტიკური მონაწილეობა და აქტივიზმი. როდესაც ვსაუბრობთ ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი როლისა პოლიტიკური ცვლილებების პროცესში, აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში ახალგაზრდების პასიურობასთან დაკავშირებით CRRC-ის კვლევის ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დიდი ნაწილი თანხმდება, გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ წინა თაობებთან შედარე-

[98] საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2022, „ახალგაზრდების მონაწილეობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში: გამოწვევები და შესაძლებლობები“, gip.ge, გვ. 7.

ბით, ახალგაზრდები დღეს მეტად გააქტიურებულები არიან. ზოგი კი მიიჩნევს, რომ თუკი წინა წლებში, ძირითადად, წინა თაობები იყვნენ აქტიურები, ახლა ახალგაზრდებიც გააქტიურდნენ, მაგალითად, საპროტესტო აქციებში მეტად მონაწილეობენ. თუმცა, აქვე გამოიკვეთა პრობლემა რომ მათ სიტყვას „ნაკლებად აქვს ძალა“.[99]

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის 2021 წლის კვლევის ანგარიშით დასტურდება, რომ ახალგაზრდები ნაკლებად ან საერთოდ არ არიან ჩართულები სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. გამოკითხული ახალგაზრდები პოლიტიკაში მონაწილეობის მიმართ დაბალ ინტერესს, ძირითადად, ხსნიან პოლიტიკური სპექტრის უცვლელობითა და არჩევანის უქონლობით, არჩევნების მუდმივად გაყალბების მოლოდინით. ამავდროულად, ახალგაზრდების აზრით, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებით დაინტერესება მეტია, ვიდრე მონაწილეობა.[100]

---

[99] ახალგაზრდების ღირებულებები და პოლიტიკური აქტივიზმი საქართველოში, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (CRRC), 2021, გვ. 36.
[100] იხ. იქვე, გვ. 35.

# თავი III. ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში საპროტესტო გამოსვლების მაგალითზე

საქართველოს ისტორია ცხადჰყოფს, რომ ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში, ხშირად, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ არის მიმართული. ზოგიერთი მკვლევარის ხედვით, ახალგაზრდები უფრო პროგრესულები არიან. განსაკუთრებით ავტორიტარულ ქვეყნებში არის ახალგაზრდების როლი მნიშვნელოვანი, მაგალითად, პოლონეთში წინა ხელისუფლების დროს დემოკრატიის კუთხით პრობლემები რომ იყო, არჩევნებზე მეტი ახალგაზრდა მივიდა და ხელისუფლება შეცვალეს.[101]

რაც უფრო შორდება მმართველი რგოლი დემოკრატიულ პრინციპებს და ისწრაფის ავტორიტარიზმისა თუ ტოტალიტარიზმისკენ, მით უფრო აქტიურდება ახლგაზრდების საპროტესტო ტალღა. აღნიშნულის მტკიცებულება, საბჭოთა საქართველოშიც შეინიშნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდული საპროტესტო ორგანიზაციები საბჭოთა რეჟიმის მხრიდან მკაცრად კონტროლდებოდა და ისჯებოდა, ახალგაზრდობა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნებში, მაინც არ უშინდებოდა სისტემის მხრიდან რეპრესიებს.

---

[101] თეა თოფურია, „ახალგაზრდები არჩევნების შედეგებს შეცვლიან?“ ამონარიდი ლევან ნატროშვილის ინტერვიუდან, *რადიო თავისუფლება*, 24 აპრილი, 2024.

ნაშრომის წინამდებარე თავი ეთმობა საქართველოში საბჭოთა პერიოდიდან თანმედროვე პერიოდის ჩათვლით, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, საქართველოში ახალგაზრდების ჩართულობის გაანალიზებას საპროტესტო მოვლენებში. მოვლენების ანალიზი ადასტურებს ახალგაზრდა თაობის უმნიშვნელოვანეს როლს ქვეყნისთვის ფუნდამენტური ცვილებების პროცესში.

## 1. ახალგაზრდების საპროტესტო გამოსვლები საბჭოთა საქართველოში. ორგანიზაცია „გორგასლიანი“ და 1956 წლის 9 მარტის მოვლენები

საბჭოთა რეჟიმის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული ახალგაზრდების საპროტესტო გამოსვლები მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან იწყება. ამ პროცესებში აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ ახალგაზრდობის როლი. 1946 წელს ოთხმა ქართველმა სტუდენტმა - გიორგი ცინცაძემ, ალექსანდრე მელაძემ, შოთა ჯიჯაძემ და ბორის ხუხუამ - შექმნეს პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანიც იყო საქართველოს გათავისუფლება მშვიდობიანი გზით, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის იმ ნორმის მიხედვით, რომელიც უშვებდა კავშირში გაერთიანებული რესპუბლიკების გასვლას. 1948 წელს გიორგი ცინცაძე, ალეკო მელაძე, შოთა ჯიჯაძე, იური მაჩაიძე, ბორის ხუხუა, კუკური ძიმისტარაშვილი, თენგიზ ზალდასტანიშვილი, ოტია პაჭკორია, გივი მაღულარია, გივი ანთელავა და გოგი

ჩიქობავა დააპატიმრეს. უკანასკნელი ორი ავადმყოფობის მიზეზით არ გაუსამართლებიათ, ხოლო დანარჩენს 25-25 წელი მიუსაჯეს. 1948-1956 წლებში ცინცაძე სასჯელს იხდიდა კოლიმის საკონცენტრაციო ბანაკში. 1957 წელს რეაბილიტაციის შემდეგ, მან სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო.[102] რაც შეეხება, შოთა ჯიჯაძეს, შემდგომ წლებში იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების პროფესორი გახდა. მან, თავის თანამოაზრეებთან ერთად, დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ანტისაბჭოტა ქმედებებით განმსჭვალულ ახალგაზრდულ-სტუდენტურ მოძრაობას წარმოადგენდა მე-XX საუკუნის 50-იან წლებში შექმნილი ორგანიზაცია „გორგასლიანი“. „გორგასლიანი“ არალეგალური პატრიოტული ორგანიზაცია იყო, რომელიც 1953 წლის მაისში შეიქმნა. ჯგუფი შედგებოდა 9 წევრისგან: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ანატოლი მიქაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, თეიმურაზ (ჯონდო) მეტრეველი, თეიმურაზ ცერცვაძე, თამაზ გუნჯუა, გურამ დოჩანაშვილი და გურამ სხირტლაძე.[103]

„გორგასლიანს“ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა მეთაურობდნენ. სწორედ, ამ აქტივობიდან იწყება მათი წინააღმდეგობრივი აქტივიზმი საბჭოთა

---

[102] ზაზა ფირლიშვილი, გიორგი ცინცაძე - ბიოგრაფია, *ქართული ფილოსოფიისა და თეოლოგიის ენციკლოპედია*, 27 აგვისტო, 2021.
[103] ინფორმაცია, ორგანიზაციის წევრებზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბჭოთა ოკუპაციის ამსახველ ექსპოზიციაში ორგანიზაციის „გორგასლიანი“ სტენდიდან, *IDFI*, 2019.

სისტემის მიმართ, რომელიც შემდგომ, უკვე მე-20 საუკუნის 70-ინი წლებიდან, ეროვნულ-განმათვისუფლებელ მოძრაობად იქცა. საბჭოთა კავშირის შემადგენლოობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით (განსაკუთრებით 1924, 1936–1938, 1949–1951, 1956 წლებში), რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები. ამ მოვლენამ თვისებრივად ახალ ეტაპზე აიყვანა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.[104] აღსანიშნავია, რომ „გორგასლიანის“ აქტივისტთა შორის სკოლის მოსწავლეებიც ფიგურირებდნენ. სწორედ მათი აქტიური ჩართულობით მოხდა 1956 წლის ანტისაბჭოთა პროკლამაციების მომზადება და თბილისის ქუჩებში გამოკვრა.

1956 წელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ტრაგიკული წელია. სწორედ, ამ წლის 9 მარტს საბჭოთა რეჟიმმა ქართველი ხალხის პროტესტი ნიკიტა ხრუშჩოვის პოლიტიკის მიმართ, სასტიკად ჩაახშო. ოფიციალური მონაცემებით, 9 მარტს, საპროტესტო აქციის დროს, 27 ადამიანი დაიღუპა, თუმცა, არაოფიციალური ინფორმაციით, დახოცილთა რაოდენობამ 100-ს გადააჭარბა.[105] ახალგაზრდობის ეს პროტესტი გამოიწვია საბჭოთა რეჟიმის მხრიდან როგორც საქართველოში, აგრეთვე, სხვა წევრ სახელმწიფოებში,

[104] მალხაზ მაცაბერიძე, სალექციო კურსი - „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“, 2019 წ. გვ. 277.
[105] ჯუმბერ რეხვიაშვილი, „1956 წლის მარტის ტრაგედია...“, *რადიო თავისუფლება*, 10 მარტი, 2010. (ნანახია: 27.04.2024).

მაგალითად, უნგრეთში, სასტიკი სისხლისღვრით ჩახშობილმა პროტესტმა.

*„9 მარტის მოვლენებმა ეროვნული ღირებულებებისაკენ ქართული საზოგადოების შემობრუნებაში გადამწყვეტი, კატალიზატორის როლი ითამაშა. უკვე 1956 წელსვე შეიქმნა საიდუმლო პატრიოტული ორგანიზაცია „გორგასლიანი“, რომელშიც შედიოდნენ გამსახურდია, კოსტავა და სხვები. რამდენიმე პროკლამაცია გამოსცეს მათ. პირდაპირ მოითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, თავისუფლებას და რუსი ოკუპანტების გასვლას.“*[106]

საბჭოთა საქართველოში ორგანიზაცია „გორგასლიანი“ პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ შექმნილი ახალგაზრდულ ორგანიზაციას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ რეპრესიული პოლიტიკისა და სხვა გარემო ფაქტორების გათვალისწინებით მათ აქტივიზმს უახლოეს წლებში კონკრეტული, მათთვის მისაღები შედეგი არ მოჰყოლია, რამდენიმე ათეული წლის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ორგანიზაციის „გორგასლიანი“ წევრებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს სახელმწიფოებრივი ღირებულებების დაცის მიმართულებით.

---

[106] ჯუმბერ რეხვიაშვილი, ამონარიდი დიმიტირი შველიძის ინტერვიუდან, *რადიო თავისუფლება*, 10 მარტი, 2010, https://www.radiotavisupleba.ge/a/1979067.html (ნანახია: 27.04.2024).

## 2. ახალგაზრდობის ჩართულობა 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებში

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თარიღია 1978 წლის 14 აპრილი, როდესაც მოხდა ქართველი ერის კონსოლიდაცია ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის დასაცავად. საბჭოთა საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში, იქმნებოდა კონსტიტუციები, რომლებიც ფორმალურად „ცრუ სუვერენიტეტს" ანიჭებდა მასში შემავალ ქვეყნებს. საქართველოს 1927 წლის კონსტიტუციის მე-10 მუხლში აღნიშნული იყო, რომ „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახლმწიფო ენა არის ქართული". აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ჩანაწერი საბჭოთა კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებში არ ფიქსირდებოდა, უფრო მეტიც, ენის სტატუსზე ზოგიერთ მათგანში მუხლი არ არსებობდა.[107] 1977 წელს, საბჭოთა რეჟიმის მხრიდან მიღებულ იქნა ბოლო კონსტიტუცია, რომელსაც შემდგომ უკვე 1978 წლის საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის პროექტი დაეფუძნა. სწორედ, ამ დოკუმენტში აღარ იყო დაფიქსირებული ქართული ენა საქართველოში სახელმწიფო ენად. აღნიშნული ფაქტი ერთა რუსიფიკაციის მცდელობას წარმოადგენდა, თუმცა საბჭოთა ხელისუფლება აღნიშნულ ფაქტს ერთა თანასწორობის იდეით ხსნიდა. სწორედ, ამ მოვლენების გასაპროტესტებლად, ქართული ენის შესა-

---

[107] ავთანდილ ტუკვაძე, „პოლიტიკური კულტურის შედარებითი ანალიზი", თბილისი, *უნივერსალი*, 2014.

ნარჩუნებლად, 14 აპრილს, ქუჩაში ქართველი მოსახლეობა გამოვიდა. ამ მოვლენების აქტიური მონაწილე და ორგანიზატორი გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

აღსანიშნავია სტუდენტ-ახალგაზრდობის როლი, განსაკუთრებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 14 აპრილს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, დიმიტრი შველიძე, ახალი თაობის, ქართველი ახალგაზრდობის პოლიტიკური დაბადების დღედ მოიხსენიებს.[108] „აღსანიშნავია მაშინდელი სტუდენტების ინიციატივები და გამოსვლები ქართული ენის სტატუსის შესანარჩუნებლად. უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაც და პროფესურაც ფარულად უჭერდა მხარს, სტუდენტური ჯგუფების აქტიურობას. [109] ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორი, თამარ მახარობლიძის აღნიშვნით, საბჭოთა პერიოდში 14 აპრილის მოვლენები სტუდენტ-ახალგაზრდობის მონაწილეობით პირველ ფართომასშტაბიან მცდელობას წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი საკითხის დასაცავად, რომელსაც კონკრეტული შედეგი მოჰყვა: „ამავე პერიოდში გააქტიურდნენ საწინააღმდეგო ძალებიც, გასაგები გახდა, რომ სტუდენტური მოძრაობა იწყებოდა, ეს იყო პირველი შემთხვევა საბჭოთა სინამდვილეში, როცა სტუდენტე-

---

[108] დიმიტრი შველიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი *(ამონარიდი ზეპირი ისტორიიდან)*, ანა ბაქანიძე, „1978 წლის 14 აპრილი“, 2012, გვ. 157.

[109] ჯუმბერ რეხვიაშვილი, ამონარიდი დიმიტრი შველიძის ინტერვიუდან, *რადიო თავისუფლება*, 2010 წ. 10 მარტი, https://www.radiotavisupleba.ge/a/1979067.html (ნანახია: 27.04.2024).

ბი რაღაცას აპროტესტებდნენ და თანაც ამას ასე ორგანიზებულად აკეთებენ“.[110]

1978 წლის 14 აპრილს ქართველი ხალხის, ახალგაზრდების გულიდან ამოხეთქილმა პატრიოტულმა მუხტმა ქართველ ერს უპრეცენდენტო გამარჯვება მოუტანა. ენა, მართლმადიდებლური სარწმუნოება და ეროვნული ღირებულებები ერთნაირად მიუღებელი იყო საბჭოთა იმპერიისთვის, მაგრამ ერმა, რომელსაც მამული წაართვეს, სარწმუნოება შეუგინეს და, ფაქტობრივად. მონად აქციეს, მშობლიური ენის წახდომა არ დაუშვა.[111]

აღსანიშნავია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის მიერ გამოცხადებული გადაწყვეტილება ქართული ენის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, სადაც გამოკვეთილია, ამ გადაწყვეტილების მიღებისას ახალგაზრდობის, როგორც ანგარიშგასაწევი საზოგადოებრივი ჯგუფის როლი:

„ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ, ამ მუხლის შესახებ ბევრი ვითათბირეთ. არა ერთი და ორი საგულისხმო წინადადება შემოვიდა ამ საკითხთან დაკავშირებით, ყველა ეს წინადადება იმსახურებს ყურადღებას [...}. ჩვენ შევისწავლეთ საზოგადოების აზრი სტუდენტობაში, საერთოდ ახალგაზრდობაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი [...] მივიდა იმ დას-

---

[110] თამარ მახარობლიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მწერალი, დრამატურგი (ამონარიდი ზეპირი ისტორიიდან), ანა ბაქანიძე, „1978 წლის 14 აპრილი“, 2012, გვ.12.

[111] ნინო კაკულია, 2010 წ. 14 აპრილი, „1978 წლის აპრილი უნივერსიტეტში“, ნანახია: 2024 წ. 14 აპრილი.

კვნამდე, რომ დავტოვოთ, შევინარჩუნოთ ფორმულირება, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ენად ქართული ენის გამოცხადებას.“ [112]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1978 წლის 14 აპრილის ზეპირი ისტორიების გაანალიზებისას, ერთ-ერთი რესპონდენტის მონათხრობიდან იკვეთება ედუარდ შევარდნაძის განსხვავებული პოზიცია და სტუდენტთა გადარწმუნების მცდელობები სახელმწიფო ენის დაცვის საკითხში: „ამ პერიოდში ედუარდ შევარდნაძე დადიოდა სხვადასხვა დაწესებულებაში, ხვდებოდა სტუდენტებს, მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს, უმტკიცებდა, რომ ახალი კონსტიტუცია შესანიშნავია და ცდილობდა შეეჩერებინა საპროტესტო ტალღა“.[113]

მკვლევარი ანა ბაქანიძე  თავის ნაშრომში „1978 წლის 14 აპრილი“ - ზეპირ ისტორიებზე დაყრდნობით აღწერს, თუ რა ხდებოდა იმ პერიოდში საქართველოში. წიგნი ღირებულია, რადგან მკვლევარი პირველი წყაროდან, უშუალოდ პროტესტის მონაწილეების მონათხრობებიდან გვაწვდის მოვლენების განვითარების ქრონიკებს. რესპონდენტთა ნაწილი, იმ პერიოდში, სწორედ, სტუდენტ-ახალგაზრდობას წარმოადგენდა, რაც, ჩემი ნაშრომის ფარგლებში კიდევ უფრო საინტერესოა. ჩემს ნაშრომში გაანალიზდა რესპონდენ-

---

[112] ედუარდ შევარდნაძის სიტყვით გამოსვლა, „1978 წლის 14 აპრილის მოვლენები“, https://www.youtube.com/watch?v=fo8RORXaNFY (ნანახია: 15. 04.2024).

[113] გელა ნიკოლაიშვილი,  უფლებადამცველი, ადვოკატი *(ამონარიდი ზეპირი ისტორიიდან)*, ანა ბაქანიძე, „1978 წლის 14 აპრილი“, 2012, გვ.63.

.

ტთა ზეპირ ისტორიებში ნახსენები სტუდენტ-ახალგაზრდობის ჩართულობა საპროტესტო მსვლელობაში სახელმწიფო ენის დაცვის პროცესებში. ავტორი ნაშრომის დასაწყისშივე გამოკვეთს ქართველი ახალგაზრდობის როლს, მიუხედავად საბჭოთა რეპრესიული პოლიტიკისა, ისინი არ შეუშინდნენ სისტემის მხრიდან სამომავლო სადამსჯელო ღონისძიებებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ახალგაზრდობის უკომპრომისობას, თუმცა აქვე აღნიშნავს სხვა თაობის წარმომადგენელთა ჩართულობასაც:

*„[...] იმ დროს ქართველმა ახალგაზრდებმა (და არა მარტო მათ) უდიდესი საფრთხის ფონზე შეძლეს ეროვნული ღირსების დაცვა და არ დაემორჩილნენ საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებას კონსტიტუციის ახალი პროექტიდან ამოეღო საკანონმდებლო მუხლი, რომელიც ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსს ანიჭებდა“.*[114]

*„[...] ეს ყოველივე ქაოტურ სახეს იღებდა, მაგრამ, ამ დროს, ეს იყო ერთსულოვნად და ერთგულად გაერთიანებული ახალგაზრდობა. ეს იყო, მართლაც, ბეწვის ხიდზე, დანის პირზე გავლა, რადგან საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ ძლიერი იყო“.*[115]

სახელმწიფო ენის შენარჩუნებისთვის მებრძოლი ადამიანები თავიანთ ზეპირ ისტორიებში იხსენებენ, თუ რა ხდებოდა 1978 წლის 14 აპრილს. მათი მონათხრობიდან ირკვევა, რამდენად დიდი როლი შეასრუ-

[114] ანა ბაქანიძე, „1978 წლის 14 აპრილი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012, გვ.3.
[115] „ზეპირსიტყვიერი ამბებით გაცოცხლებული 14 აპრილი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი, 14 აპრილი, 2019, https://newspaper.tsu.ge/ge/articles/view/406

ლა ახალგაზრდა თაობამ 14 აპრილის მოვლენებში, რადგანაც მასშტაბურ საპროტესტო მსვლელობებში აქტიურად, სწორედ, სტუდენტ-ახალგაზრდობა მონაწილეობდა.

*„სწორედ ამ პერიოდში, ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, განსაკუთრებით კი - სტუდენტ-ახალგაზრდობამ, ინტელიგენციის ჯგუფებმა, მოსახლეობის სიგმა ფენებმა, უარყო კომუნისტურ-ინტერნაციონალური იდეოლოგიური დოგმები და ეროვნულ ღირებულებებს დაუბრუნდა“.*[116]

*„მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც სტუდენტების, ახალგაზრდების აქტიურობა იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები გამოირჩეოდნენ, მათ შორის: გია ჭანტურია, თამარ ჩხეიძე, გელა ნიკოლაიშვილი და სხვები“.*[117]

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ მახარობლიძე, ზეპირ ისტორიაში იხსენებს იმ მოქმედებებს, თუ როგორ დაიწყეს სტუდენტებმა თავიანთი მიზნის მიღწევა. მისი თქმით, პირველი ეტაპი სტუდენტების მხრიდან წერილისა და მათივე ხელმოწერების შეგროვება დაიწყო, რითაც ითხოვდნენ, რომ შეცვლილიყო ეს მუხლი.[118] მკვლევარ ანა ბაქანიძის გაანალიზებით სულ სტუდენტთა 497

---

[116] დიმიტრი შველიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი *(ამონარიდი ზეპირი ისტორიიდან)*, ანა ბაქანიძე, „1978 წლის 14 აპრილი“, 2012, გვ.158.
[117] მერაბ ვაჩნაძე, ისტორიკოსი *(ამონარიდი ზეპირი ისტორიიდან)*, ანა ბაქანიძე, „1978 წლის 14 აპრილი“, 2012, გვ.83.
[118] იხ. იქვე, გვ.11, თამარ მახარობლიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მწერალი, დრამატურგი *(ამონარიდი ზეპირი ისტორიიდან)*.

ხელმოწერა შეგროვდა, რომელიც უნივერსიტეტის სტუდენტმა თამარ მახარობლიძემ დაზღვეული ფოსტით გააგზავნა უმაღლეს საბჭოსა და ცენტრალურ კომიტეტში. ფაქტობრივად, ეს იყო ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც სტუდენტთა საპროტესტო დამოკიდებულებას გამოხატავდა.[119] კიდევ ერთი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი - გიორგი გოგოლაშვილი ზეპირ ისტორიაში გამოკვეთს სტუდენტებთან ერთად პროფესორ-მასწავლებლების აქტიურობისა და ინიციატივების მნიშვნელობას 14 აპრილის მოვლენებში:  „რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სტუდენტთა აქტიურობას, ახალგაზრდების ინიციატივებს, მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, თუ რა საშიშროების წინაშე იდგნენ, დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება. ეს დიდი ძალა იყო, რომელსაც ზურგს ის პროფესორ-მასწავლებლები უმაგრებდნენ, რომელთაც არ ეშინოდათ თავიანთი აზრის საჯაროდ გამოხატვისა“.[120]

თავის მონათხრობში, 14 აპრილს სტუდენტების ორგანიზებულ ქმედებაზე მიუთითებს ისტორიკოსი თამარ ჩხეიძე: „უნივერსიტეტში სტუდენტები საკმაოდ ორგანიზებულად ვმოქმედებდით, შევადგინეთ პეტიცია, [...], ვაგროვებდით ხელმოწერებს სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები, ერთმანეთთან აქტიუ-

[119] ანა ბაქანიძე, „1978 წლის 14 აპრილი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012, გვ.6.
[120] გიორგი გოგოლაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *(ამონარიდი ზეპირი ისტორიიდან)*, ანა ბაქანიძე, „1978 წლის 14 აპრილი“, 2012, გვ.56.

რი კავშირი გვქნოდა“.[121] ამავდროულად, გაზეთის „24 საათი“ რედაქტორი  და 14 აპრილის მოვლენების მონაწილე პაატა ვეშაპიძე, აღნიშნავს ახალგაზრდობის მონაწილეობით დემონსტრაციის ფართომასშტაბიან სახეს: „ეს იყო ყველაზე დიდი საპროტესტო დემონსტრაცია, რაც მე ოდესმე მინახავს საქართველოში, მონაწილეობდნენ ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, თუმცა მოვლენებში ასევე, ჩართულნი იყვნენ სკოლის მოსწავლეებიც, მახსოვს, 14 აპრილს რუსთაველის გამზირზე დემონსტრანტების გავლისას, როგორ ხტებოდნენ 53-ე სკოლის მოსწავლეები ფანჯრებიდან...“ [122] მისივე აღნიშვნით, სტუდენტთა შორის იგრძნობოდა განხეთქილება უნივერსიტეტის ფარგლებში, რომლებიც უფროსთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად გაგზავნილი წერილების ქვითრების ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ.[123]

გამოხატვის ფორმებს შორის შენიშნებოდა პროტესტის მშვიდობიანი გამოხატულებები, პროტესტის მონაწილე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გვანცა კოპლატაძე იხსენებს: „საოცარი განწყობა სუფევდა,: თეატრალურ ინსტიტუტთან მილიციის მანქანაზე შემომსხდარმა სტუდენტებმა მე-

[121] ანა ბაქანიძე, „1978 წლის 14 აპრილი“, 2012, თამარ ჩხეიძე ისტორიკოსი *(ამონაჰიდი ზეპიჩი ისტოჩიიდან)*, გვ. 21,.

[122] იხ. იქვე, გვ. 49, პაატა ვეშაპიძე, გაზეთ „24 საათის“ რედაქტორი *(ამონაჰიდი ზეპიჩი ისტოჩიიდან).*

[123] ანა ბაქანიძე, „1978 წლის 14 აპრილი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012, გვ.6.

გაფონით წაიკითხეს ლექსები. მოსწავლეებმა თეთრ პერანგზე წითელი პომადით „აი-ია“ დაიწერეს“.[124]

საქართველში 14 აპრილის საპროტესტო გამოსვლების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა გახლდათ ისიც, რომ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლება დათანხმდა სტუდენტ-ახალგაზრდობის მასობრივი პროტესტის ფონზე დაეტოვებინა საქართველოს კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებშიც გაჩნდა ანალოგიური ჩანაწერი.[125] „საინტერესოა ის ფაქტი, რომ საქართველოში დაწყებულმა მოძრაობამ სხვა ენებიც გადაარჩინა, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებშიც შეიტანეს მუხლი მშობლიური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ. საბჭოთა კავშირის მასშტაბით ეს გახლდათ პირველი პროტესტი, რომელიც გამარჯვებით და უმსხვერპლოდ დასრულდა და შემდეგ მაგალითად იქცა სხვებისთვის“.[126] გარდა ამისა, ისტორიკოს ნოდარ ასათიანის ხედვით, 1978 წლის მოვლენებმა საქართველოში ბიძგი მისცა დისიდენტური მოძრაობის გაძლიერებას: „14 აპრილი იყო ეროვნულ საქმეში ჩვენი ახალგაზრდობის პირვე-

[124] ანა ბაქანიძე, „1978 წლის 14 აპრილი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012, გვანცა კოპლატაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *(ამონარიდი ზეპირი ისტორიიდან)*, გვ. 98.

[125] Astrid S. Tuminez, Nationalism, Ethnic Pressures, and the Breakup of the Soviet Union, *Journal of Cold War Studies*, Vol. 5, No. 4 (Fall 2003), pp. 81-136 https://www.jstor.org/stable/26925339 (Retrieved 15.04.2024).

[126] გიორგი გოგოლაშვილი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *(ამონარიდი ზეპირი ისტორიიდან)*. ანა ბაქანიძე, „1978 წლის 14 აპრილი“, 2012, გვ. 59.

ლი გამარჯვება. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა დისიდენტური მოძრაობა."[127] აღნიშნული მიუთითებს, სწორედ, საქართველოს მოსახლეობის, მათ შორის ახალგაზრდობის უკომპრომისო ბრძოლის ფართომასშტაბიან შედეგზე.

## 3. 1989 წლის 9 აპრილი და ახალგაზრდობა

რომ შევაჯამოთ, 1978 წელს ქართული ენის დაცვის გარშემო განვითარებული მოვლენების გაანალიზებით იკვეთება, რომ, სწორედ, საქართველოს მოსახლეობის ისტორიაში 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებს მნიშნელოვანი ადგილი უკავია. ამ დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა საბჭოთა რეჟიმის რეპრესიული და ტოტალიტარული პოლიტიკა მაში შემავალი სახელმწიფოების მიმართ. 9 აპრილს, საბჭოთა ჯარები, სასტიკად გაუსწორდნენ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ქართველ მოსახლეობას, მათ შორის კი ახლგაზრდებს. 9 აპრილს დაღუპულთა შორის სხვადასხვა ასაკის ადამიანები შეინიშნებოდნენ: უპირატესად ქალები და ახალგაზრდები.[128] თუმცაღა, „9 აპრილის საზარელი ღამეც, გამთენიისას დარბეული ახალგაზრდობაც საქართველოს თავისუფლების სიმბოლოდ იქცა." [129]

---

[127] ანა ბაქანიძე, „1978 წლის 14 აპრილი", 2012, ნოდარ ასათიანი, ისტორიკოსი *(ამონარიდი ზეპირი ისტორიიდან),* ანა ბაქანიძე, „1978 წლის 14 აპრილი", 2012, გვ. 82.

[128] ასკანელი, ზურაბ. „წმინდა მოწამენი". *ახალგაზრდა ივერიელი,* 7 აპრილი, 1990, N 38, გვ. 4.

[129] აკაკი გელოვანი, „დღე გლოვისა - დღე თავისუფლებისა", *სოფლის ცხოვრება,* 19 მაისი, 1989, N 115, გვ. 3.

9 აპრილის ტრაგიკული მოვლენები საქართველში გარდამტეხი აღმოჩნდა შემდგომი პროცესების განვითარების კვალდაკვალ. საბჭოთა რეჟიმმა კიდევ ერთხელ გამოაჩინა ძალადობრივი სახე, რამაც რეჟიმის დისკრედიტაცია მოახდინა. 9 აპრილის მოვლენებიდან ორიოდე წელში, საქართველოსთვის ეს თარიღი 70 წლიანი საბჭოთა ტერორისგან გათავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების სიმბოლოდ იქცა.

ჯერ კიდე 1970-იანი წლებიდან საქართველოში ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობები არ წყვეტდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაზე ფიქრს. სწორედ, ამ პერიოდში, „უკვე არსებობდნენ ძალები, რომლებიც რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვდნენ. ესენი ახალგაზრდა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ“.[130]

1989 წლის 9 აპრილი საბჭოთა პერიოდში მომხდარი სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი მოვლენებიდან, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და მასშტაბურია ახალგაზრდების ჩართულობის თავლსაზრისით. 1988 წლის 26 მაისს, სტუდენტებმა მიტინგით აღნიშნეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებისა და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 70 წლისთავი. 1989 წლის 25 თებერვალს, პირველად საბჭოთა ისტორიაში, თბილისის ქუჩებში მასობრივი გამოსვლები და მრავალათასიანი მიტინგე-

---

[130] დაუშვილი, ალექსანდრე. „ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა,“ საქართველოს ისტორია, ტ. 4, XIX-XX საუკუნეები, (თბილისი: *პალიტრა L*, 2012), გვ. 685-686.

ბი მოეწყო, სადაც აპროტესტებდნენ საბჭოთა არმიის შემოჭრას საქართველოში 1921 წელს და ქვეყნის ოკუპაციას საბჭოთა რუსეთის მიერ.[131]

1989 წლიდან საქართველოში მიტინგებისა და დემონსტრაციების ტალღა დაიწყო, რომელიც 1989 წლის 9 აპრილამდე არ შენელებულა. 1988 წელს 31 მიტინგი და დეომონსტრაცია ჩატარდა.[132] სტუდენტ-ახალგაზრდობის როლი ამ პროცესებში განსაკუთრებით შესამჩნევი იყო, რადგან ნოემბრიდან მოყოლებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტების ახალგაზრდები ერთმანეთის მიყოლებით ატარებდნენ მიტინგებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან რეგიონალურ გამოწვევებთან მიმართებით.[133]

9 აპრილის მოვლენებამდე ახალგაზრდობის ჩართულობა და საპროტესტო ტალღა ერთი წლით ადრე შეინიშნებოდა. ზოგიერთი მკვლევარის აღნიშვნით, საპროტესტო აქციებში სხვადასხვა არაფორმალური ჯგუფების მხრიდან ხშირად ხდებოდა ახალგაზრდობის საპროტესტო გამოსვლების ხელის შეშლა. ჯერ კიდევ 1988 წლის ნოემბრის ანტისახელისუფლებო პროტესტის შეფასებისას გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ ინტელიგენციის წარმომადგენლის წერილში ნათქვამი იყო:

---

[131] გიორგი მჭედლიძე, „ისტორია უდისტანციოდ (მღელვარე 1988-1995 წლების ქრონიკები)", 1999 წ. გვ. 130

[132] სტივენ ჯონსი, *„საქართველო, პოლიტიკური ისტორია.."* გვ. 43.

[133] ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე. *„საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე"* (თბილისი: *სამშობლო*, 2022).

*„იაფი პოპულარობის, თავიანთი ამბიციური მისწრაფებების განსახორციელებლად ეს მერამდენედ გამოიყენეს ახალგაზრდობის კეთილშობილური პატრიოტული გრძნობა ეგრეთ წოდებული არაფორმალური გაერთიანებების ხელმძღვანელებმა. [...] არაფორმალურ გაერთიანებათა ბოლოდროინდელი აქციები აშკარად უარყოფით რეაქციას იწვევს ჩვენს ახალგაზრდობაში.“*[134]

კიდევ ერთი ნაცადი ხერხი, რომელსაც ხელისუფლება ოპოზიციურად განწყობილი ახალგაზრდებისათვის იყენებდა, ხელისუფლების ერთგული მათივე თანატოლების დაპირისპირება იყო, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, 1989 წლის 18 თებერვალს, პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან გამართული მიტინგის დროს, როცა მომიტინგეების საწინააღმდეგოდ კომკავშირის აქტივი გამოიყვანეს.[135]

სხვა მოსაზრებებისგან განსხვავებული იყო 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენებთან დაკავშირებით იური მეჩითოვის მოსაზრება, რომელიც 9 აპრილის ღამისა და მომდევნო დღეების ცნობილი ფოტოების ავტორია, „აქციის მონაწილეები 13-დან 25 წლამდე იყვნენ, ძირითადად, მხოლოდ ახალგაზრდები. მონაწილეების ოთხმოცდაათი პროცენტი შეიკრიბა იმიტომ,

---

134 გიორგი მჭედლიძე, *ისტორია უდისტანციოდ*, გვ. 153. ციტირებულია წიგნიდან - *„საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე“*, ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე. (თბილისი: *სამშობლო*, 2022), გვ.43.

135 იხ. იქვე, გვ. 154.

რომ 9 აპრილი შოუ იყო და ისინი შოუს მონაწილეები იყვნენ“.[136]

9 აპრილის მოვლენებში ახალგაზრდების პროტესტის მიმართ კრიტიკაზე მიუთითებს ჩემს მიერ გამოკითხული ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც აღნიშნავს თავად საზოგადოების მხრიდან არსებულ კრიტიკას, რომელსაც ისინი მოახლოებული ტრაგედიის საშიშროებით ხსნიდნენ:

„იმ პერიოდში არ არსებობდა ალბათ ოჯახი, სადაც აი ეს თემები განხილვის საგანი არ ყოფილიყო, სხვათა შორის, ჩემს გარშემო, მახსოვს, ზოგი ახალგაზრდებს ამართლებდა და იყვნენ ისეთებიც, ვინც ამტყუნებდნენ. ნუ, რაღაცა ფორმით უკვე არსებობდა ის საშიშროება, რომ უკვე რაღაც ძალიან ცუდი მზადდებოდა და რაღაც ტრაგედია არ მომხდარიყო სწორედ ამიტომ“.[137]

9 აპრილის მოვლენების თანამონაწილე იყო ჩემ მიერ გამოკითხული რამდენიმე რესპოდენტი, რომლებიც, იმ პერიოდში, ახალგაზრდა თაობას წარმოადგენდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ საპროტესტო გამოსვლებში. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები მოვლენების გახსენებისას, საკმაოდ ემოციურად რეაგირებდნენ. მათი ნაწილი კი, 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებს, ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოდაც კი მიიჩნევს. ამავდროულად, მათი ნაამბო-

---

136 Varshalomidze, Tamuna. "The Soviet Scar: Legacy of USSR Architecture in Georgia," Aljazeera, 10 November, 2018, https://bit.ly/3HHdhql (ნანახია 27.03.2024).

137 სიღრმისეული ინტერვიუ 1989 წლის 9 აპრილის მონაწილე ახალგაზრდასთან, რესპონდენტი №3, 17.11.2023 წ.

ბით, აღნიშნულ მოვლენებში იკვეთება ახალგაზრდა თაობის ის უმნიშვნელოვანესი როლი, რომელიც, იმ პერიოდში, დანარჩენ საზოგადოებასაც დიდი საპროტესტო მუხტისთვის განაწყობდა:

*„საქართველომ ახალგაზრდების სახით გაიღო მსხვერპლი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. სწორედ, ამ დროს იყო საქართველო ერთიანი... ახალგაზრდების მუხტი დანარჩენ მოსახლეობასაც დიდ მოტივაციას აძლევდა. მათში სულ სხვა მუხტი იყო, ისინი მიზანმიმართულად იბრძოდნენ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ახალგაზრდებით სიტყვით გამოსვლები თითოეულ ქართველში დიდ აღტაცებას იწვევდა...“*

*ეს ემოცია დღემდე გამომყვა, როგორ ვიდექით ტროტუარზე და ახალგაზრდების ტალღამ როგორ ჩაგვიარა, თუმცა, მხოლოდ ახალგაზრდები არ იყვნენ, იყვნენ ცოტა ხანშიშესული ხალხიც. მაშინდელი ახალგაზრდული აი ასეთი საპროტესტო ტალღა დიდ მოტივაციას აძლევდა დანარჩენ მოსახლეობასაც. [...] მახსოვს, კიდევ ერთი მოვლენა, ზუსტად ჩვენი სკოლის წინ ჩაიარა მომიტინგე ტალღამ და დირექტორის ბრძანებით კარი ჩაკეტეს, რომ სკოლის მოსწავლეები არ შეერთებულიყვნენ და მახსოვს, პირველი სართულიდან როგორ აღებდნენ უფროს კლასელები ფანჯრებს, ხტებოდნენ და უერთდებოდნენ მომიტინგეებს და როგორ ყვებოდნენ შეძახილებს“.*[138]

რესპონდენტები იხსენებდნენ 9 აპრილის მოვლენებში ახალგაზრდების ჩართულობის კონკრეტულ ფორმებს, რომელიც მოიცავდა საპროტესტო მსვლე-

[138] სიღრმისეული ინტერვიუ 1989 წლის 9 აპრილის მონაწილე ახალგაზრდასთან, რესპონდენტი №3, 17.11.2023 წ.

ლობებს, დემონსტრაციებს, სიტყვით გამოსვლებს, ახალგაზრდები არ უშინდებოდნენ პროტესტის გამოხატვის რადიკალურ ფორმებსაც, როგორიცაა შიმშილობა:

*„დღემდე მახსოვს ის ემოცია, თუ როგორ მოდიოდა ზღვა ხალხი, მათ შორის ახალგაზრდობა, მოჰქონდათ სამფეროვანი დროშები, ტრანსფარანტები ლოზუნგებით. მახსენდება, როგორ ყვიროდნენ ისინი ხმამაღლა დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოს და ძირს რუსეთის დამპალი იმპერია! [...] პირველი ემოციის გავლის შემდეგ, როდესაც ავედით უკვე მთავრობის სახლთან, იქ უფრო მეტი შეჯგუფებული ახალგაზრდები იყვნენ, საკმაოდ ბევრი ხალხის მასა ჩემს გარშემო სულ ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც გამოდიოდნენ სიტყვით. [...] მეორეთაც წაველი კიდევ ოჯახის წევრებთან ერთად, დაახლოებით საათ ნახევარი ვიქნებოდი და იმ გამომსვლელებს, რომლებიც აი ასე გამოდიოდნენ და სიტყვას ამბობდნენ, ამ სიტყვაში ყოველ რამდენიმე სიტყვაში ერთხელ აწყვეტინებდნენ ახალგაზრდების ნაკადი და დროდადრო, პერიოდულად ისმოდა შეძახილები. სწორედ, ამ შეძახილებით დაიძვრებოდნენ ხოლმე და მიემართებოდნენ ხან ტელევიზიის შენობისკენ, ხან მთავრობის სახლთან და აი ასეთი გამოსვლები იყო ხოლმე ყოველდღიური. როდესაც მივედით მიტინგზე, ვნახეთ მოშიმშილეებიც, რომელთა შორისაც ძირითადად ქარბობდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც მთავრობის სახლის წინ ჰქონდათ გაშლილი ლეიბები, საბნები, ადიელებით შემოხვეულები აცხადებდნენ შიმშილობას და მოითხოვდნენ, რომ საქართველო ყოფი-*

*ლიყო დამოუკიდებელი და გამოსულიყო საბჭოთა კავშირიდან“.*[139]

რესპონდენტები ინტერვიუში, ასევე, იხსენებდნენ 9 აპრილის ტრაგიკული ღამის შემდგ, თავიანთ და სხვა ახალგაზრდების ემოციებს, იმ პროტესტის გრძნობას, რომელიც ამ ტრაგედიამ დატოვა. პროტესტს ისინი აფიქსირებდნენ სხვადასხვა დაწესებულებებში, მაგალითად, სკოლებში, უნივერსიტეტებში... ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც მაშინ სკოლის მოსწავლე იყო, იხსენებს, პროტესტის ნიშნად, როგორ დახიეს თანატოლებმა პიონერთა წითელი ყელსახვევები. რესპონდენტებისთვის, რთულად გასახსენებელი აღმოჩნდა აღნიშნული მოვლენები, რადგან დაღუპულთა შორის, მათივე თანატოლები, სკოლის მოსწავლეებიც კი ფიგურირებდნენ:

*„ღლისით ხალხი მიდიოდა და გარდაცვლილ ახალგაზრდებს პატივს მიაგებდნენ სხვადასხვა ფორმით, მიჰქონდათ ტიტები, მიხაკები გვირილები და ქაშვეთის ეკლესიის ეზოში იყო ფოტოები გამოკრული, ნუ ძირითადად უფრო ახალგაზრდები იყვნენ, მათ შორის გარდაცვლილი იყო ორი სკოლის მოსწავლეც, რომელთა სახელები გვარები დღემდე მახსოვს, ერთი მეათე კლასელი იყო, ხოლო მეორე მეთერთმეტე კლასელი და აი, ამ მოვლენებს ხალხი ეხმიანებოდა განსხვავებული ფორმით. მახსოვს როგორ მიჰქონდა თავის დაწერილი ლექსები და აკრავდნენ ქუჩაში, ხეებზე, და მახსოვს როგორი ემოციური იყო ახალგაზრდებისთვის ამ ყველაფრის წაკითხვა. ჩვენც კი, მო-*

[139] სიღრმისეული ინტერვიუ 1989 წლის 9 აპრილის მონაწილე ახალგაზრდასთან, რესპონდენტი №6, 07.11.2023 წ.

*ზაჩღები, ვცდილობდით, პატარა ლექსები დაგვეწერა და ჩვენი წვლილი შეგვეტანა სამგლოვიარო ცერემონია-ში".*[140]

რომ შევაჯამოთ საქართველოს დამოუკიდებლო-ბის მოპოვების პროცესში ახალგაზრდა თაობამ უმ-ნიშვნელოვანესი როლი შეასრულა. საბჭოთა ტერო-რისა და მათზე განხორციელებული ზეწოლისა თუ შუღლის გაღვივების მცდელობამ ქართველი ახალ-გაზრდობა უკან არ დახია. დამოუკიდებლობის აღ-დგენის შემდგომ პოლიტიკური პროცესები საქართვე-ლოში ტურბულენტურ გარემოში წარიმართა. სამოქა-ლაქო დაპირისპირებებმა, აფხაზეთის ომმა თუ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისებმა მძიმე კვალი დატოვა საზოგადოებაზე, მათ შორის განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაზე. ამ რთულ პროცესებში, ახალ-გაზრდობა ხშირად გამოდიოდა, როგორც მსხვერპლი. შესაბამისად, ახალგაზრდების ჩართულობა საპრო-ტესტო გამოსვლებსა თუ დემონსტრაციებში შედარე-ბით მცირდება და სასურველ სახელმწიფოებრივ ცვლილებესაც ნაკლებად აღწევდა. თუმცა, განსხვა-ვებული სიტუაცია შეიქმნა უკვე 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" მოვლენების დროს.

---

140 სიღრმისეული ინტერვიუ 1989 წლის მონაწილე ახალგაზრდასთან, რესპონდენტი №6, 07.11.2023 წ.

## 4. ახალგაზრდობის როლი „ვარდების რევოლუციის“ მოვლენებში, მოძრაობა „კმარას“ მაგალითზე

საქართველოში ახალგაზრდების სამოქალაქო ატივიზმისა და პოლიტიკური მონაწილეობის მასშტაბური გამოვლინებებიდან აღსანიშნავია, 2003 წლის „ვარდებიის რევოლუცია“. ყოველი რევოლუცია, თუნდაც ხავერდოვანი, იმ მომენტისთვის საზოგადოებაში არსებული უდიდესი იმედების რეალიზების ლოზუნგით ხდება. შევარდნაძის ხელისუფლებიდან ჩამოცილება ხალხისთვის სასწაული იყო და სააკაშვილისგან საზოგადოება ახალ სასწაულებს ელოდა.[141] სწორედ, ამ სასწაულის იმედად, 2001 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კორუფციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, მცირე სტუდენტური ჯგუფი ჩამოყალიბდა. ამავე პერიოდში მსგავსი ჯგუფები სხვა უნივერსიტეტებშიც შეიქმნა. სტუდენტური თვითმმართველობის ქსელის წარმომადგენლები მოგვიანებით, 2003 წლის გაზაფხულზე, ახალგაზრდულ მოძრაობაში გაერთიანდნენ. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს სტუდენტების, როგორც ახალგაზრდობის მნიშვნელოვან როლს სამოქალაქო აქტივიზმში.

*„ეს იყო ჩემი და ჩემი მეგობრების პირველი გამოცდილება სამოქალაქო აქტივიზმში. ძალიან რთულ დროში,*

[141] Malkhaz Matsaberidze, *Georgian Politics: Authority and Political process,* (Tbilisi: Center for Social Sciences, 2006), pp. 62.

*როცა ასეთი ტიპის აქტივობა საერთოდაც არ იყო მოდუ-რი“.*[142]

სტუდენტურ საპროტესტო მოძრაობებთან შედა-რებისას, რიგ ავტორთა ხედვით, „ვარდების რევოლუ-ცია“ თითქმის ანტაგონისტურ მიმართებაშია მემარ-ცხენე სტუდენტურ მოძრაობასთან [...], მისი დისკურსი თავისი თავიდან უბრალოდ განდევნის და გამორიც-ხავს ყველანაირ მემარცხენე დისკურსს...[143] ამავე ავ-ტორის ხედვით, „ვარდების რევოლუცია“ რევოლუციუ-რი იყო, რადგან მან შეძლო გარდაექმნა პოლიტიკური ლანდშაფტი და ის მოდერნულ რელსებზე დაეყენები-ნა. ამით კი მან შესაძლებლობების პირობები მოუმ-ზადა რიგი მემარცხენე სტუდენტური მოძრაობების დისკურსს.[144] კიდევ ერთი მკვლევარი შოთა აზიკური თავის ნაშრომში, აანალიზებს თანმედროვე ქართუ-ლი პროტესტის ტრანსფორმირებას მასობრივი მი-ტინგებიდან სოციალურ მოძრაობებამდე. ამ ფონზე იგი გამოკვეთს „ვარდების რევოლუციის“ მნიშვნე-ლოვან როლს სამოქალაქო პროტესტის ფორმის ცვლილების პროცესში.

ახალგაზრდულმა გაერთიანებამ, სერბული ანალ-ოგის, „ოტპორის“ მსგავსად, სიმბოლოდ  შეკრული მუშ-

---

[142] ნინო ხარაძე, ნუგზარ ფანქველაშვილი, თომა ბეგიაშვილი, რადიო თავისუფლება, ამონარიდი ლუკა წულაძის (მოძრაობის „კმარა“ ყო-ფილი აქტივისტის ინტერვიუდან), „15 წელი და „ვარდების რევოლუ-ციის“ კვალი“, 23 ნოემბერი, 2018 წ. https://www.radiotavisupleba.ge (ნანახია: 15.04.2024).

[143] გიორგი ჩუბინიძე, „ვარდების რევოლუცია“: მოდერნიზაციის დის-კურსი მემარცხენე სტუდენტური მოძრაობა, *ილიას სახელმწიფო უნივ-ერსიტეტი,* 2017, გვ.7.

[144] იხ. იქვე, გვ.23.

ტი აირჩია და სახელად „კმარა“ დაირქვა.[145] ამ მოვლენების ერთ-ერთი აქტიური ფიგურა იყო გიგა ბოკერია, მისი ხედვით, სწორედ „ოტპორის“ ორგანიზაციის წევრების მხრიდან იდეების გაზიარებით, „კმარამ“ მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა, თუმცა, აქვე გამოკვეთს საზოგადოების, როგორც გადაწყვეტილების მიმღების მთავარ როლს:

*„[...] არა ფიზიკური, არამედ მორალური [უპირატესობა] - და გვეპოვა გზა ლეგიტიმური, მშვიდობიანი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად ავტორიტარული რეჟიმის გადასაგდებად [...]. "მაგრამ ყოველთვის წყვეტს საზოგადოება აქ და არა საზღვარგარეთ. უცხოური მაგალითი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი შთაგონებისთვის ან სწავლისთვის, მაგრამ ვერაფერს გააკეთებთ, თუ ის [ცვლილების სურვილი] აქ არ არის.“* [146]

„კმარა“ - საქართველოში ახალგაზრდულ-პოლიტიკურ მოძრაობას წარმოადგენდა. მოძრაობის ჩამოყალიბებისა და აქტივიზმის ისტორია ჯერ კიდევ 2001 წლის ნოემბრიდან იწყება, როდესაც ოპოზიცია და მოსახლეობა სიტყვის თავისუფლების დასაცავად ქუჩაში გამოვიდა და საპროტესტო აქციებს პერმანენტულად მართავდა. მათ აქტიურად მხარში ახალგაზრდობაც დაუდგა. აღსანიშნავია, რომ „კმარას“ საპროტსტო აქციებს კონკრეტული შედეგებიც კი მოჰყვა,

---

[145] ნინო ხარაძე, ნუგზარ ფანქველაშვილი, თომა ბეგიაშვილი, „15 წელი და „ვარდების რევოლუციის“ კვალი“, *რადიო თავისუფლება*, 23 ნოემბერი, 2018 წ. https://www.radiotavisupleba.ge (ნანახია: 15.04.2024).
[146] formulanews.ge, ამონარიდი გიგა ბოკერიას ინტერვიუდან, 22 ნოემბერი, 2023 წ. https://formulanews.ge/News/101883 (ნანახია: 30.03.2024).

კერძოდ, ხელისუფლებიდან ოდიოზური ფიგურების წასვლა.[147]

მოძრაობის წევრები თავიანთ გამოსვლებში ხაზს უსვამდნენ ახალგაზრდების მნიშნელოვან როლს ცვლიებების პროცესში: „მაშინ ჩვენ შევძელით გამარჯვების მოპოვება და მიზნის მიღწევა, ახლაც მჯერა, რომ თუ ერთად დავდგებით ახალგაზრდები, გამარჯვება გარდუვალი იქნება.“ [148] მათივე ხედვით, „ამ რევოლუციამ მოახდინა ის, რომ მთლიანად სისტემა, თამაშის წესები, მთელი მოცემულობა, სივრცე გაიწმინდა და ახალმა რაღაცამ შეავსო, სხვა რაღაც დაამკვიდრა.“ [149]

მოძრაობის „კმარა“ პროტესტის გამოხატვის ფორმები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. საპროტესტო აქციებთან ერთად, მოძრაობა მიმართავდა ქუჩაში სხვადასხვა ინფორმაციების გავრცელების ხერხებს, მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა ქალაქების ქუჩებში შეინიშნებოდა წარწერები მოწოდებებით „კმარა“, საზოგადოებრივი კამპანიები, ასევე, სამინისტროების შენობების შეღებვა. „კმარას“ აქტივისტები აქციებით, ანტისახელისუფლებო სლოგანების კედლებზე დაწერით, პროტესტის სხვადასხვა ფორმებით აქტიურად ეწეოდნენ შევარდნაძის რეჟიმის საწინა-

[147] თეა გულარიძე, „ხელისუფლება “კმარას” კმარათი პასუხობს“, https://civil.ge/ka/archives/129342 2003 წ. (ნანახია: 30.04.2024).
[148] თეა გულარიძე, „ხელისუფლება “კმარას” კმარათი პასუხობს“, *Civil.ge,* https://civil.ge/ka/archives/129342 2003 წ. (ნანახია: 30.04.2024).
[149] ამონარიდი ლუკა წულაძის ინტერვიუდან, „კმარას ყოფილი აქტივისტი, 2018 წ. https://www.radiotavisupleba.ge (ნანახია: 16.04.2024).

აღმდეგო კამპანიას.[150] ამასთან, გამოხატვის ფორმების პარალელურად, მოძრაობის წევრებსა და სამართალდამცავებს შორის ხშირად ხდებოდა დაპირისპირებები და წევრების დაკავებები.[151]

მოძრაობა „კმარა“, ოპოზიციურ გაერთიანების „ნაციონალური მოძრაობა“ მხარდამჭერებადაც აღიქმებოდნენ. აქტივისტების მიმართ შეინიშნებოდა ბრალდებები უცხოურ ორგანიზაციების მხრიდან დაფინანსების კუთხით. სტივენ ჯონსი თავის სტატიაში „ვარდების რევოლუცია: რევოლუცია რევოლუციონერების გარეშე?“ განიხილავს, როგორ მოახერხა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მასთან ასოცირებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ახალგაზრდული აქტივისტური ჯგუფის ორგანიზება. „ვარდების რევოლუციის“ თეორიული შეფასებები, რომლებიც პრორუსული მკვლევარებისგან მოდიოდა, ხშირად აღწერდა ამ პროცესს, როგორც ამერიკულ შეთქმულებას, რომელსაც ამერიკულ მთავრობასთან ერთად აფინანსებდა ჯორჯ სოროსი[...], მიუხედავად, ერთი შეხედვით, უხეში შეთქმულების ელფერისა, ჯონსის აზრით, მსგავსი შეხედულებები სრული ფანტაზია მაინც არ არის.[152]

---

[150] Stephen F Jones, (2006). The Rose Revolution: A Revolution without Revolutionaries? *Cambridge Review of International Affairs,* Volume 19, Issue 1, pp. 33-48.

[151] ალექსანდრე ქორიძე, დოკუმენტური ფილმი "ჩე" (ვარდების რევოლუცია, მოძრაობა კმარა. 2003), 2015,
https://www.youtube.com/watch?v=-MlkTUF2L9A (ნანახია 09.04.2024).

[152] Stephen F Jones, (2006). The Rose Revolution: A Revolution without Revolutionaries? *Cambridge Review of International Affairs,* Volume 19, Issue 1, pp. 33-48 (მოპოვებულია გიორგი ჩუბინიძის ნაშრომიდან - „ვარდების რევოლუცია“: მოდერნიზაციის დისკურსი მემარცხენე სტუდენტური მოძრაობა, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,* 2017, გვ.33).

მოძრაობის „კმარა“ ერთ-ერთი ყოფილი თანადამფუძნებელი გიგა ბოკერია „ვარდების რევოლუციიდან“ 20 წლის თავზე აღნიშნავს, რომ „სტუდენტური ანტიკორუფციული კამპანია გადაიზარდა „კმარაში“ და შემდეგ უფრო პოლიტიკურ მოძრაობად იქცა... „კმარა“ მნიშვნელოვანი იყო, რადგან ის სათავეში ედგა და ენერგიით აძლიერებდა აპათიურ ახალგაზრდობას“.[153] წინა წლებში ახალგაზრდების ჩართულობით ჩატარებულ საპროტესტო გამოსვლებისგან განსხვავებით, მოძრაობამ „კმარა“ და მათმა აქტივიზმმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს 2003 წლის ვარდების რევოლუციის მოწყობასა და ხელისუფლების ცვლილების პროცესებში, ამის შემდგომ კი მოძრაობის წევრთა ნაწილი პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრი და აქტიური მხარდამჭერი გახდა. თუმცა, საპირისპიროდ, „კმარას“ ყოფილი აქტივისტები მოძრაობის შექმნისა და აქტივობის თავდაპირველ მიზნებს ხელისუფლებაში მოსვლას არ უკავშირებენ:

*„კონკრეტულად გვინდოდა, რომ მოგვეშორებინა, შევარდნაძე, ეგ იყო - ანბანი იმიტომ, რომ დამარცხება იწყებოდა კონკრეტული კონკრეტული ფიგურების დამარცხებით [...]. გეგმა იყო, რომ „კმარა“ არ მოდიოდა ხელისუფლებაში. „კმარა“ არ მუშაობდა ამომრჩეველზე, არ მოიპოვებდა ადამიანების კეთილგანწყობას, არ იბრძოდა ხმებისთვის და გვერდით იქნებოდა ნაციონალური მოძრაო-*

[153] Daniel McLaughlin, “No one could guess it would happen like it did’: Georgia divided 20 years after Rose Revolution”, 22 November, 2023, https://www.irishtimes.com/world/europe/2023/11/22/(Retrieved:10.04.2024).

*ბა ან პარტიების გაერთიანება, რომლებიც იმუშავებ-დნენ ხმებზე, ამომრჩეველზე. ანუ უარყოფითი [განწყობა] მივქონდა ჩვენ და იმედის ჩასახვა იყო მათი საქმე“.*[154]

თავიანთ ინტერვიუებში, კმარას ყოფილი წევრები იხსნებენ  რევოლუციის შემდგომ, „ერთიანი ნაციონ-ალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის პერი-ოდს და განვითარებულ მოვლენებს. მათი მოსაზრე-ბები ცხადჰყოფს, რომ ახალგაზრდების მძაფრ საპ-როტესტო მუხტს სწორედ ხელისუფლების არადემოკ-რატიული ნაბიჯები იწვევს:

*„7 ნოემბერი იყო პიკი. 7 ნოემბერს მეც გავვარდი აქციაზე და იმ დღიდან მტერი ვარ. ნუ ბოლოს ეს როცა 2012 წელს ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, უკვე გასაგები იყო, რომ მიშას ვუშვებდით და ეს ბოლო ბრძოლა იყო.“*[155]

*„მნიშვნელოვანი იყო, რომ ეს ენთუზიაზმი გაგრძელდა ერთი ორი-სამი წელი და რეალცეები მწყობრად დალაგდა [...]. მერე ბუნებრივია. ყველაფერს რაღაც თავისი ლოგიკური განვითარება აქვს, რეფორმების მიმართ უკმაყოფილება გაჩნდა, რადგან გარკვეული რეფორმები ვერ მუშაობდა, გარ-კვეულწილად, თავის ლიმიტს მიაღწია ადამიანური და ბევრი სხვა ფაქტორის გამო და მორჩა, მეტად ვერ განვითარდა. როცა ვერ ვითარდება, მერე დეგრადირება ხდება“ .*[156]

---

[154] ამოანრიდი ლუკა წულაძის ინტერვიუდან, „კმარას“ ყოფილი აქტი-ვისტი, 2018 წ. https://www.radiotavisupleba.ge (ნანახია: 16.04.2024)
[155] ამოანრიდი ლუკა წულაძის ინტერვიუდან, „კმარას“ ყოფილი აქტი-ვისტი, *რადიო თავისუფლება*, 2018 წ. https://www.radiotavisupleba.ge (ნანახია: 16.04.2024).
[156] ამონარიდი გიორგი მელაძის ინტერვიუდან, „კმარას“ ყოფილი აქ-ტივისტი, *რადიო თავისუფლება*, 2018 წ. https://www.radiotavisupleba.ge (ნანახია: 11.04.2024).

ერთ-ერთ ინტერვიუში, თავად „კმარას“ ყოფილი აქტივისტი, რევოლუციის შემდგომი პროცესების შეფასებისას, გამოკვეთს რევოლუციის მნიშვნელოვან როლს ხელისუფლებისთვის, თუმცა, მისივე განმარტებით, რევოლუცირ ღირებულებებს არ მოჰყოლია განგრძობითობა და ის უბრალოდ სამთავრობო ქმედებებად გარდაიქმნა:

*„ვარდების რევოლუციამ“ თავისი თავი ამოწურა ერთ წელიწადში. რაც გაგრძელდა ეს იყო მთავრობა. კი, მთავრობას ყოველთვის ხელში ეჭირა „ვარდების რევოლუცია“, როგორც ლოზუნგი, მაგრამ ჩვენ ხომ ვხედავდით, რომ ეს უკვე უბრალოდ უკვე მთავრობაა და ყველაფერი რასაც ის აკეთებს, ის აკეთებს, როგორც მთავრობა და ამას არ აკეთებს „რევოლუცია“[...]. კი მათი უპირატესობა იყო „ვარდების რევოლუცია“, მემკვიდრეობა, მაგრამ მათ უნდა აეღოთ პასუხისმგებლობა ყველაფერზე, როგორც მთავრობას“.* [157]

საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმის შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ წლების შემდგომ აქივისტ ახალგაზრდებში შეინიშნება სამოქალაქო აქტივიზმისგან „დაღლა“, აღნიშნული კი, ხშირად, პოლიტიკური ნიჰილიზმისა და პროცესებისგან დისტანცირების საფუძველი ხდება. სწორედ, ამგვარ დაღლაზე საუბრობს ინტერვიუში, უკვე წლების შემდეგ, ახალგაზრდული მოძრაობის „კმარა“ ყოფილი აქტივისტი:

*„ეხლა მგონია, რომ საერთოდ განზე უნდა ვიდგე ცოტა ხანს, ორი ცუდი ძალაა და ამ თამაშში უკვე აღარ შევ-*

---

[157] ამონარიდი ლუკა წულაძის ინტერვიუდან, „კმარას“ ყოფილი აქტივისტი, 2018 წ. https://www.radiotavisupleba.ge (ნანახია: 11.04.2024).

*დივარ, მერე რაღაც შიცვლება, ახალი ბალანსის პერსპექ-ტივა გამოჩნდება და იქ შევალ... თუ შევედი, თუ არ დავი-ღალე“.*[158]

საქართველოში საარჩევნო პროცესებში ახალ-გაზრდების ჩართულობის გაანალიზება მნიშვნელო-ვანია, რადგანაც ამ პროცესებს ხშირად წინ უსწრებს ახალგაზრდების სამოქალქო აქტივიზმის პრეცენ-დენტები. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს, როგორც 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“, ამავდროულად, 2012 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ განვითარებული მოვლენები.

## 5. ხელისუფლების ცვლილება საქართველოში და ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივიზმი (2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდი)

2012 წელს ახლად შექმნილი პოლიტიკური გაერ-თიანების „ქართული ოცნება“ ირგვლივ ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი გაერთიანდა. ორგანიზაციის წინასაარჩევნო კამპანიაში პარტიის დამფუძნებლის  ბიძინა ივანიშვილის ვაჟი, ბერა ივ-ანიშვილიც, აქტიურად მონაწილეობდა. ახალგაზრდა მომღერალი, რომელმაც თავისი შემოქმედებით მოძ-რაობის მხარდამჭერი ახალაგზრდების სიმპათია მო-იპოვა. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ შეკრებებზე ბერა ივანიშვლი აქტიურად მონაწილეობდა და პო-

---

[158] ამონარიდი ლუკა წულაძის ინტერვიუდან, „კმარას“ ყოფილი აქტი-ვისტი, 2018 წ. https://www.radiotavisupleba.ge (ნანახია: 11.04.2024).

ლიტიკური შინაარსის სიმღრებსაც ხშირად აჟღერებდა.[159] ამ მხრივ განსაკუთრებით მასშტაბური 2012 წლის 29 სექტემბერს „ქართულ ოცნების“ ოთხთვიანი კამპანიის  დასკვნითი აქცია იყო, რომელშიც, ძირითადად, თბილისის ამომრჩევლები მონაწილეობდნენ, როგორც ცნობილია, აღნიშნული ყველაზე ხალხმრავალი შეკრება იყო, რაც კი ბოლო ათწლეულში გამართულა.[160]

წინა წლებში განხილულ ახალგაზრდების აქტივიზმისგან განსხვებით 2012 წლის მოვლენები, ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობა, ძირითადად, სწორედ, პოლიტიკური ჯგუფების მხარდამჭერ გამოსვლებში შეინიშნებოდა. თუმცა, ახალგაზრდების ჩართულობით რამოდენიმე საპროტესტო გამოსვლა 2012 წელს, უკავშირდებოდა სისტემის მიმართ პროტესტს, ისინი აპროტესტებდნენ კონკრეტული პირების დაკავებებს, მათ შორის ახალგაზრდებისაც. ახალგაზრდების პროტესტი გამოირჩეოდა მსვლელობებით, აგრეთვე, ახალგაზრდების მხრიდან პროტესტის რადიკალური ფორმის - შიმშილობის გამოცხადებით.[161]სხვა გამართულ შეკრებებზე მმართველი ძალის “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” პოლიტიკის წინააღმდეგ,

---

[159] ამონარიდი აქციიდან, სიმღერა - „საქართველო ჩვენ ვართ“, ბერა ივანიშვილი, 29 სექტემბერი, 2012,
https://www.youtube.com/watch?v=4udbMS3p6is (ნანახია: 12.03.2024).
[160] „ივანიშვილმა თბილისში მრავალათასიანი აქცია გამართა,“ Civili.ge, 29 სექტემბერი, 2012 წ. https://civil.ge/ka/archives/150912 (ნანახია: 12.04.2024).
[161] „საქართველოში საპროტესტო აქციები გრძელდება“, „ამერიკის ხმა“, 22 სექტემბერი, 2012 წ. https://www.amerikiskhma.com/a/protest-georgia-streets/1513051.html (ნანახია: 13.03.2024).

მომიტინგეები ხშირად სკანდირებდნენ ცოცხებით ხელში, რაც განსაკუთრებით გამძაფრთა წინასაარჩევნოდ ციხის კადრების გავრცელების შემდეგ. მოძრაობის დასაწყებად, აქტივისტებმა უნდა დაიჯერონ შესაძლებლობების არსებობა, რომ მათ აქვთ ცვლილბების მოტანის ძალა და რომ დამნაშავე სისტემაა. ამ მხრივ აღსანიშნავია 2012 წლის არჩევნებამდე სტუდენტური პროტესტი, რომელიც ციხეში წამების ამსახველიი ვიდეო მასალების გამოქვეყნების შემდეგ სპონტანურად დაიწყო.[162]

საყურადღებოა, ქართული სოციალური მოძრაობების  მკვლევარის თამარ ქარაიას დაკვირვება, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების ცვლილების მოთხოვნით გამართულ პროტესტებში მოქალაქეები „დეკორაციის“ ნაწილნი იყვნენ. მისივე ხედვით, სწორედ, 2012 წლიდან იწყება სოციალური ჯგუფების აღზევება და მათი მოთხოვნების ტრანსფორმაცია მთავრობის გადადგომიდან კონკრეტული თემატიკის მიმართულებით პოლიტიკის ცვლილებაზე. ამგვარად, თუ წინა მოძრაობები მიაღწიეს თავიანთ მიზნებს ხელისუფლების შეცვლის გზით, თანამედროვე საპროტესტო მოძრაობები მიზნად ისახავს პოლიტიკის შეცვლას. ეს პროცესი, ავტორის ხედვით, შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი და-

---

[162] შოთა აზიკური, „თანმედროვე ქართული პროტესტის გზა მასობრივი მიტინგებიდან სოციალურ მოძრაობებამდე“, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*, 2017, გვ.42.

მოკიდებულების პოზიტიური ცვლილებების მაჩვენებელი.[163]

2012 წლის შემდეგ საქართველში ახალგაზრდების პოლიტიკურ პორცესებში ჩართულობამ განსხვავებული სახე მიიღო. 2014 წელს, „ახალგაზრდების ეროვნული კვლევის მიზედვით,“ ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტივიზმი პოლიტიკური პროცესების მიმართ შედარებით დაბალია. მაგალითად, ახალგაზრდები ნაკლებად ერთვებოდნენ არა თუ საპროტესტო აქციებში, არამედ ინტერნეტ სივრცეში საკუთარი აზრის გამოსახად პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 23,0% იყენებდა.[164]

2012 წლის შემდგომ ახალგაზრდების დაბალი პოლიტიკური მონაწილეობა საპროტესტო გამოსვლებში, მჭიდროდ უკავშირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ხელისუფლების ცვლილების პარალელურად, საქართველოში პოლიტიკური დაძაბულობა შედარებით შესუსტდა. ახალგაზრდობისთვის სხვა მიმართულების თემატიკები ნაკლებად ხდებოდა პოლიტიკური აქტივიზმის მიზეზი, მაგალითად, სოციალური, ეკონომიკური გამოწვევები და ა.შ.

---

[163] Tamar Karaia. (06.2019). "Peculiarities of Social Protest Formation in Georgia", Ivane Javakhishvili Tbilisi state university, Faculty of social and political sciences, https://dspace.tsu.ge/items/17a7b860-1208-4bc1-a9b9-7a60be5f9f32 (Retrieved 16.04.2024).

[164] „ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში“, UNICEF, 2014 წ.

## 6. სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების მონაწილეობა მასშტაბურ საპროტესტო გამოსვლებში

სტუდენტური მოძრაობების ფორმირება და შემდგომი მათი აქტივიზმი უკავშირდება, როგორც შიდა საუნივერსიტეტო ფაქტორებს, ასევე, გარე, სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხებსაც. სტუდენტური პროტესტი, შესაძლოა, გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორითა და გარემოებებით, იქნება ეს სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური. აღნიშნული საქართველოში რამოდენიმე სტუდენტური მოძრაობის („ლაბორატორია 1918", „აუდიტორია 115" და „მაისის სტუდენტური მოძრაობა") მაგალითზე დადასტურდა.

სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების საქმიანობა, ხშირად, სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსაც აქტიურად უკავშირდება. ახალგაზრდული აქტივიზმისას, ხშირად, რთულია ზღვარის გავლება სტუდენტურ მოძრაობებსა და რიგით ახალგაზრდებს შორის. ახალგაზრდების პოლიტიკურ მონაწილეობის შესწავლისას სტუდენტური მოძრაობების შესწავლა ღირებულია, რადგან საქართველოში სტუდენტური მოძრაობების ჩართულობა სხვადასხვა მასშტაბურ პოლიტიკურ პროცესებშიც შეინიშნებოდა. განსაკუთრებით, სტუდენტური მოძრაობების პროტესტი, სახელმწიფოებრივ დონეზე, განათლების პოლიტიკის გაუმჯობესებისკენაა ხოლმე მიმრთული. სწორედ, ამ მიზნით ჩამოყალიბდა ახალი თვითორგანი-

ზებული ჯგუფი „ლაბორატორია 1918“, რომლის მიერ წამოჭრილი საკითხები უფრო და უფრო ფართოვდებოდა და მოიცავდა არა მხოლოდ თსუ-ის შიდა სასწავლო პროცესებს, არამედ, ზოგადად, უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ ხარვეზებსაც.[165]

საქართველოში სტუდენტური მოძრაობების გააქტიურება 2011 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეინიშნება. მკვლევართა დაკვირვებით, პოსტსაბჭოთა საქართველო როგორც ტრანზიციის წლებში, ასევე, მას შემდეგ, არ განიცდიდა პროტესტის, აქციებისა და მიტინგების, სამოქალაქო ჯგუფებისა და ორგანიზაციების ნაკლებობას, თუმცა სოციალური მოძრაობების ფენომენი გაცილებით გვიან, 2011-2012 წლებში იბადება.[166] რიგ მკვლევართა დაკვირვებით, სტუდენტების სოციალური კუთხით გააქტიურება, სწორედ, „ლაბორატორია 1918-ის“ დამსახურებაა, მეტიც, 2012 წლის სექტემბერში ციხის კადრების სკანდალის დროს, სწორედ, „ლაბორატორია 1918“ სტუდენტური აქციების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ორგანიზატორი იყო.[167] მკვლევარ შოთა აზიკურის დაკვირვებით, ეს იყო ყველაზე მასშტაბური გამოსვლები, რომლებსაც არ ხელმძღვანელობდნენ

---

[165] ლელა ბერიძე & ლილე ლოლიშვილი, სტუდენტური პროტესტი: ორი შემთხვევის ანალიზი, კრებული: რევოლუციიდან სოციალურ მოძრაობებამდე? პროტესტის დინამიკა 21-ე საუკუნის საქართველოში, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*, 2017, გვ.111.

[166] შოთა აზიკური, „თანამედროვე ქართული პროტესტის გზა მასობრივი მიტინგებიდან სოციალურ მოძრაობებამდე“, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*, 2017, გვ.26.

[167] სალომე გორგოძე, „რა სურთ სტუდენტებს“, *ლიბერალი*, 18 აპრილი, 2018.

პოლიტიკური პარტიებისგან შემდგარი ოპოზიცია. მისივე აღნიშვნით, საბოლოოდ, ამ აქციებმა გარკვეული ნარატივი შეიძინა, რაც კარგად აისახა ახალგაზრდა აქტივისტების მიერ შესრულებულ სიმღერაში „სისტემა უნდა დაინგრეს".[168] ჩამოყალიბების მიზეზები თავდაპირველად, შიდა საუნივერსიტეტო პრობლემებს უკავშირდებოდა, თუმცა, დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ, „ლაბორატორია 1918" აღარ იყო ვიწრო სტუდენტური მოძრაობა. მათ ლოზუნგებში უფრო მეტად ჩნდებოდა პროტესტი „მჩაგვრელი სისტემის", „კაპიტალიზმის", ამ სისტემაში დასაქმებულების, როგორც „თანამედროვე მონების" მიმართ და ა.შ. ამის საილუსტრაციოდ აღსანიშნავია 2012 წლის სექტემბერში აგორებული ციხის სკანდალის მოვლენები, როდესაც „ლაბორატორია 1918" სტუდენტური საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ორგანიზატორი იყო."[169] სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ, რადგან ამ დროისთვის ქვეყანაში ორგანიზებებული და მასშტაბური სტუდენტური გაერთიანება იყო ეს უკანასკნელი, აქციების ორგანიზება თავად მოუხდათ.[170]სტუდენტები აქციებს მართავდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილარმონიასთან, გლდანის მერვე საპყრობილესთან,

---

[168] შოთა აზიკური, „თანმედროვე ქართული პროტესტის გზა მასობრივი მიტინგებიდან სოციალურ მოძრაობებამდე", *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*, 2017, გვ.42.
[169] „ლაბორატორია 1918" - სუბკულტურა სისტემის პირისპირ", გიორგი გოგუა (liberali.ge), 15 მაისი 2013. https://liberali.ge/articles/view/3171/ .
[170] ლელა ბერიძე & ლილე ლოლიშვილი, სტუდენტური პროტესტი: ორი შემთხვევის ანალიზი, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*, 2017, გვ.113.

კანცელარიასა და სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებებთან. ისინი აქტიურად გმობენ ძალადობას და მოითხოვენ იმ პირთა დასჯას, ვინც პასუხს აგებს ძალადობრივი სისტემის ფორმირებაზე.[171]

პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ სტუდენტური მოძრაობის „ლაბორატორია 1918" აქტიურად ჩართულობიდან გამომდინარე, გაჩნდა შეხეედულება მათ ოპოზიციურ ძალასთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით. რიგ ავტორთა დაკვირვებით, აღნიშნულის მიზეზი, ერთი მხრივ, იყო ის, რომ სტუდენტურ გაერთიანებაში იყვნენ „ქართული ოცნების" ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები, მეორე მხრივ კი, ბრძოლა მიმართული იყო სისტემის ჩამოშლისკენ, რომელსაც კონკრეტული ხელისუფლება წარმოადგენდა.[172]

სისტემის წინააღმდეგ მიმართულ აქციებზე, მოძრაობის „ლაბორატორია 1918" წევრების გამოხატვის ფორმები განსხვავებული იყო, ხელისფულების შეცვლამდე იგი უფრო მწვავე ფორმებს მოიცავდა, როგორებიცაა ქუჩებისა და შენობების პიკეტირება. ხოლო არჩევნების შემდეგ და ხელისუფლების ცვლილების პარალელურად, საპროტესტო ფორმები მშვიდობიანი გახდა, როგორებიცაა საპროტესტო კონცერტი, პერფორმანსი და სხვა.[173]

---

171 „ლაბორატორია 1918 აქციების ფორმას ცვლის", *ნეთგაზეთი*, 26 სექტემბერი, 2012.

172 ლელა ბერიძე & ლილე ლოლიშვილი, სტუდენტური პროტესტი: ორი შემთხვევის ანალიზი, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*, 2017, გვ.114.

173 „ლაბორატორია 1918 აქციების ფორმას ცვლის", ნეთგაზეთი, 26 სექტემბერი, 2012.

მოძრაობის „ლაბორატორია 1918“ დაარსების შემდეგ, თანამედროვე საქართველოში, სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების გააქტიურება შეინიშნება. მათი როლი გამოიკვეთა, როგორც შიდა საუნივერსიტეტო, ასევე, სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში. ამ მხრივ გამორჩეული მოძრაობებია - „აუდიტორია 115“ და „მაისის სტუდენტური მოძრაობა.“ მკვლევართა დაკვირვებით, „ლაბორატორია 1918“-ის მემკვიდრეებად თავს თვლის ბევრი მოძრაობა, რომლებიც შემდეგ წლებში ყალიბდება, იყნებს კიდეც ამ მოძრაობის გამოცდილებას და აგრძელებს ტრადიციასაც. ერთ-ერთი ასეთი არის „აუდიტორია 115“, [...], აღსანიშნავია ამ ორი მოძრაობის განსაკუთრებული მასშტაბურობა აქციადემონსტრაციების თვალსაზრისით.[174] ორივე მოძრაობის წევრები დღემდე აქტიურად არიან ჩართული ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა სოციალურ პროტესტში. ისინი მხარს უჭერენ მეშახტეების, მეტროს მემანქანეების, მაღაროელების, გაფიცული კურიერების და ა.შ პროტესტებს.[175]

სტუდენტური მოძრაობების შესწავლის თვალსაზრისით, მკვლევარი ხატია იმერლიშვილი აანალიზებს სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების სახეებსა და ფორმირების ეტაპებს საქართველოში 2016-2022

---

[174] ლელა ბერიძე & ლილე ლოლიშვილი, სტუდენტური პროტესტი: ორი შემთხვევის ანალიზი, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*, 2017, გვ.109.

[175] ხატია იმერლიშვილი, „სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების ფორმირების ეტაპები და შედეგები საქართველოს მაგალითზე 2016-2022 წლებში“, ჟურნალი *„პოლიტიკა“*, 2023 ტომი 7, N4, გვ.14.

წლებში. ნაშრომი ღირებულია იმ თვალსაზრისით, რომ მრავალფეროვანი მეორეული წყაროების გაანალიზებით წარმოჩენილია თანამედროვე საქართველოში ორი ფართომასშტაბიანი სტუდენტური მოძრაობა, კერძოდ, „აუდიტორია 115“ და „მაისის სტუდენტური მოძრაობა“. ავტორის გაანალიზებით, „აუდიტორია 115“-ის შემთხვევაში პროტესტი განათლების პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. აღსანიშნავია, რომ მოძრაობის მოთხოვნებს აქტიურად ისმენდა და გარკვეულწილად ითვალისწინებდნენ სახელმწიფო უწყებები: „...მათი ერთ-ერთი მოთხოვნა მალევე დაკმაყოფილდა, პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა, გიორგი გაფრინდაშვილს სთხოვა, რომ თსუ-ის კანცლერის პოსტზე კანდიდატურა მოეხსნა (14 მარტს გიორგი გაფრინდაშვილმა კანდიდატურა მოხსნა) რამდენიმე დღეში აღნიშნულ მოთხოვნებს აკადემიური საბჭოს დაშლის საკითხი დაემატა“.[176] მოძრაობის „აუდიტორია 115“ შიდა საუნივერსიტეტო პროტესტი, თვის მხრივ, მიმართული იყო სახელმწიფო განათლების პოლიტიკის წინააღმდეგ, კერძოდ, აქცია გაიმართა 2016 წლის 25 ნოემბერს, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების პარალელურად, მათი მოთხოვნები შემდეგი იყო: დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა „უმაღლესი განათლების შესახებ კანონში" 45-ე მუხლის გასაუქმებლად [...], კონსტიტუციაში განისაზღვროს განათლებისა და მეცნიერების

[176] ხატია იმერლიშვილი, „სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების ფორმირების ეტაპები და შედეგები საქართველოს მაგალითზე 2016-2022 წლებში“, ჟურნალი *„პოლიტიკა“*, 2023 ტომი 7,N4, გვ.5.

დაფინანსების ქვედა ზღვარი, მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდებით.[177] აღსანიშნავია, სტუდენტთა ერთი მოთხოვნა დაკმაყოფილდა საკანონმდებლო ცვლილების მიმართულებით.[178]

თანამედროვე საქართველოში, მოქმედ სტუდენტურ ორგანიზაციას წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული „მაისის სტუდენტური მოძრაობა". მსგავსად წინა ორი სტუდენტური მოძრაობისა, მათი ჩამოყალიბების მიზეზები მიმართული იყო როგორც შიდა საუნივვერსიტეტო გამოწვევებთან, ისე სახელმწიფოს განათლების პოლიტიკასთან. „მაისის სტუდენტური მოძრაობის" მხრიდან პროტესტის გამოხატვის რადიკალურ ფორმებთან, ასევე, დაპირისპირებასთან დაკავშირებით, განცხადებები გაავრცელეს განათლების სამინისტრომ: „ვგმობთ პროტესტის გამოხატვის ძალადობრივ ფორმებს".[179] მოვლენების შემდგომი განვითარებით, მოძრაობის მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რომელიც რექტორის გადადგომასა და სტუდენტური საცხოვრებლის მშენებლობას ეხებოდა. „აუდიტორია 115"-ისა და „მაისის სტუდენტური მოძრაობის" პროტესტის მასშტაბურობას ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ მკვლევართა გაანალიზებით, ორივე

---

[177] ხატია იმერლიშვილი, „სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების ფორმირების ეტაპები და შედეგები საქართველოს მაგალითზე 2016-2022 წლებში", ჟურნალი *„პოლიტიკა"*, 2023 ტომი 7,N4, გვ.8.

[178] ხატია იმერლიშვილი, „სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების ფორმირების ეტაპები და შედეგები საქართველოს მაგალითზე 2016-2022 წლებში", ჟურნალი *„პოლიტიკა"*, 2023 ტომი 7,N4, გვ.9.

[179] იხ.იქვე, გვ.11 (ციტირებული cnews.ge-დან, 2022).

მოძრაობის შემთხვევაში, სტუდენტები ითხოვდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრას. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა “აუდიტორია 115-ის” შეხვედრები პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან.[180]

თანამედროვე საქართველოში ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდაში სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების ჩამოყალიბებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. განხილული სამი სტუდენტური მოძრაობის მაგალითზე გამოიკვეთა, რომ სამივე შემთხვევაში, პროტესტი მიმართული იყო როგორც შიდა საუნივერსიტეტო პრობლემების აღმოფხვრისკენ, ისე სახელმწიფოს განათლების პოლიტიკის წინააღმდეგ, მეტიც, სტუდენტური მოძრაობების მნიშვნელოვანი როლი გამოიკვეთა, ასევე, პოლიტიკური რეჟიმისა და მათ მიერ გატარებული რეპრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლება, ხშირად, მათი მოთხოვნების ნიველირებას, ვერ ახერხებდა.

საყურადღებოა, რომ ახალგაზრდების აქტივიზმი, გარდა სტუდენტური მოძრაობებისა, სხვა სოციალური მოძრაობების ფარგლებშიც საინტერესოა. რიგი ქართველი მკვლევარები აანალიზებენ ურბანულ სოციალურ მოძრაობებს თბილისში. მათ მიერ შესწავლილი მოძრაობების დაწყების მიზეზი იყო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, ქალაქი ტურისტებისთვის უფ-

---

180 Khatia Imerlishvili, Stages of Formation of Students’ Protest Movements and Their Outcomes: The Case of Georgia (2016-2020), *Politics*, Vol. 7, N4, 2023, p.13.

რო მიმზიდველი უნდა გამხდარიყო.[181] საქართველოში სოციალურ მოძრაობებში ახალგაზრდებისა და სტუდენტური მოძრაობების როლი, სამეცნიერო შესწავლის თვალსაზრისით, სამომავლო პერსპექტივის საგანია.

## 7. კლუბებში „ბასიანი“ და „გალერი" ჩატარებული სპეცოპერაცია და ახალგაზრდობის პროტესტი

ახალგაზრდობის აქტიურობით გამორჩეული კიდევ ერთი საპროტესტო გამოსვლა თანამედროვე საქართველოში 2018 წლის მაისში მოხდა. ეს პროტესტი 12 მაისს კლუბებში „ბასიანსა“ და „გალერიში“ ჩატარებულ სპეცოპერაციას მოჰყვა. მომიტინგეებისთვის სპეცოპერაცია ძალის დემონსტრირება იყო და ადამიანის უფლებების აშკარა და  უხეში უგულებელყოფით ჩატარდა.[182]

სხვა საპროტესტო აქციებისგან განსხვავებით, სადაც ახალგაზრდობა ჭარბობდა, ეს პროტესტი გამოირჩეოდა იმითაც, რომ განსხვავებული ჯგუფების დაპირისპირება მოხდა. აქციის მეორე დღეს გამოჩნდა დაპირისპირებული ნაციონალისტური დაჯგუფებები („ქართული მარში“, „თეთრი ხმაურის მოძრაობა“), რომლებიც აგრესიით გამოირჩეოდნენ. ისინი პარლამენტის შენობასთან შეიკრიბნენ და ცდილობდნენ

---

[181] Salome Dundua, Tamar Karaia, Sandro Tabatadze (2022). Tbilisi Urban Social Movements: On The Verge of Success/Failure, *European Journal of Transformation Studies*, V. 10, No. 2, p.26.

[182] "ანი სუბელიანი ამბობს, რომ 9 აპრილის მემორიალზე ცეკვის გამო ემუქრებიან", *ლიბერალი,* 16 მაისი, 2018, https://bit.ly/3q3ZXGT (ნანახია: 22.04.2024).

კლუბებზე სპეცოპერაციის წინააღმდეგ გამოსული მომიტინგეებზე ანგარიშწორებასა და ადგილიდან განდევნას. აქციის ლიდერების განცხადებით, ისინი „ნარკომოვაჭრეების” მიერ, ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, „ქალაქის ცენტრის ოკუპაციას“, „გარყვნილებისა“ და „ნარკოპოლიტიკის პროპაგანდას“ აპროტესტებდნენ“. [183]

წარმოდგენილ აქციებზე განსხვავებული იყო გამოხატვის ფორმები. შეინიშნებოდა ახალგაზრდობის მხრიდან ცეკვები კლუბური მუსიკის ფონზე, პერფორმანსები, გზის გადაკეტვა, კარვების გაშლა... საპირისპიროდ, კონტრდემონსტრანტების მხრიდან ადგილი ჰქონდა "ჩვენი თავისუფლებისთვის" აქციის მონაწილეთა მიმართ ძალადობის მუქარას, ფიზიკურ ძალადობასა და სხვა ძალადობრივ მოწოდებებს.[184] დაპირისპირებული ჯგუფებისგან დიდი გამოხმაურება მოჰყვა ახალგაზრდა გოგონას ცეკვას 9 აპრილის მემორიალზე, რასაც „ეროვნული ღირსების შეურაცხყოფად“ მოიხსენიებდნენ და მის დასჯას მოითხოვდნენ, თავად ახალგაზრდა მოცეკვავისთვის კი ეს ცეკვა, თავისუფლების აქტი იყო.[185]

---

[183]„ეროვნულ ძალთა გაერთიანების“ ორგანიზებით, თბილისში საპროტესტო აქცია გაიმართა“, *Civil.ge*, 15 მაისი, 2018, https://civil.ge/ka/archives/241716 (ნანახია: 22.04.2024).

[184]„ომბუდსმენი ნეო-ნაცისტური დაჯგუფებების წევრების ძალადობრივი ქმედებების გამოძიებას ითხოვს“ *On.ge*, 15 მაისი, 2018, https://on.ge/story/22599 (ნანახია: 22.04.2024).

[185]„ანა სუბელიანი: მემორიალზე ცეკვა ჩემთვის თავისუფლების აქტი იყო“, imedinews.ge, 13 მაისი, 2018, https://imedinews.ge/ge/politika/61366 (ნანახია: 22.04.2024).

საპროტესტო აქციებზე გაჟღერებულ მოთხოვნებს შორის ფიგურირებდა რამოდენიმე მოთხოვნა, რომელიც მიმართული იყო პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი  კომპონენტის, თანამდებობის პირების შეცვლისკენ, პრემიერ-მინისტრისა და შსს-ს მინისტრის გადაგომა, ასევე, მომიტინგეები მოითხოვდნენ კლუბებში ჩატარებულ სპეცოპერაციებზე პასუხისმგებელ პირთა დასჯასა და სხვა დეპუტატების მხრიდან რეაგირებას. გაჟღერებული მოთხოვნებიდან არც ერთი დაკმაყოფილებულა. ახალგაზრდებმა მხოლოდ შსს-ს მინისტრის გიორგი გახარიას ბოდიში მოისმინეს, რომელიც მან მათთვის შექმნილ დისკომფორტზე მოუხადა:

*„აბსოლუტურად ლეგიტიმური იყო ის, რაც პოლიციამ გააკეთა, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ბოდიში მოვიხადეთ იმ დისკომფორტისთვის, რომელიც ჩვენს ახალგაზრდა მოქალაქეებს შევუქმენით იმით, რომ მოგვიწია მათი საღამოს გეგმების ჩაშლა და კლუბიდან გამოყვანა. რა თქმა უნდა, მოვუხადეთ ბოდიში“.*[186]

---

[186] „გიორგი გახარია: ბოდიში ახალგაზრდებს საღამოს გეგმების ჩაშლისთვის მოვუხადეთ,“ *ტაბულა*, 18 მაისი, 2018, https://tabula.ge/ge/news/608690 (ნანახია: 23.04.2024).

## 8. 2019 წლის 20 ივნისი - ე.წ „გავრილოვის ღამე“ და ახალგაზრდების პოლიტიკური აქტივიზმი

სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევები ადასტურებს ქართველი ახალგაზრდობის პოლიტიკურ ნიჰილიზმსა და აბსენტიზმს. ახალგაზრდების ნახევარს არ აინტერესებს პოლიტიკური პროცესები, აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი არის გარკვეული უნდობლობა სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ.[187]

ფრიდრიხ ერბერტის ფონდის მიერ საქართველოში ჩატარებული 2023 წლის ახალგაზრდობის კვლევით დასტურდება, რომ ახალგაზრდების 62% ნაკლებად ინტერესდება პოლიტიკით.[188] ამის საპირისპიროდ, ახალგაზრდების აქტივიზმი არ ცხრებოდა ბოლო წლებში, სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხებში, ერთ-ერთი ასეთი საკითხი კი ოკუპაციის თემატიკა აღმოჩნდა. „ხშირად, ახალგაზრდების პოლიტიკურ პროტესტს შეუძლია შედეგის მოტანა. მაგალითად, 20 ივნისის პროტესტი, მას მოჰყვა დიდი რამ: პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომა, ერთი პარლამენტარის მიერ მანდატის დატოვება და პირობა, რომ მმართველი პარტია შეძლებს მომავალი არჩევნები 2020 წელს ჩაატაროს პროპორციული წესით, რაც დიდი მიღწევაა“.[189]

---

[187] ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში, UNICEF, 2014 წ.

[188]„ახალგაზრდობის კვლევა დამოუკიდებელი საქართველოს თაობა: იმედებსა და გაურკვევლობას შორის“, *ფრიდრიხ ებერტის ფონდი*, 2023.

[189] „რატომ არ უნდა ქართველ ახალგაზრდებს პარტიულ პოლიტიკაში მონაწილეობა“, ვერა გოგოხია (სამოქალაქო აქტივისტი), *ამერიკის ხმა, 27 აგვისტო, 2019. https://www.amerikiskhma.com/a/ned-fellow-vera-gogokhia-youth-political-participation/5055909.html*

2019 წელს რუსი დეპუტატის, სერგეი გავრილოვის, ვიზიტმა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში და მისი პარლამენტის თავჯდომარის სავარძელში ხილვა, ქართველ ახალგზრდობაში, დიდი პროტესტი გამოიწვია და ის ნიჰილიზმი, რასაც ახალგაზრდობა პოლიტიკური აქტივიზმის მიმართ გამოხატავდა, ერთმა მოვლენამ, სრულიად საპირისპირო შედეგები აჩვენა. დაიწყო მასშტაბური საპროტესტო აქციები, რასაც 20 ივნისის, ე.წ „გავრილოვის ღამედ" წოდებული მოვლენები მოჰყვა. 20 ივნისს, სამართალდამცველების მხრიდან, საპროტესტო აქციის დაშლა მოხდა, რომლის დროსაც მომიტინგეების ნაწილი დაშავდა, ორმა მათგანმა კი, მათ შორის ერთმა ახალგაზრდამ, თვალი დაკარგა.[190] აღნიშნულ მოვლენებში ახალგაზრდების როლის გამოსაკვეთად, კვლევებით დასტურდება, რომ აქციაზე დაზარალებულთა 50% 18 – 30 წლამდე ახალგაზრდები შეადგენდნენ.[191]

ანალიტიკოთა შეფასებით, მანამდე არსებული წარმოდგენები, ახალგაზრდობის პოლიტიკური აპათიისა და ნიჰილიზმის შესახებ, მცდარი აღმოჩნდა, რადგან 20 ივნისის მოვლენებმა სრულიად საპირისპირო სურათი აჩვენა:

*„ამ ფაქტმა აჩვენა აქტიური ახალგაზრდების არცთუ მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომლებიც პოლიტიკაში არა*

[190] „დაკარგული თვალის მიღმა", 20/21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2019, გვ.35.

[191] „2019 წლის 20 ივნისის ანტისაოკუპაციო საპროტესტო აქცია და სპეციალური პოლიციური საშუალებების გამოყენება საქართველოში", ცენტრი *„ემპათია"*, თბილისი, 2021, გვ.27.

*რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან მიკუთვნებულობის კუთხით, არამედ როგორც დამოუკიდებელი სოციალურ-პოლიტიკური აქტორები. ეს მოძრაობები, მათი ლიდერები, სრულიად აშკარად გამოიკვეთნენ, როგორც ანგარიშგასაწევი აქტორები".*[192]

აქციის ერთ-ერთი მონაწილე ინტერვიუში ხაზს უსვამს ახალგაზრდების მნიშვნელოვან როლზე 20 ივნისს მიმდინარე მოვლენებში, ამავდროულად, იგი ყურადღებას ამახვილებს სხვა თაობების მხრიდან ახალგაზრდებისადმი ნდობის ნაკლებობაზე:

*„მქონდა მოლოდინი, რომ რუსთაველზე გაცილებით მეტი ადამიანი უნდა მდგარიყო, რადგან იქ დასახიჩრდნენ ის ახალგაზრდები, რომლებმაც ზურგით უნდა ატარონ ეს ქვეყანა. მე ერთი თხოვნა მაქვს უფროს თაობასთან, მეტად გვენდოს მომავალ თაობას, ყველა თაობა ერთ აზრზე ვიდგეთ, გვქონდეს ერთი მიზანი და ეს მიზანი იყოს უკეთეს, თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრება".*[193]

ე.წ „გავრილოვის ღამის" შემდგომ განვითარებულმა საპროტესტო ტალღის მოვლენებმა, ხელისუფლების მხრიდან კონკრეტული დაპირება მოჰყვა: „2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, ჩატარდეს პროპორციული სისტემით, ნულოვანი, ვიმეორებ, ნულოვანი საარჩევნო ბარიერის პირობებში".[194]ამ გადაწყვეტილებაში, საკმა-

---

[192] მიხეილ გვაძაბია, „20 ივნისი – ბიძგი პოლიტიკური ცვლილებებისთვის", ამოანრიდი იაგო კაჭკაჭიშვილის ინტერვიუდან, 20 ივნისი, 2020 წ. https://netgazeti.ge/news/461687/ (ნანახია: 20.04.2024).

[193] ნინო თარხნიშვილი, ამონარიდი აქციის მონაწილის (შაკო დემეტრაშვილი) ინტერვიუდან, „20 ივნისის ოთხი რაკურსი," *რადიო* თავისუფლება, 18 ივნისი, 2020 წ. (ნანახია 17.04.2024)

[194] „2020 – პროპორციული არჩევნები ნულოვანი ბარიერით", *რადიო თავისუფლება*, 24 ივნისი, 2019 წ.

ოდ დიდი წვლილი შეიტანეს ახალგაზრდულმა მოძრაობებმა, რომელთა მრავალდღიანი პროტესტის შედეგადაც მიღწეული იქნა გადაწყვეტილება, რომელიც საარჩევნო სისტემას მაქსიმალურად აახლოვებდა პროპორციულ მოდელთან.[195]

## 9. 2023 წლის მარტის საპროტესტო აქციები – „Generation Z"-ის მობილიზება

საგარეო პოლიტიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ საზოგადოებრივ დისკურსში და ქართული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში ცენტრალურ როლსაც კი თამაშობს.[196] გამომდინარე აქედან, საქართველოს ევროპული კურსი და მასთან დაკავშირებული თემატიკა ქართველი ახალგაზდობისთვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში, საქართველოს ეროვნული იდეა დასავლური ეროვნული პროექტების იდეალებით საზრდოობდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის პერიოდში (1918-1921) „ევროპა, ან ზოგადად დასავლეთი [...] უფრო ფართო (ჩარჩო) იდენტობის ჩამოყალიბების წყაროდ, როლურ მოდელად და სავარაუდო მოკავშირედ მიიჩნეოდა".[197]

---

[195] Mariam Gelkhauri, Youth Issues in the Election Programs of Georgian Political Parties (2020 Parliamentary Elections), *Politics,* 2021, p.5.
[196] Kornely Kakachia, "Identity politics: Exploring Georgian foreign policy behavior", July 1, 2015, *Journal of Eurasian Studies*, Vol.6, N2.
[197] Ghia Nodia, "Components of the Georgian National Idea: an Outline", *Ilia State Identity Studies in the Caucasus and the Black Sea Region, University,* January 1, 2009. Vol. 1 (2009): Identity Studies.

თანამედროვე პერიოდში, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი 2022 წელს გააქტიურდა. სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ევროკავშირმა უკრაინასა და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიანიჭა, ხოლო საქართველოს გარკვეული დათქმები და ვადა დაუწესა, რომლის შესრულების შემდგომაც კანდიდატის სტატუსს მიიღებდა.[198] აღნიშნულმა მოვლენებმა ქართველ საზოგადოებაში კიდევ უფრო მძაფრი რეაქცია გამოიწვია, ისინი ხელისუფლებას მითითებული დათქმების შესრულებას აქტიურად მოუწოდებდნენ. ამ პერიოდში საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება განსაკუთრებით გააქტიურდა. ევროკომისიის მიერ დათქმების დაწესების პარალელურად თბილისში მრავალათასიანი საპროტესტო აქციები დაიწყო. ამ პროცესებში კი სტუდენტ-ახალგაზრდობის აქტიურობა, კიდევ ერთხელ გამოიკვეთა.

საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვებისა და ევროკავშირის დათქმების შესრულების პარალელურად, ახალგაზრდების გააქტიურება 2023 წლის მარტშიც გაგრძელდა, როდესაც ხელისუფლებამ უცხოური აგენტების შესახებ კანონპროექტი მიიღო. აღნიშნული კანონის მიღება მოსახლეობის ნაწილისთვის საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის შემაფერხებლად და კანდიდატის სტატუსის მოპოვების დამაბრკოლებლად აღიქმებოდა, რაც თავად ევ-

---

[198] European Parliament. (2022, 06 23). European Parliament resolution of 23 June 2022 on the candidate status of Ukraine, the Republic of Moldova and Georgia (2022/2716(RSP)). *Official Journal of the European Union* (Retrieved 04 12, 2024)

როპარლამენტარების შეფასებებითაც, აქტიურად ჟღერდებოდა.

„თაობის“ ცნება ხშირად გამოიყენება ადამიანთა იმ ჯგუფის აღსანიშნავად, რომლებსაც აქვთ საერთო აღზრდა და ისტორიული კონტექსტი. თუმცა, ამ ტერმინის ერთი საყოველთაო განმარტება სამეცნიერო წრეებში არ არსებობს. აკადემიურ წრეებში თაობებზე საუბრისას, ხშირად ყურადღება მახვილდება თანამედროვე თაობაზე, რომლებიც „Generation Z“-ის სახელწოდებით არის ცნობილი. აღნიშნული სახელწოდებით მოიხსენიება თაობა, რომელიც დაბადებულია 1997-2012 წლებში. ბოლოდროინდელმა კვლევებმა სცადა გამოეკვლია, თუ რით განსხვავდება Gen-Z წინა თაობებისგან ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებით, მაგალითად, როგორებიცაა მათი შეხედულებები, მიზნები და ჩვევები. შედეგებმა გამოავლინა მნიშვნელოვანი ცვლილებები ახალგაზრდების ამჟამინდელ თაობაში მათ წინამორბედებთან შედარებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მათ აქვთ განსხვავებული მახასიათებლები, პრეფერენციები, დამოკიდებულებები და ღირებულებითი სისტემები.[199]

2023 წლის დეკემბერში, საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მოიპოვა.[200] თუმცა ამ პროცესს საქართველოში 2022-2023 წლებში, წინ უსწრებდა

[199] Jayatissa, K.A.D.U, Generation Z –A New Lifeline: A Systematic Literature Review, Sri Lanka, *Journal of Social Sciences and Humanities* Volume 3, Issue 2, August 2023, pp. 179-186.

[200] European Council. (2023, 12 15). European Council meeting (14 and 15 December 2023) – Conclusions. Brussels, Belgium. Retrieved 04 12, 2024, from www.consilium.europa.eu/media/68967/

მრავალათასიანი საპროტესტო გამოსვლები. აღნიშული საპროტესტო გამოსვლები თბილისში ახალგაზრდა თაობის ჩართულობით გამოირჩეოდა. ამ პერიოდში განსაკუთრებით შეინიშნებოდა Genneration Z-ის მობილიზება. „2023 წლის მარტში ახალგაზრდებმა დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ ძლიერად დაიცვან მათი პოლიტიკური პოზიცია და მოახდინონ ცვლილებები“.[201]

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, სიღრმისეულ ინტერვიუებში ახალგაზრდები საუბრობდნენ თავიანთ შემართებასა და ენერგიაზე 2023 წლის 7-9 მარტი აქციების პროცესში:

*„რომ არა ეს ახალგაზრდული პროტესტი, რომ არა ეს ახალგაზრდული შემართება, რომ არა ეს ახალგაზრდული ენერგიია, რომელიც დღე და ღამ დაუღალავად, 7-9 მარტის აქციების პროცესებს ვგულისხმობ, სადაც ახალგაზრდები ჭარბობდნენ, თუ არა სრული უმრავლესობა საპროტესტო აქციებში მონაწილე ადამიანებისა“.*[202]

განსხვავებით ბოლო წლებში ჩატარებული ახალგაზრდობის კვლევებისაგან,[203] სადაც აღნიშნულია, რომ ახალგაზრდების 62 % საერთოდ არ ინტერესდება პოლიტიკური პროცესებით, 2023 წლის 7-8 მარტის საპროტესტო გამოსვლებმა განსხვავებული პროცესები გვიჩვენა. ამ აქციების პერიოდში ახალგაზრდობამ დიდი როლი ითამაშა ხელისუფლების მიერ მიღებუ-

---

[201] „უმუშევრობა ახალგაზრდებში, სახელმწიფო სტაჟირების პროგრამა და მარტის აქციების კონტექსტი“, მარიამ მერლანი, ამონარიდი სიმონ ჯანაშიას ინტერვიუდან, *On.ge*, 26 მარტი, 2024 (ნანახია 05.05.2024).

[202] სიღრმისეული ინტერვიუ წარსულსა და მიმდინარე პერიოდში პოლიტიკურად აქტიურ ახალგაზრდასთან, რესპონდენტი №4, 27.10.2023.

[203] ფრიდრიხ ებერტის ფონდი, კვლევის ანგარიში, 2022.

ლი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის უკან გაწვევაში.

მარტის აქციები საქართველში ახალგაზრდების მხრიდან გამოხატვის ფორმების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. პოლიციამ აგენტების შესახებ კანონის საწინააღმდეგო აქციის მონაწილე, ლაზარე გრიგორიადისი 29 მარტს დააკავა. პროკურატურის მტკიცებით, 7 მარტს გრიგორიადისმა 9 აპრილის ქუჩაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების მიმართულებით ორჯერ ისროლა ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი. ამასთან, უწყება დაკავებულს ედავება, რომ მან 9 მარტს, ღამის საათებში ჭანტურიას ქუჩაზე განზრახ წაუკიდა ცეცხლი შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილ მანქანას.[204] გარდა ახალგაზრდების მიერ პროტესტის გამოხატვის რადიკალური ფორმებისა, მარტის აქციების დროს, ჩვენ ვნახეთ ახალგაზრდები, რომლებიც წყლის ჭავლზე ხტუნაობდნენ, სამართალდამცავებს ყვავილებსა და ტკბილეულს სთავაზობდნენ და სირენების ხმაზე ცეკვავდნენ.[205]

2023 წლის მარტის საპროტესტო აქციების პარალელურად აქტიურად ჟღერდებოდა ევროპარლამენტარების შეფასებები საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით,

---

[204] ლაზარე გრიგორიადისის დაკავება, *ტაბულა*, 28 დეკემბერი, 2023, https://tabula.ge/ge/news/712450-2023-sakartvelo (ნანახია 15.04.2024).
[205] ლ. კახაბერიძე, კანდიდატის სტატუსი — როგორია Gen Z თაობის სურვილები და მოლოდინები, 12 დეკემბერი, 2023 წ. *On.ge*, https://on.ge/story/124794 (ნანახია 17.04.2024).

თბილისში „უცხოეთის აგენტებზე“ კანონპროექტების საწინააღმდეგო აქციების შემდეგ, ევროპარლამენტში 14 მარტს გამართულ დებატებზე ევროდეპუტატებმა მკაცრად გააკრიტიკეს „ქართული ოცნების“ მთავრობა და ქართველი ხალხის ევროპული მისწრაფებების მიმართ მხარდაჭერა და სოლიდარობა გამოხატეს.[206] აღნიშული დებატებზე ძირითადად ჟღერდებოდა სოლიდარობა ქართველი საზოგადოებისა და მათი ევროპული მისწრაფებების მიმართ (მაგალითად, პეტრას აუშტრევიჩიუსის, ანა ფოტიგას, მარინა კალიურანდისა და სხვების გამოსვლებში). აღნიშული დებატების გაანალიზებისას, უშუალოდ ახალგაზრდებისა და მათი პროტესტის ცალკე ხაზგასმა ნაკლებად შეინიშნება. მხოლოდ, ევროპარლამენტარის, კატალინ ჩეჰის გამოსვლაში აღნიშნულია აქციის ერთ-ერთი მომიტინგის როლი: „თბილისში მომიტინგე, რომელიც ევროკავშირის დროშას აფრიალებს წყლის ჭავლის პირისპირ, არის ძლიერი სიმბოლო“.[207] 2023 წლის მარტის აქციების ~ერთ წლისთავზე, თავად ქალი ევროკავშირის დროშით, ნანა მალაშხია, ახალგაზრდებს მიმართავს და „ბრძოლის, ერთიანობისა და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნებისთვის მადლობას უხდის“.[208]

---

[206] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ანგარიში, 2023, გვ.4 (მოპოვებულია საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“-დან), https://www.gyla.ge/files/2020/ (ნანახია 17.04.2024).
[207] European Parliament, Plenary session, 14.03.2023, https://multimedia.europarl.europa.eu/en/webstreaming/plenary-session_20230314-0900-
[208] „ნანა მალაშხია ახალგაზრდებს: თქვენ უნდა გვატაროთ თავისუფალი საქართველოს გზაზე“, *პუბლიკა*, 7 მარტი, 2024, https://publika.ge/nanamalashkhia/ (ნანახია: 22.04.2024).

საქართველოში ახალგაზრდული პროტესტი, ევროინტეგრაციის პროცესების პარალელურად, ერთი წლის შემდგომაც აქტიურ დღის წესრიგში დგას. 2024 წლის აპრილში, მმართველი პარტიის „ქართული ოცნება“ მიერ კვლავ ინცირდა და მიღებულ იქნა კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“. სამოქალაქო საზოგადოება, მათ შორის გამოკვეთილად აქტიური რგოლი ახალგაზრდობაა, ასევე, ევროპარლამენტის წარმომადგენლები, მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას აღნიშნული კანონის გაწვევას. ამ ფონზე უკვე აქტიურად ჩატარდა რამოდენიმე მრავალათასიანი საპროტესტო აქცია, სადაც კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ახალგაზრდული მუხტი.

# თავი IV. პოლიტიკური პარტიები საქართველოში, როგორც ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის ინსტიტუცია

საქართველოს პოლიტიკური სისტემის ისტორიაში პოლიტიკურ პარტიებს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. საქართველოში პარტიების წარმოშობა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარეობდა. პირველი პოლიტიკური პარტიის შექმნის თარიღად 1892 წლის 25 დეკემბერი შეგვიძლია მივიჩნიოთ, როცა გაიმართა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის პირველი კონფერენცია. 1893 წლის თებერვალში, ჯგუფის მეორე კონფერენციაზე მიიღეს პირველი პროგრამა.[209] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ისტორიაში მნიშვნელოვანი წლები აღმოჩნდა პოლიტიკურ პარტიათა ეკლექტურობის თვალსაზრისით, მეტად აღსანიშნავია, ეროვნული საბჭო და შემდგომ უკვე პირველი არჩეული პარლამენტი დამფუძნებელი კრება, სადაც გადაწყვეტილებების მიღება სხვადასხვა იდეოლოგიის მქონე პოლიტიკურ სუბიექტებს შორის შეთანხმებითა და აზრთა გათვალისწინებით ხდებოდა, მაგალითად, ამ მხრივ აღსანიშნავია, საკონსტი-

[209] ირაკლი ირემაძე, პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემა 1917-1921 წლების საქართველოში, *ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი*, 2021, გვ.5. ციტირებულია - ჯონსი, ს. (2018), სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა, თბილისი: *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.*

ტუციო პროექტის განხილვა.[210] თანმედროვე საქართველოში, საპარლამენტო მმართველობის პირობებში, პოლიტიკური პარტიების რაოდენობა დიდია. 2020 წლის პარლამენტის არჩევნებისთვის ცესკოს თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე რეგისტრაციაში გატარდა 50 საარჩევნო სუბიექტი, მათ შორის 48 პარტია.[211] მიუხედავად პარტიათა მრავალრიცხოვანი რაოდენობისა, ზოგიერთი ავტორის აღნიშვნით, საქართველოს შემთხვევაში, დარეგისტრირებული პარტიების რიცხვი ავტომატურად არ მიუთითებს მრავალპარტიული სისტემის არსებობას.[212]

პარტიული პოლიტიკა, პოსტასაბჭოთა პერიოდის საქართველოში, რთული შიდა კრიზისების ფონზე ვითარდებოდა. ქვეყანაში არსებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევები მნიშვნელოვნად აისახებოდა პარტიული სპექტრის ფორმირებაზე. ამავდროულად, დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელისუფლების მოპოვება არ ხდება ერთხელ და სამუდამოდ, უფრო მეტიც, ხელისუფლების დარჩენა ერ-

---

[210] მალხაზ მაცაბერიძე, „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება, მიღება, სახელმწიფოს მოწყობის კონცეფცია" (თბილისი, 2021), გვ.111.

[211] საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, თებერვალი 2021, გვ.7 (ნანახია 24.04.2024).

[212] გია ნოდია, საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი, პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები, *მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი,* თბილისი, 2006.

თი პარტიის ხელში დამღუპველია როგორც ამ პარტიისთვის, ისე დემოკრატიისთვის.[213]

პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში ახალგაზრდების ჩართულობა პოლიტიკური პარტიების საქმიანობებში XX საუკუნის ბოლო წლებიდან შეინიშნება. იმ ახალგაზრდების, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს პარტიული გადაწყვეტილებების ფორმირებაზე. ამ ამხრივ აღსანიშნავია მიხეილ სააკაშვილი, რომელიც 1995 წელს, 28 წლის ასაკში, საპარლამენტო არჩევნებში მოქალაქეთა კავშირის მანდატით, პარტიული სიით საქართველოს მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი გახდა და რამოდენიმე წლის განმავლობაში (1999 წლამდე) პარტიის „მოქალაქეთა კავშირი" საპარლამენტო საქმიანობის განმხორციელებელი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო.[214]ამავე საპარლამენტო მოწვევის კიდევ ერთი ახალგაზრდა დეპუტატი ნინო ბურჯანაძე გახდა.[215] როგორც შემდგომმა პროცესებმა გვიჩვენა, ახალგაზრდა დეპუტატი (მიხეილ სააკაშვილი) გარდამტეხი პოლიტიკური ფიგურა აღმოჩნდა საქართველოს პოლიტიკური ცვლილებების ასპარეზზე.

საქართვეელოში პარტიული ისტორიის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, პარტიული პოლიტიკის

[213] მალხაზ მაცაბერიძე, „არჩევნები და საზოგადოება", *ფონდი ღია საზოგადოება* - საქართველო, 2003, გვ.97.

[214] „მიხეილ სააკაშვილი და მისი საპრეზიდენტო დაპირებები", *რადიო თავისუფლება*, 30 დეკემბერი, 2003. https://www.radiotavisupleba.ge/a/1532842.html (ნანახია 25.04.2024).

[215] თუმცა, იმ დროისთვის ნინო ბურჯანაძე 31 წლის იყო, წარმოდგენილ ნაშრომში ახალგაზრდობის დეფინიციის ზედა ზღვარად მიჩნეულია 29 წელი (ავტორის შენიშვნა).

შესწავლა, ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის თვალსაზრისით, დღემდე არ კარგავს აქტუალურობას. შესაბამისად, თანამედროვე პერიოდში (2008-2020 წწ.), პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიებისა და საკონონმდებლო ორგანოში ახალგაზრდების როლის შესწავლის საფუძველზე, ნაშრომის წინამდებარე თავი აანალიზებს პოლიტიკურ პარტიებს, როგორც ახალგაზრდების პოლიტიკური სოციალიზაციისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუციას.

## 1. ახალგაზრდების როლი საქართველოს პარლამენტსა და პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიებში

ექსპერტთა შეფასებით, ახალგაზრდების პარტიულ პოლიტიკაში მონაწილეობის წახალისება საქართველოს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია, რადგან, სწორედ, ამ ახალგაზრდებს აქვთ უფრო მეტი შეხება საზოგადოებასთან, ჩვეულებრივ ხალხთან და არა პოლიტიკოსებთან, ან პარტიების მმართველებთან. ახალგაზრდებს შეუძლიათ რომ ეს ხმა, ეს პრობლემები მიიტანონ პარლამენტში და პოლიტიკური დღის წესრიგის საგანი გახადონ. მათ აქვთ შესაძლებლობა, ყველანაირი ცოდნა და უნარი იმისთვის, რომ ეს თემები აქციონ მნიშვნელოვან საკითხებად.[216] პოლიტიკურად აქტიური ახალგაზრდების ხედვით,

[216] „რატომ არ უნდათ ქართველ ახალგაზრდებს პარტიულ პოლიტიკაში მონაწილეობა?", ეკა მაღალდაძე (ინტერვიუ ვერა გოგოხიასთან), *ამეhიკის ხმა*, 27 აგვისტო, 2019.

„ახალგაზრდების მმართველ რგოლში ჩართულობა მნიშვნელოვანია. ახალგაზრდების ხედვები, პრობლემები, მათი თვალით დანახული დღევანდელი საქართველო, და მომავლის საქართველო სადაც თვითონ სურთ, რომ იყვნენ ამ ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქეები და ამ ქვეყნის მმართველები როგორც სეგმენტი“.[217]

კვლევის ფარგლეში ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების გაანალიზებისას გამოიკვეთა რომ, წინა წლებისგან განსხვავებით (2008 წლიდან-დღემდე), პოლიტიკური პარტიების მხრიდან ახალგაზრდა პოლიტიკოსების წარმოჩენის მიუხედავად, თავად ამ პროცსებში ჩართული ახალგაზრდის აზრით, ახალგაზრდული ენერგია პოლიტიკურ პარტიებს მაინც აკლიათ. ამის მიზეზად იგი პოლიტიკის არასწორ აღქმას ასახელებს:

*„ვითომ გვყავს ახალგაზრდა პოლიტიკოსები, მაგრამ ეს პოლიტიკოსები პოლიტიკას უყურებენ როგორც სამსახურს - დილას უნდა გამოვიდნენ სახლიდან და დაბრუნდნენ ისევ სახლში [...]. ჩვენი ცხოვრება ეძღვნებოდა ხალხს, ეძღვნებოდა ქვეყნის კეთილდღეობას, და თუკი ოდესმე ამითი დავიღლებოდით და ეს ენერგია აღარ გვექნებოდა აუცილებლად გავიდოდით გვერძე, იმიტომ რომ პოლიტიკა ჩვენ სხვანაირად არ წარმოგვედგინა. სამწუხაროდ, ეს ენერგია, დღესდღეობით, არ ჩანს და პარტიები გაურბიან*

[217] სიღრმისეული ინტერვიუ (№4) პოლიტიკურად აქტიურ ახალგაზრდასთან, 27.10.2023 წ.

*ხოდმე ახაღგაზრდებისთვის ზედმეტად ბევრი თავისუფ-ლების მიცემას“.*[218]

საქართველოს პარლამენტში ახალგაზრდა დეპუ-ტატთა (19 წლის ჩათვლით) რაოდენობა 2008-2020 წლებში, მცირე რაოდენობა შეინიშნება. მონაცემები-ით დგინდება, რომ ამ პერიოდში 2008 წლის მე-7 მოწ-ვევის პარლამენტი ყველაზე მეტად გამოირჩეოდა ახ-ალგაზრდა დეპუტატთა რაოდენობით, რვა დეპუტატი-დან შვიდი კი, იმ დროისთვის მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენე-ლი იყო. 2012 წელს მე-8 მოწვევის პარლამენტში ახალ-გაზრდა დეპუტატთა რაოდენობა განახევრდა და მმართველ პარტია „ქართულ ოცნებასა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შორის თანაბრად გადანა-წილდა. კიდევ უფრო მცირდება 29 წლამდე ასაკობრი-ვი კატეგორიის დეპუტატთა რიცხვი საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტში 2016 წელს და მხოლოდ ერ-თი დეპუტატით შემოიფარგლებოდა, მმართველი პარ-ტიიდან.

რაც შეეხება 2020 წლის საპარლამენტო არჩევ-ნებს, იმის მიუხედავად, რომ ეს არჩევნები 1%-იანი საარჩვენო ბარიერით ჩატარდა და შესაბამისად, წინა წლებთან შედარებით მეტმა, ცხრა პოლიტიკურმა სუ-ბიექტმა, მოახერხა საპარლამენტო ბარიერის გადა-ლახვა. ახალგაზრდა დეპუტატთა წილი მე-10 მოწვე-ვის საკანონმდებლო ორგანოში, წინა მოწვევის პარ-ლამენტთან შედარებით, მხოლოდ ერთი დეპუტატით

---

[218]სიღრმისეული ინტერვიუ წარსულში პოლიტიკურად აქტიურ ახალ-გაზრდასთან, რესპონდენტი №3, 17.11.2023 წ.

გაიზარდა. კანდიდატები ისევ „ქართულ ოცნებასა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენდნენ“. 2008-2020 წლებში, ახალაგზრდა დეპუტატთა წარმოდგენით, საკანონმდებლო ორგანოში, ძირითადად, ეს ორი პოლიტიკური პარტიაა გამოკვეთილი, აღნიშნული, შეისაძლოა, გამომდინარეობდეს იქედან, რომ თითოეული მათგანი სხვადასხვა დროს სახელისუფლებო ან მსხვილ ოპოზიციურ პარტიას წარმოდგენდა და სხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან შედარებით ბევრად მეტ მანდატს ფლობდა (იხ. ცხრილი №1).

**ცხრილი №1.**

29 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს ოთხი მოწვევის პარლამენტის დეპუტატთა რაოდენობა პოლიტიკური პარტიების მიხედვით. ცხრილში, ასევე, მოცემულია თითოეულ წელს ახალგაზრდა დეპუტატთა წილი მთელი რაოდენობიდან (150).

| 2008 | | 2012 | | 2016 | | 2020 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნაციონ. მოძრაობა | 7 | ნაციონ. მოძრაობა | 2 | ქართული ოცნება | 1 | ქართული ოცნება | 1 |
| ქრისტიან დემოკრ. | 1 | ქართული ოცნება | 2 | | | ნაციონ. მოძრაო-ბა | 1 |
| სულ: | 8 | სულ: | 4 | სულ: | 1 | სულ: | 2 |
| სულ (%) (150 დან) | 5.3% | სულ (%) (150-დან) | 2.6% | სულ (%) (150 დან) | 0.6% | სულ (%) (150 დან) | 1.3% |

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, ახალგაზრდა დეპუტატთა რაოდენობა, 2008-2020 წლებში, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში მთლიანი რაოდენობის (150) მაქსიმუმ 5,3 % დაფიქსირებულა. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო სისტემისა და ბარიერის ცვლილების მიუხედავად, ეს მონაცემი არ გაუმჯობესებულა. გამოწვევის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, შეიძლება მივიჩნიოთ, თავად პოლიტიკური პარტიების მხრიდან გატარებული პოლიტიკა რადგანაც, სწორედ, მათი საარჩევნო სიების მოწინავე პოზიციებზე მყოფი პირები მოიპოვებენ საპარლამენტო მანდატს. აღნიშნული სიების მოწინავე პოზიციები განსაკუთრებით გადამწყვეტი დაბალი მხარდამჭერის მქონე პოლიტიკური სუბიექტებისთვისაა.

ბოლო პერიოდში, საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისებისგან გამოწვეული ტურბულენტური გარემო პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოების ურთიერთობაზე მნიშვნელოვნად აისახება. ისინი ერთმანერთისგან გახლეჩილნი არიან. საზოგადოებაში მაღალია პოლიტიკური პარტიებისადმი უნდობლობა. ამ სიტუაციის დასაბალანსებლად, ახალგაზრდობის ჩართულობა პოლიტიკური პარტიებისთვის გადამწყვეტია:

*„უნდა მოიწვიონ ისინი (ახალგაზრდები) პარტიებში, მისცენ თავისუფლება და მისცენ თავიანთი იდეების წამოყენების საშუალება. ეს იქნება მათი გადარჩენის გზა. როგორც ვხედავთ, ბოლო გამოკითხვებით, ორივე დიდ პარტიას ძალიან დაბალი რეიტინგი აქვს, რატომ? იმიტომ, რომ მათ არ აქვთ გზა ხალხისკენ და ხალხს არ აქვს*

*გზა მათკენ. ეს გზა კი იქნება ახალგაზრდები, ეს იქნება ის ხიდი, რომელიც შეაერთებს პარტიას და საზოგადოებ-ას, რომელიც ერთმანეთისგან სრულიად გარდებიდია“.*[219]

პოლიტიკური პარტიების მხრიდან ახალგაზრდე-ბის საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენის მოტი-ვაციის განსასაზღვრად, დავითვალეთ 2020 წლის სა-პარლამენტო არჩევნებში, პროპორციულ ნაწილში 1% საარჩევნო ბარიერ გადალახული პოლიტიკური პარ-ტიების საარჩევნო სიების პირველი ოცეული. რო-გორც აღმოჩნდა, ცხრა პოლიტიკური სუბიექტიდან ხუთ ოპოზიციურ პარტიას პროპორციული სიებში, ჯამ-ში თერთმეტი ახალგაზრდა კანდიდატი ჰყავდა, რაც მთლიანი რაოდენობის 6 %-ია, ხოლო მაჟორიტარულ სიებში სულ ორ ოპოზიციურ პარტიას ჯამში 6 კანდი-დატი, ანუ მთლიან კანდიდატთა რაოდენობის 4% ჰყავდა წარმოდგენილი (იხ. ცხრილი №2).

---

219 „რატომ არ უნდათ ქართველ ახალგაზრდებს პარტიულ პოლიტიკა-ში მონაწილეობა?“, ეკა მაღალდაძე (ინტერვიუ ვერა გოგოხიასთან), *ამერიკის ხმა*, 27 აგვისტო, 2019.

**ცხრილი №2.**

ახალგაზრდების (25-29 წწ.) რაოდენობა 1%-იან საარჩევნო ბარიერ გადალახული პოლიტიკური პარტიების პროპორციულ და მაჟორიტარულ სიებში (2020 წ. საპარლამენტო არჩევნები).

| პოლიტიკური პარტიები | პროპორციული სიები. 25-29 წწ. | მაჟორიტარული სიები. 25-29 წწ. |
|---|---|---|
| ქართული ოცნება | 0 | 0 |
| ენმ | 1 | 0 |
| ევროპული საქ. | 0 | 0 |
| ლელო | 3 | 3 |
| სტრატეგია აღმაშ. | 1 | 0 |
| პატრიოტთა ალიანსი | 0 | 0 |
| გირჩი | 3 | 0 |
| მოქალაქეები | 0 | 0 |
| ლეიბორისტები | 3 | 3 |
| სულ | 11 | 6 |
| სულ კანდიდატები | 180 | 163 |
| პროცენტული წილი | 6 % | 4 % |

# თავი V. სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი

წინამდებარე კვლევის ფარგებში, შერჩეული რესპონდენტები წარსულში ან მიმდინარე პერიოდში პოლიტიკურ პროცესებში აქტიური მონაწილენი არიან, 2003 წლიდან დღემდე. მათი პოლიტიკური მოონაწილეობა შემოიფარგლებოდა და/ან შემოიფარგლება საპროტესტო აქციებში ჩართულობით, ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრობით, როგორც პოლიტიკურ პარტიებში, ისე დამოუკიდებელ ახალგაზრდულ ორგანიზაციებში წევრობითა თუ ლიდერობით, ამავდროულად, საარჩევნო პრიცესებში ჩართულობით და სხვა.

## 1. ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობა პოლიტიკურ პროცესებში

თავად გამოკითხული ახალგაზრდები, საქართველში ახალგაზრდების პოლიტიკურ აქტიურობას ერთ-ერთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხად თვლიან. ახალგაზრდების ჩართულობას ისინი აიგივებენ ქვეყნის პროგრესთან, ახალი იდეების შექმნასთან, ცვლილებებთან, თუმცა, აქვე აღნიშნავენ საბჭოთა პერიოდის გავლენას დღევანდელ საქართველოზე. სწორედ ამ გავლენის დასაძლევად, „ვცდილობთ თვალებახვეულები არ ვიყოთ და გავარღვიოთ ეს სიბნელე და ცოტა სინათლე შემოვიტანოთ“.[220]

[220] სიღრმისეული ინტერვიუ წარსულში პოლიტიკურ პარტიაში ჩართულ ახალგაზრდასთან, რესპონდენტი №6, 07.11.2023 წ.

ახალგაზრდობის სიძლიერეზე მათი განათლების დონე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. განათლებული ახალგაზრდა მეტად აქტიური და პასუხისმგებლიანი მოქალაქეა. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს ის ფაქტიც რომ, გამოკითხული პოლიტიკურად აქტიური რესპოდენტების უმრავლესობა უმაღლესი განათლების მქონეა, განსაკუთრებით კი იმ პროფესიების წარმომადგენლები, რომლებიც შინაარსობრივად უფრო ახლოს არიან პოლიტიკურ პროცესებთან. იგივე მონაცემები გამოიკვეთა საქართველოში პოლიტიკურ პარტიებში ახალგაზრდების ჩართულობის კვლევებში. თუმცა, გარდა განათლების დონისა და პროფესიული ინტერესისა პოლიტიკური პროცესების მიმართ, ჩვენ მიერ ჩატარებულ სიღრმისეული ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ ოჯახი და ქვეყანაში მიმდინარე პროცესები მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია ახალგაზრდობის პოლიტიკური მონაწილეობისა.

პოლიტიკური მოვლენებზე საუბრისას, ახალგაზრდები გამოარჩევენ  საქართველოს პოლიტიკური სისტემის ისტორიაში მომხდარ ისეთ მოვლენებს, რომლებიც ცვლილებების საწინდარი გახდა. მათი ხედვით, საქართველოს აქვს მრავალფეროვანი და დიდი უახლოესი ისტორია პოლიტიკურ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობისა. საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული ახალგაზრდების მხრიდან აღსანიშნავია 1978 წლის 14 აპრილისა და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები, რომელსაც დამოუკიდებლობის მოპოვება მოჰყვა. ამის შემდეგ ისინი გამოარჩევენ 2003 წლის ვარდების რევოლუციის მოვლენებს, რომ-

ლებიც სწორედ ახალგაზრდების აქტიური ჩართულობით დაიწყო. 2012 წლის მოვლენებზე საუბრისას, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ, ახალგაზრდების ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში განსაკუთრებით გაიზარდა და შესამჩნევი გახდა. სწორედ, ამ პროცესებს უკავშირებენ ხელისუფლების ცვლილებას საქართველოში, მშვიდობიანად, საპარლამენტო არჩევნების გზით:

*„2012-ში დავინახე იმდენი ახალგაზრდა, რომ საერთოდ არ მეგონა თუ იყვნენ ამ ქვეყანაში ამდენი პოლიტიკური ინტერესის მქონე ახალგაზრდები. მაგრამ 2012-ში მოხდა ცვლილება, ახალგაზრდები გამოვიდნენ წინა ხაზზე და მოხდა ხელისუფლების ცვლილება".*[221]

დღევანდელ საქართველოში, ახალგაზრდებზე საუბრისას, რესპონდენტები გამოარჩევენ 2019 წლის 20 ივნისის მოვლენებს, როდესაც რუსი დეპუტატის საქართველოს პარლამენტში გამოსვლამ ახალგაზრდობის დიდი პროტესტი გამოიწვია. ასევე, ახალგაზრდების აქტიურობის თვალსაზრისით, დასახელებულია 2023 წლის 7-9 მარტის აქციების მოვლენები, რომელიც ხელსისუფლების მხრიდან „აგენტების შესახებ კანონპროექტის" მიღებას მოჰყვა.

პოლიტიკური პარტიის „ეროვნული ფორუმი" ყოფილი ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერი აღნიშნავს პოლიტიკური პარტიებისთვის ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობას:

*„მანამდე საკმაოდ ბევრი პარტია იყო ისეთი, მაგა-*

[221] სიღრმისეული ინტერვიუ წარსულში პოლიტიკურად აქტიურ ახალგაზრდასთან, რესპონდენტი №2, 03.11.2023 წ.

*დითად „ეროვნული ფორუმი,“ საკმაოდ რეიტინგული იყო, თუმცა ვერ ვდგავდით მნიშვნელოვან ნაბიჯებს, რადგან ცოტა ახალგაზრდა იყო ამ პარტიის გარშემო. ძირითადად უფროსი თაობის წარმომადგენლები იყვნენ. ახალგაზრდული ენერგია 2012 წლამდე ოპოზიციურ პარტიებს ნაკლები ჰქონდათ და შესაბამისად ვერ ახერხებდნენ ცვლილებას“.*[222]

## 2. ახალგაზრდების მოტივატორები და დემოტივატორები პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობისას

ახალგაზრდების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობას განსხვავებული მიზეზები გააჩნია. სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები ახალგაზრდებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივატორია პოლიტიკური გააქტიურებისა. ოკუპაცია და იმ სახელმწიფოსთან ურთიერთობა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების მეოთხედი დღემდე ოკუპირებული აქვს, როგორც საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის, ახალგაზრდებისთვისაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში, გამოკითხული რესპონდენტები, ისეთ მნიშვნელოვან მოვლენად, რომელიც მათში შინაგან პროტესტს იწვევს და რომელთა აქტიური თანამონაწილენიც თავადვე იყვნენ, ასახელებენ „ერთიანი ნა-

---

[222] სიღრმისეული ინტერვიუ წარსულში პოლიტიკურად აქტიურ ახალგაზრდასთან, რესპონდენტი №2, 03.11.2023 წ.

ციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, 2006 წელს, სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებულ მოვლენებსა და შემდგომ უკვე 2007 წლის 7 ნოემბრისა და 26 მაისის აქციების პერიოდს, სადაც ასევე, გამოიკვეთა სტუდენტ-ახალგაზრდობის ჩართულობა:

*„2007 წლის აქციების პერიოდში ერთადერთი, რაც მიხაროდა და რასაც მივყავდი დანიშნულების ადგილამდე, იყო ორად-ორი რამ: ერთი ის რომ მე მქონდა შინაგანი პროტესტი, ვერ ვეგუებოდი ბავშვობიდან მოყოლებული უსამართლობას და ეს ჩემი ცხოვრებისეული ნიშაა, მეორე, ჩემი თაობა ახალგაზრდობა იყო წინა პლანზე წამოწეული და ის ახალგაზრდული ყიჟინა და მებრძოლი სული მე დავინახე ჩემი თანაუნივერსიტეტელებისგან [...]. ამან უფრო მეტი სტიმული და მოტივაცია მომცა, ჩავრთულიყავი პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად“.* [223]

რესპონდენტთა შეფასებით, 2019 წლის 20 ივნისის მოვლენებმა ძალიან დიდი ზეგავლენა მოახდინა ახალგაზრდობის პოლიტიკურ გააქტიურებაზე. უსამართლობის განცდასთან ერთად ახალგაზრდობას შემდგომ ცვლილებების სურვილი უჩნდება: „ახალ თაობას უსამართლობის განცდა დაეუფლა და მათ ცვლილებების სურვილი ამოძრავებდათ“.[224]

სოციალურ მეცნიერებებში, რიგი თეორიები, პოლიტიკური მონაწილეობის განმაპირობებელ მიზეზად

---

[223] სიღრმისეული ინტერვიუ ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელ ახალგაზრდასთან, რესპონდენტი №5, 29.10.2023 წ.

[224] სიღრმისეული ინტერვიუ პოლიტიკური პარტიაში ჩართულ ახალგაზრდასთან, რესპონდენტი №1, 05.11.2023 წ.

ფსიქოლოგიურ ფაქტორებს ასახელებენ. ამ თეორიებს ეხმიანება, გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილიც, რომელთაც პოლიტიკური მონაწილეობის „შინაგანი მოთხოვნილება“ ამოძრავებდათ. ამავდროულად, “რაციონალური არჩევანის” თეორიის ჭრილში, ჩვენ კვლევაში გამოვლინდა კიდევ ერთი მოტივატორი, ახალგაზრდების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობისა, კერძოდ, პოლიტიკური პარტიების რიგებში ჩართულობისას, ახალგაზრდების მოტივაცია პოლიტიკური კარიერის განვითარებისა. პარტიებში ჩართულობისას რესპონდენტები საუბრობენ იმ ბენეფიტებზე, რომელიც სხვა ახალგაზრდებს მიუღიათ პარტიული აქტივიზმით, მაგალითად, საპარლამენტო მანდატი. კიდევ ერთ მოტივატორი დაკავშირებულია წახალისების თეორიებთან. ამ შემთხვევაში კვლევაში იდენტიფიცირდა ახალგაზრდების მიმართ სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან წახალისებები, როგორებიცაა, ოჯახი, სამეგობრო წრე, პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური ლიდერები და სხვა. მიმდინარე კვლევამდე, წინა წლებში ჩვენს მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელ ახალგაზრდებთან, დამატებითი მოტივატორებიდან აღსანიშნავია, პოლიტიკურ პარტიებთან იდეოლოგიური ბმა. იგივე კვლევა, აანალიზებს თავად პოლიტიკური პარტიების მოტივატორებს ახალგაზრდების თავიანთ რიგებში ჩართულობისას, სადაც, ძირითადად, პრაგმატული მოტივებია დასახელებული: ქართული პოლიტიკურ პარტიებში არ აფასებენ ახალგაზრდებს, მათი ადამიანური რესურსი, ძირითადად,

წინასაარჩევნოდ ხმების მოპოვებისკენაა მიმართული. რადგანაც პოლიტიკური პარტიებისთვის საარჩევნო კამპანიის ჩატარება ახალგაზრდებთან ერთად უფრო მიმზიდველია“.[225]

მიმდინარე კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა რომ, თავად ახალაგზრდები პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობისას, ასახელებენ ცვლილებების სურვილს, უსამართლობის განცდას, წახალისებებს, ამავდროულად, პირად პრაგმატულ მიზეზებსაც. თუმცაღა, ჩამოთვლილი მოტივატორები არ გამორიცხავს ერთმანეთს და ახალგაზრდას, შესაძლოა, რამოდენიმე მოტივაცია ერთადაც კი გააჩნდეს, მაგალითად, ჩვენ კვლევაში გამოიკვეთა უსამართლობის შეგრძნება + ცვლილებების სურვილი + პოლიტიკური კარიერის განვითარების სურვილი = პარტიული აქტივიზმისა. გარდა ამისა, ზოგჯერ, იკვეთება პოლიტიკურ პარტიასთან იდეოლოგიური კავშირი. 2020 წლის საპარლამენტო არჩვენებზე ახალგაზრდების მხრიდან იდეოლოგიური დაინტერესების ობიექტი, განსაკუთრებით, პოლიტიკური გაერთიანება „გირჩი“ გახდა, რომელიც ლიბერტარიანული შეხედულებებით გამოირჩეოდა.[226]

თავიანთ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რესპონდენტი ახალგაზრდების ხედვა პოლიტიკური პრო-

---

[225] მარიამ გელხაური, „პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციები საქართველოში, როგორც ახალგაზრდობის პოლიტიკური სოციალიზაციის ინსტრუმენტი (2020 წლის საპარლამენტო არჩევნები)“, ჟურნალი *„პოლიტიკა“*, 2021, ტომი 5, N5.

[226] მარიამ გელხაური, „ახალგაზრდების მოტივები პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩართულობისას (2020 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში)“, ჟურნალი *„პოლიტიკა“*, 2023, ტომი 7 N1.

ცესებისადმი ინტერესში გამოიხატებოდა, რომელიც, ხშირად, პოლიტიკური აქტივიზმით ვლინდებოდა. შედარებით განსხვავებული სიტუაციაა დღესდღეობით, როცა სხვა პოლიტიკური პროცესებისგან განსხვავებით, პარტიული აქტივიზმი, უფრო მეტად საინტერესო გახდა ახალი თაობისთვის.

ახალგაზრდების დისტანცირება პოლიტიკური პროცესებისგან კომპლექსური საკითხია და მრავალ ინდივიდუალურ თუ გარემო ფაქტორიდან გამომდინარეობს. საქართველო გარდამავლ სტატიაზე მყოფი ქვეყანაა, სადაც პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდგომ სხვადასხვა გამოწვევები დგას აქტიურ დღის წესრიგში, ეს იქნება სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ა.შ. აღნიშნული გამოწვევები მნიშვნელოვნად ასახება ახალგაზრდა თაობის ცნობიერიებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება/განვითარებაზე, მათ შორის პოლიტიკური პროცესებისადმი დამოკიდებულებაზე.

